

Publikationen

zur rechtlichen Zusammenarbeit

5/2021

შედარებითი სამართლის
ქართულ - გერმანული ჟურნალი

Deutsch-Georgische Zeitschrift
für Rechtsvergleichung



Gefördert durch:



Bundesministerium
der Justiz und
für Verbraucherschutz

aufgrund eines Beschlusses
des Deutschen Bundestages



თინათინ წეტელის სახელთბის
სახელმწიფოსა და
საპარტოლის ინსტიტუტი

5/2021

შვედარეგონთი სამართლის

ქართულ-გერმანული ჟურნალი

Deutsch-Georgische
ZEITSCHRIFT FÜR
RECHTSVERGLEICHUNG



სახელმწიფო და სამართლის ინსტიტუტის გამოცემა

წინამდებარე პუბლიკაცია გამოიცემა გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ფონდის (IRZ) ფინანსური მხარდაჭერით.

გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ფონდი (IRZ) შეიქმნა 1992 წელს და ამ დროიდან გერმანიის იუსტიციის ფედერალური სამინისტროს დაკვეთით დახმარებას უწევს პარტნიორ სახელმწიფოებს სამართლებრივი რეფორმების გატარებაში. ასეთი პროცესების მხარდაჭერა წარმოადგენს IRZ-ის ამოცანას, რომლის ფარგლებშიც ცენტრალური მნიშვნელობა ენიჭება პარტნიორი სახელმწიფოს ინტერესებს.

საქართველოსთან IRZ-ის თანამშრომლობა ეფუძნება საქართველოს და გერმანიის იუსტიციის სამინისტროთა 2005 წლის შეთანხმებას, რომლის განხორციელებაც 2006 წლიდან მიმდინარეობს. თანამშრომლობის მთავარი სფეროებია: საერთაშორისო შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების იმპლემენტაცია ქართულ კანონმდებლობასა და სამართალში, საკონსულტაციო საქმიანობა სისხლის სამართალში და სასჯელაღსრულების სფეროში და პრაქტიკოსი იურისტების განვითარებით იურიდიული განათლება.

Die vorliegende Publikation wird durch finanzielle Unterstützung der Deutschen Stiftung für internationale rechtliche Zusammenarbeit e.V (IRZ) herausgegeben.

Seit ihrer Gründung im Jahr 1992 berät die Deutsche Stiftung für internationale Rechtliche Zusammenarbeit e.V. (IRZ) ihre Partnerstaaten im Auftrag des Bundesministeriums der Justiz und für Verbraucherschutz bei der Reformierung ihrer Rechtssysteme und der Justizwesen. Rechtsstaatlichkeit und Demokratisierung sind Voraussetzung, um grundrechtliche Freiheiten zu wahren, stabile staatliche und gesellschaftliche Strukturen zu stärken sowie wirtschaftliches Wachstum anzuregen. Diesen Entwicklungsprozess zu unterstützen ist Aufgabe der IRZ, wobei die Bedürfnisse des jeweiligen Partnerstaats immer im Mittelpunkt stehen.

Die Zusammenarbeit mit Georgien basiert auf einer gemeinsamen Erklärung zwischen dem georgischen Justizministerium und dem Bundesministerium der Justiz von 2005 und wurde im Jahr 2006 aufgenommen. Die Schwerpunkte der Tätigkeit liegen in der Umsetzung internationaler Abkommen in georgisches Recht, in der Beratung im Straf- und Strafvollzugsrecht sowie der Aus- und Fortbildung von Rechtsanwenderinnen und Rechtsanwendern.

DEUTSCHE STIFTUNG FÜR
INTERNATIONALE RECHTLICHE
ZUSAMMENARBEIT E.V.



Gefördert durch:



aufgrund eines Beschlusses
des Deutschen Bundestages



თინათინ წეტელის სახელობის
სახალხოიფოსა და
საპარტოლის ინსტიტუტი



ჟურნალი დაფუძნებულია გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მიერ. 2020 წლის მე-3 ნომრიდან მის დაფინანსებას აგრძელებს საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდი (IRZ).

მთავარი რედაქტორები

ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი
პროფ. დოქ. ოლაფ მუთჰორსტი
ასოც. პროფ. ლადო სირდაძე

გამომცემლები

პროფ. დოქ. საპატიო დოქ. ტიცინანა ქიუზი
პროფ. დოქ. ოლაფ მუთჰორსტი
ნოტარიუსი რიხარდ ბოკი
მოსამართლე ვოლფრამ ებერჰარდი
პროფ. დოქ. არკადიუშ ვუდარსკი
მოსამართლე დოქ. ტიმო უტერმარკი
ადვოკატი დოქ. მაქს გუთბროდი
პროფ. დოქ. გიორგი ხუბუა
პროფ. დოქ. ლაშა ბრეგვაძე
პროფ. დოქ. ირაკლი ბურდული
პროფ. დოქ. ზვიად გაბისონია
ფრანკ ჰუპფელდი
ხათუნა დიასამიძე

ასოც. პროფ. დოქ. სულხან გამყრელიძე
ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი
ასოც. პროფ. დოქ. შალვა პაპუაშვილი
ასოც. პროფ. ლადო სირდაძე
დავით მაისურაძე
ადვოკატი გიორგი ჟორჟოლიანი
ადვოკატი თემურ ბიგვავა
ადვოკატი ზვიად ბატიაშვილი
ხატია პაპიძე
ადვოკატი გონა ოყრეშიძე
დემეტრე ეგნატაშვილი
ადვოკატი ქეთევან ბუაძე
ადვოკატი ნიკოლოზ შეყილაძე
თორნიკე დარჯანია
ასისტ. პროფ. დოქ. თემურ ცქიტიშვილი
სულხან გველესიანი
გიორგი კვანტალიანი

ტექნიკური რედაქტორი

დავით მაისურაძე

სამუშაო ჯგუფი

ნინო ქავშბაია
თათია ჯორბენაძე
ანა ბაიაძე
ტილმან სუტორი

ISSN 2587-5191 (ბეჭდვითი)

ISSN 2667-9817 (ელექტრონული)

© თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, 2021

© საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდი (IRZ) 2021

© ავტორები, 2021

გ. ქიქოძის ქ. 3, თბილისი, +995 322983245, administration@isl.ge, www.lawjournal.ge, www.isl.ge

სარჩევი

სტატიები

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი თვითმკვლელობაში თანამონაწილეობისათვის <i>დავით მაისურაძე</i>	7
მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკანონმდებლო საფუძველი საქართველოში <i>თამარ ლაკერბაია</i>	10
უცხოური ფულადი ვალდებულება <i>გოჩა ოყრეშიძე</i>	11

უცხოური სასამართლო გადაწყვეტილება

ZXC ბლუმბერგის წინააღმდეგ – ინგლისისა და უელსის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა განყოფილება <i>ნინო ქავშაია</i>	44
---	----

სასამართლო პრაქტიკა

ამორალურობის დამატებითი ელემენტის საჭიროება გარიგების იძულებით დადებულად მიჩნევისთვის <i>(ოყრეშიძე)</i>	47
დაუსწრებელი გადაწყვეტილება საალიმენტო დავაში <i>(ოყრეშიძე)</i>	49
სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება <i>(ოყრეშიძე)</i>	51
ექსპროპრიაციის ღირებულება <i>(ოყრეშიძე)</i>	53
პირგასამტეხლო/შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგება <i>(ოყრეშიძე)</i>	54
მშენებლობისას მეზობლის ნაკვეთში გადაცდენა <i>(ოყრეშიძე)</i>	56
ა(ა)იპ-ის დირექტორის სამსახურიდან გათავისუფლება <i>(ოყრეშიძე)</i>	57
მინის ნაკვეთზე სახლის წამომართვა, როგორც უსაფუძვლო გამდიდრების საგანი <i>(ოყრეშიძე)</i>	59

თანაზიარი საკუთრების ექსპორპრიაციით მიღებული ანაზლაურების გაყოფა (ოყრე-შიძე)

61

ალიმენტის დაკისრება, მშობლის წარმომადგენლობითი უფლების ნაწილობრივ შეზღუდვა (გვენეტაძე)

63

კავუსის ამოხსნა

„შპს მომარჯვებული ისარი“ (სარჩელის შეცვლის აკრძალვა, საპროცესო თანასწორობის პრინციპი, „კერძო დასკვნა“ და მისი მნიშვნელობა)
გიორგი რუსიაშვილი

67

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საპირობო თვითმკვლელობაში თანამონაწილეობისათვის

დავით მაისურაძე

თსუ, თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი

I. შესავალი

თვითმკვლელობა საქართველოში სისხლისსამართლებრივად დაუსჯელი ქმედებაა და ეს ასეც უნდა იყოს. სსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობა არ მოიცავს სუიციდს. ამავე დროს, თვითმკვლელობა სამართლებრივად სრულიად უგულებელყოფილი ვერ იქნება ისეთ სახელმწიფოში, რომელიც თავის თავს სოციალურ სახელმწიფოდ განსაზღვრავს (საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულა და მე-5 მუხლი). სუიციდი სოციალურად ადეკვატური ქმედება არ არის: თვითმკვლელობათა გაზრდილი რაოდენობა, განსაკუთრებით კი არასრულწლოვნებში, ცალსახა ინდიკატორია სოციალური პრობლემებისა, რომლებიც სახელმწიფოს რეაგირებას საჭიროებს. სახელმწიფოს რეაგირების ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი კი სწორედ სამართალია.

ამ ფონზე მნიშვნელოვანია, რომ ყურადღების მიღმა არ დარჩეს თვითმკვლელობის მთელი კომპლექსურობა: სუიციდის აქტი, ხშირად, არ გულისხმობს მხოლოდ ერთი პირის ქმედებას; თვითმკვლელს შეიძლება ვინმე აქეზებდეს, ეხმარებოდეს, მთელ ამ პროცესს ორგანიზებას უწევდეს ანდა მასზე ბატონობდეს. სწორედ ამას ითვალისწინებს კანონმდებელი, როცა სსკ-ის 110-ე და 115-ე მუხლებით მსხვერპ-

ლის თხოვნით მკვლელობასა და თვითმკვლელობამდე მიყვანას დანაშაულებრივ ქმედებად აცხადებს. თუმცა, ერთგვარად, ყურადღების მიღმა რჩება თვითმკვლელობის წამქეზებელი, ორგანიზატორი და დამხმარე.

როგორც თანამედროვე ქართული სასამართლო პრაქტიკა, ასევე სამართლის მეცნიერება მისდევს აზრს, რომ თვითმკვლელობისაკენ წამქეზება, დახმარება ან ორგანიზება დასჯადი ქმედებები არაა.¹ ამ მიდგომის არგუმენტაცია უცვლელადაა გადმოტანილი გერმანული ლიტერატურიდან.² კერძოდ, მოყვანილია ე.წ. **თანამონაწილეობის არგუმენტი**, რომლის თანახმადაც თვითმკვლელობაში წამქეზებლის დასჯა შეუძლებელია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე მუხლში ჩამოყალიბებული **თანამონაწილეობის აქცესორული** ბუნების გამო: რადგან არ არსებობს „ამსრულებლის“ (თვითმკვლელის) დანაშაული, ვერც მისი თანამონაწილე დაისჯება.

მიუხედავად იმისა, რომ თანამონაწილეობის არგუმენტი გაბატონებული პოზიციაა, გერმანულენოვან ლიტერატურაში მას არაერთი ავტორი სამართლიანადაც აკრიტიკებს.³ კერძოდ,

¹ ჯიშკარიანი, ბ., 2016. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, ველი 22; ტურავა, მ., 2011. სისხლის სამართალი, დანაშაულის მოძღვრება, ველი 458.

² Fischer, T., 2015. Beck'sche Kurz-Kommentare, StGB, 62. Auflage, Vor §§ 211-216, Rn. 19a; Murmann, U., 2005. Die Selbstverantwortung des Opfers in Strafrecht, S. 319.

³ Murmann, U., 2005. Die Selbstverantwortung des Opfers in Strafrecht, S. 325 ff; Frisch, W.,

* სტატია მეტწილად ეფუძნება პროფ. დოქ. ქეთევან მჭედლიშვილი-ჭედრიხის ხელმძღვანელობით შესრულებულ დავით მაისურაძის სამაგისტრო ნაშრომს: სიცოცხლისა და ჯანმრთელობის თვითხელყოფა სისხლის სამართალში, თსუ, 2017.

თანამონაწილეობის არგუმენტის სისუსტე ისაა, რომ იგი ზედმეტად ტექნიკური ხასიათისაა. იგი პასუხს სცემს კითხვას, თუ რატომამეთოდოლოგიურად, ტექნიკურად შეუძლებელი სისხლის სამართლის მოქმედი კანონის ფარგლებში თანამონაწილის დასჯა, მაგრამ გვერდს უვლის დაუსჯელობის მატერიალურ დასაბუთებას – სასჯელის მიზანშეწონილობას.⁴ გასათვალისწინებელია, რომ ყოველ სისხლისსამართლებრივ ქმედებას კონსტიტუციურსამართლებრივი განზომილებაც გააჩნია, რამდენადაც თითოეული სისხლისსამართლებრივი ქმედება წარმოადგენს სწორედ კონსტიტუციით აღიარებული უფლების (ამ შემთხვევაში სიცოცხლის) დაცვის სფეროში ჩარევას და სწორედ ამ ჩარევის უმართლობის მატერიალურად დასაბუთების საფუძველზე ხდება ქმედების კრიმინალიზაცია სისხლის სამართლის კოდექსით. კონსტიტუციურ დონეზე კი ქმედების ამსრულებელი და თანამონაწილე არაა ერთმანეთისაგან გამიჯნული და მათი ქმედების უმართლობა და ბრალი ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებლად, თითოეულის მიერ განხორციელებული ქმედების მატერიალური შეფასების საფუძველზე უნდა დადგინდეს. თუკი თვითმკვლელობაში თანამონაწილეთა ქმედებები კონსტიტუციურ დონეზე ადამიანის ძირითად უფლებებში გაუმართლებელ ჩარევად შეფასდება და მათთვის სასჯელის დანესების მიზანშეწონილობაც დადგინდება, მაშინ სისხლის სამართლის კანონით დადგენილი თანამონაწილეთა აქცესორობის პრინციპი, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, კონსტიტუციური მართლწესრიგის განხორციელების დამაბრკოლებელ ტექნიკური ხასიათის ხარვეზად მოგვევლინება.

აქედან გამომდინარე, პასუხი უნდა გაეცეს კითხვას, თუ რატომ არ უნდა ისჯებოდეს თვითმკვლელობაში თანამონაწილე და, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა დადგეს კანონმდებლობაში ისეთი ცვლილებებს შეტანის აუცი-

ლებლობა, რომლებიც სასჯელის ღირსი ქმედებების დასჯის საშუალებას მოგვცემს. მომდევნო თავებში სწორედ ეს საკითხი იქნება განხილული.

II. ნაქეზება თვითმკვლელობისაკენ

თვითმკვლელობისაკენ ნაქეზება, მიუხედავად იმისა, ჩაითვლება თუ არა დანაშაულად, დასავლურ კულტურაში, ზოგადად, მიიჩნევა და უნდა მიიჩნეოდეს გასაკიცხ ქმედებად. სსკ-ის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ნამქეზებელი ის პირია, ვინც ამსრულებელი დაიყოლია განზრახი ქმედების ჩასადენად. გაბატონებული შეხედულების თანახმად, დაყოლიებაში იგულისხმება პირის ნებაზე გავლენის მოხდენა, მისი ნების „მოდრეკა“ გონებრივი კონტაქტის საშუალებით (კომუნიკაციის თეორია)⁵ და საკმარისი არაა რჩევის მიცემა ანდა უბრალოდ მიზეზობრივი კავშირი ამსრულებლის მიერ ჩადენილ ქმედებასთან.⁶ ამსრულებელს, რომელსაც გადაწყვეტილი არ აქვს ქმედების ჩადენა, სწორედ ნამქეზებლის მიერ დაყოლიების შედეგად უნდა გაუჩნდეს საბოლოო განზრახვა.⁷ თუკი ამ გაბატონებულ დეფინიციას თვითმკვლელობის შემთხვევებს მოვარგებთ, ნაქეზება საკმაოდ ამორალურ ქმედებად წარმოჩინდება: თვითმკვლელობისაკენ ნამქეზებელი უბრალო რჩევით კი არ შემოიფარგლება, არამედ აქტიურად არწმუნებს და იყოლიებს პირს, რომელსაც მანამდე თვითმკვლელობის სურვილი ჯერ კიდევ არ ჰქონია. თვითმკვლელობაში დახმარებისაგან განსხვავებით, ნამქეზებლის ქმედებაში რთულია კეთილშობილური მიზნის დანახვა; მორალური თვალსაზრისით, ვერანაირი მიზანი ვერ გაამართლებს იმ პირის გადარწმუნებას,

⁵ Wessels, J., Beulke, W., Satzger, H., 2014. Strafrecht AT, 44. Aufl., Rn. 568; მჭედლიშვილი-ჭედრიძი, ქ. 2011. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, წიგნი მეორე, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, ველი 422-424.

⁶ განსხვავებული მოსაზრება, შედეგის გამოწვევის თეორია: Kindhäuser, U., Strafrecht AT, 6. Aufl., § 41, Rn. 10.

⁷ Wessels, J., Beulke, W., Satzger, H., 2014. Strafrecht AT, 44. Aufl., Rn. 569.

Selbstgefährdung im Strafrecht - Grundlinien einer opferorientierten Lehre vom tatbestandsmäßigen Verhalten, NSTZ 1992, S. 6.

⁴ Matthes-Wegfraß, I., 2013. Der Konflikt zwischen Eigenverantwortung und Mitverantwortung im Strafrecht, S. 57.

რომელსაც თავად ჯერ კიდევ აქვს სიცოცხლის სურვილი.

თვითმკვლელობისაკენ ნაქეზების ამორალური ხასიათის გამო, ეს ქმედება უმრავლეს ქვეყნებში კრიმინალიზებულია. საკმარისია, მაგალითად, ევროპის ლიბერალური ქვეყნების მოყვანაც: ავსტრიის სისხლის სამართლის კოდექსის 78-ე პარაგრაფი თვითმკვლელობისაკენ ნაქეზებას (აგრეთვე დახმარებას) ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე დასჯად ქმედებად აცხადებს. მსგავსი მოწესრიგებაა აგრეთვე იტალიის, ფინეთის, პოლინეთის კანონმდებლობაში.⁸ თვითმკვლელობის ხელშეწყობისათვის (რაც მოიცავს ნაქეზებასაც) საკმაოდ მაღალი სასჯელია დაწესებული აგრეთვე გაერთიანებული სამეფოს პარლამენტის 1961 წლის ე.წ. თვითმკვლელობის აქტით.⁹ აღსანიშნავია, რომ თვითმკვლელობისა და ევთანაზიის მიმართ ყველაზე ლიბერალური დამოკიდებულების მქონე ქვეყნად მიჩნეული შვეიცარიაც კი საჭიროდ მიიჩნევს ნამქეზებლის დასჯას მაშინ, როდესაც მისი ქმედება ეგოისტურ ქვენაგრძნობებს¹⁰ ეფუძნება (შვეიცარიის სსკ-ის 115-ე მუხლი). საინტერესოა აგრეთვე, რომ ნიდერლანდებსა და ბელგიაშიც, სადაც გარკვეული წინაპირობების დაცვით ექიმის მიერ განხორციელებული პასიური და აქტიური ევთანაზია დაშვებულია, მესამე პირის მიერ თვითმკვლელობისაკენ ნაქეზება მაინც დასჯად ქმედებად მიიჩნევა.¹¹ მსგავსი დამოკიდებულებაა ამერიკის შეერთებულ შტატებშიც, სადაც 39 შტატი თვითმკვლელობის ნაქეზებისა და დახმარებისათვის სასჯელს კანონით ითვალისწინებს.¹²

⁸ Herzberg, R.D., Strafbare Tötung oder straflose Mitwirkung am Suizid, ZIS 7/2016, S. 441.

⁹ იხ. 1961 წლის თვითმკვლელობის აქტი გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობის ოფიციალურ საიტზე: <http://www.legislation.gov.uk/ukpga/Eliz2/9-10/60> [ბოლო გამოცემა: 08.11.2017].

¹⁰ გერმ.: selbstsüchtigen Beweggründen.

¹¹ Stocker, U., 2015. Sterbehilfe – Assistierter Suizid, Rechtliche, politische und moralisch-ethische Aspekte, inkl. Checkliste für Sterbehilfe-agTs, S. 7-8.

¹² Stocker, U., 2015. Sterbehilfe – Assistierter Suizid, Rechtliche, politische und moralisch-ethische Aspekte, inkl. Checkliste für Sterbehilfe-agTs, S. 14.

თვითმკვლელობისაკენ ნაქეზების ამორალური ხასიათისა და მის მიმართ მსოფლიოს ყველაზე ლიბერალური ქვეყნების ასეთი დამოკიდებულების ფონზე კიდევ უფრო არადამაჯერებელი ჩანს გერმანელი ავტორების მიერ ჩამოყალიბებული და საქართველოშიც გაზიარებული თანამონაწილეობის არგუმენტი, რომელიც მხოლოდ შესაბამისი საკანონმდებლო ტექნიკის არარსებობის გამო გამორიცხავს ნაქეზების დასჯადობას. აღსანიშნავია, რომ გერმანელ მკვლევართა ნაწილი ცდილობს ამ პრობლემის მოგვარებას მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში. მაგალითად, რამდენიმე ავტორი თვითმკვლელობას მკვლელობის შემადგენლობის (გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 212-ე მუხლი) მართლსაწინააღმდეგო, მაგრამ არაბრალეულ განხორციელებად განიხილავს,¹³ რაც გერმანიაში მოქმედი შეზღუდული აქცესორობის თეორიის¹⁴ გამო თანამონაწილეთა დასჯას შესაძლებელს ხდის. საქართველოში მოქმედი ლოგიკური აქცესორობის გამო, ნამქეზებლის დასასჯელად მხოლოდ თვითმკვლელობის ქმედების შემადგენლობისა და მართლსაწინააღმდეგობის აღიარება საკმარისი არაა. საინტერესოა ასევე პეტერ ბრინგევატის მოსაზრება, რომელიც მართალია გამორიცხავს მოქმედი პოზიტიური სამართლის ნორმებით თვითმკვლელობის ქმედების შემადგენლობას, მაგრამ მას ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე აღიარებულ „განსაკუთრებულ დელიქტად“ მიიჩნევს და ნაქეზებასა და დახმარებაზე ანალოგიის წესით ავრცელებს თანამონაწილეობის დასჯის ზოგად სისხლისსამართლებრივ ნორმებს.¹⁵ ბრინგევატის მოსაზრებამ სისხლის სამართლის კანონიერების პრინციპის დარღვევის

¹³ Schmidhäuser, E., Welzel-Festschrift, S. 813 ff; Klinkenberg, JR 1978, S. 443 f.

¹⁴ Wessels, J., Beulke, W., Satzger, H., 2014. Strafrecht AT, 44. Aufl., Rn. 553; იხ. ასევე: მჭედლიშვილი-ჭედრიხი, ქ., 2011. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, წიგნი მეორე, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, ველი 392-395.

¹⁵ Bringewat, P., 1975. ZStW 87, S. 643 ff.

გამო გერმანულ მეცნიერებაში სამართლიანად ვერ მოიპოვა აღიარება.¹⁶

მართალია, გერმანიას არასდროს გადაუხვევია თანამონაწილეობის არგუმენტისაგან, მაგრამ იგრძნობა გარკვეული ტენდენციები თვითმკვლელობაში თანამონაწილეობის მიმართ სამართლებრივი მიდგომის გამკაცრებისა. მაგალითად, პირადი პასუხისმგებლობით განხორციელებულ თვითმკვლელობაში დაუსჯელ თანამონაწილეობასა და „არათავისუფალ“¹⁷ თვითმკვლელობაში დასჯად შუალობით ამსრულებლობას შორის გასული საუკუნის 80-იან წლებამდე ზღვარს ავლებდნენ ბრალის გამომრიცხველი გარემოებების ანალოგიური გამოყენების გზით: თვითმკვლელის ქმედება საკუთარი პასუხისმგებლობით ჩადენილად არ ჩაითვლებოდა, თუკი იმავე ვითარებაში სხვისი სიცოცხლის ხელყოფისას მას ბრალი გამოერიცხებოდა.¹⁸ დღეს გაბატონებული მოძღვრებით, თვითმკვლელობისას მსხვერპლის პირადი პასუხისმგებლობის დადგენა დაზარალებულის თანხმობისათვის განსაზღვრული კრიტერიუმებით – ე.ი. მსხვერპლის ნამდვილი და თავისუფალი ნების გამორკვევის საფუძველზე უნდა მოხდეს.¹⁹ ამ მოძღვრებამ საკმაოდ გააფართოვა დასჯადობის ფარგლები: მაგალითად, თუკი პირი გულუბრყვილო მსხვერპლს განზრახ შეაცდენს ქმედების ფაქტობრივ მხარეში და მისი ნების სანინააღმდეგოდ თავს მოაკვლევინებს, ძველი თეორიის მიხედვით იგი წამქეზებლად ჩაითვლებოდა და პასუხს არ აგებდა, მაშინ, როცა დღეს გაბატონებული მოძღვრებით იგი მკვლელობის შუალობით ამსრულებლად მიჩნეული.²⁰ საინტერესოა, რომ თუკი გულუბრყვილო ბრალუნარიან ამსრულებელს წამქეზებელი მე-

სამე პირის მოსაკლავად დაიყოლიებს, სახეზე, როგორც წესი, წამქეზებლობაა და პასუხისმგებლობის ძირითადი ტვირთი უშუალო ამსრულებელს აწვება; თვითმკვლელობაზე დაყოლიების შემთხვევაში კი, თვითმკვლელის ბრალუნარიანობის მიუხედავად, ცენტრალურ ფიგურად სწორედ დამყოლიებელია აღიარებული. იგივე შეიძლება ითქვას ბრალუნარიანი არასრულწლოვნების (14 წელს ზემოთ) მიმართ: არასრულწლოვნის დაყოლიება მკვლელობის ჩასადენად წამქეზებაა, ხოლო თვითმკვლელობაზე დაყოლიება – შუალობითი ამსრულებლობა. პასუხისმგებლობის ზოგადი პრინციპებიდან ასეთ გადახვევებს გერმანულ ლიტერატურაში ხსნიან თვითმკვლელობის განსაკუთრებული ხასიათით,²¹ რაც ფაქტობრივად იმის არაპირდაპირი აღიარებაა, რომ სხვა სახის დელიქტებზე მორგებული აქცესორობის პრინციპის უპირობოდ გავრცელება თვითმკვლელობის წამქეზებაზე მთლად სწორი არ უნდა იყოს.

გერმანულ მკვლევართა ნაწილი კიდევ უფრო შორს მიდის და შუალობითი ამსრულებლობით ჩადენილ მკვლელობად მიიჩნევს აგრეთვე პირის განზრახ შეცდენას თვითმკვლელობის მოტივში; მაგალითად, როცა პირი თავს მოიკლავს მას შემდეგ, რაც მოატყუებენ, რომ უკურნებელი სენი სჭირს ანდა მთელი ოჯახი ავტოავარიაში დაელუპა.²² აღსანიშნავია, რომ სხვა ნებისმიერი დანაშაულის შემთხვევაში, ქმედების მოტივში პირის შეცდომაში შეყვანაც აგრეთვე წამქეზებად უნდა მივიჩნიოთ; მაგალითად, თუკი ცოლი ქმარს მოატყუებს, რომ მას შეურაცხყოფა მიაყენეს და ქმარი ცოლის მიერ მითითებულ პირს ფიზიკურად გაუსწორდება, ცოლის ქმედება უდავოდ წამქეზებად უნდა დაკვალიფიცირდეს.²³ თვითმკვლელობის მიმართ ავტორთა განსხვავებული დამოკიდებულება კიდევ ერთხელ მიუთითებს მოქმედი კანონმდე-

¹⁶ იხ. მაგ.: Schilling, G., Abschied vom Teilnahmeargument bei der Mitwirkung zur Selbsttötung, JZ 1979, S. 160.

¹⁷ არათავისუფალ თვითმკვლელობად მოიხსენიებენ გერმანულ ლიტერატურაში შემთხვევებს, როცა თვითმკვლელის ქმედებას მისი თავისუფალი ნება არ უდევს საფუძველად.

¹⁸ Krey, V., 2008. Deutsches Strafrecht AT, Band 2, 3. Aufl., Rn. 132ff.

¹⁹ Krey, V., 2008. Deutsches Strafrecht AT, Band 2, 3. Aufl., Rn. 137ff.

²⁰ Krey, V., 2008. Deutsches Strafrecht AT, Band 2, 3. Aufl., Rn. 140f.

²¹ ამის შესახებ იხ.: Schilling, G., Abschied vom Teilnahmeargument bei der Mitwirkung zur Selbsttötung, JZ 1979, S. 160.

²² მჭედლიშვილი-ჭედრიხი, ქ. 2011. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, წიგნი მეორე, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, ველი 352.

²³ მჭედლიშვილი-ჭედრიხი, ქ. 2011. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, წიგნი მეორე, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, ველი 355.

ბლობის გაუმართაობაზე: ქმედებები, რომლებიც ავტორთა შინაგანი რწმენით დასჯადი უნდა იყოს, აქცესორობის პრინციპის გამო პასუხისმგებლობის მიღმა რჩება. ამიტომ ისინი გამოაკლისების დაშვების გზით ცდილობენ, ნაქეზების შემადგენლობა დასჯად ამსრულებლობად გამოაცხადონ.

ამდენად, აქცესორობის პრინციპი თვითმკვლელობისაკენ ნაქეზების შემთხვევაში ხელს უშლის დასჯის ღირსი ქმედებების დასჯას. ამ პრობლემისაგან თავის დაღწევა მხოლოდ საკანონმდებლო ტექნიკის საკითხია და შესაძლებელია გაბატონებული დოგმატიკის შერყევის გარეშეც, როგორც ეს არაერთი ევროპული ქვეყნის სისხლის სამართლის კოდექსშია მოწესრიგებული. კერძოდ, საჭიროა თვითმკვლელობის ჩადენაზე დაყოლიების კრიმინალიზაცია სსკ-ში ცალკე, დამოუკიდებელი შემადგენლობის შემოღების გზით.

აღსანიშნავია, რომ ნაქეზების, როგორც დამოუკიდებელი შემადგენლობის მაგალითი სისხლის სამართლის კოდექსში აქამდეც არსებობდა სსკ-ის 272-ე მუხლის სახით, რომელიც ითვალისწინებს სასჯელს ნარკოტიკული საშუალების მოხმარებაზე დაყოლიებისათვის. მართალია, სსკ-ის 273-ე მუხლი ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისთვისაც ითვალისწინებს სასჯელს, მაგრამ ბოლო დროის ტენდენციის გათვალისწინებით, მოსალოდნელია მოხმარების სრული დეკრიმინალიზაცია, რის შედეგადაც გვექნება უჩვეულო ვითარება: დასჯადი იქნება ნაქეზება იმ ქმედებისა, რაც თავად დასჯადი არაა. ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ სსკ-ის 272-ე მუხლში ნარკოტიკული საშუალების მოხმარებაზე დაყოლიებისათვის უფრო დიდი სასჯელია დაწესებული, ვიდრე თავად მოხმარებისათვის სსკ-ის 273-ე მუხლში. აქედან ჩანს კანონმდებლის მიზანი: მას ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ნაქეზება, სრულიად სამართლიანად, უფრო მძიმე უმართლობად მიაჩნია, ვიდრე თავად მოხმარება; ამიტომ მას არ სურს, ნაქეზება აქცესორულად იყოს დამოკიდებული მოხმარებაზე და სპეციალურ შემადგენლობას აწესებს სსკ-ის 272-ე მუხლის სახით.

სამართლებრივი ტექნიკის თვალსაზრისით ანალოგიური მიდგომა იქნებოდა გამართლებუ-

ლი თვითმკვლელობის ნაქეზების შემთხვევაშიც. თავად თვითმკვლელობაზე დაყოლიების ფაქტი – ე.ი. სიცოცხლის მოსურნე პირის გადარწმუნება – იმდენად უღირს ქმედებას წარმოადგენს, რომ მისი დასჯა არ უნდა იყოს დამოკიდებული თვითმკვლელის ქმედების წარმატებაზე და დაყოლიების მცდელობაც ზოგადი წესების მიხედვით უნდა ისჯებოდეს.

III. თვითმკვლელობის ორგანიზება

დანაშაულის ორგანიზება, ქართული სამართლის მიხედვით, დანაშაულის თანამონაწილეობის ყველაზე მძიმე და მაღალი სოციალური საშიშროების შემცველი ფორმაა. უკვე აქედან გამომდინარეც, თუკი თვითმკვლელობისაკენ ნაქეზება დასჯადი იქნება, მით უფრო დასჯადი უნდა იყოს მისი ორგანიზება. სსკ-ის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ორგანიზატორი ისაა, ვინც მოაწყობს დანაშაულის ჩადენა ან ხელმძღვანელობდა მის განხორციელებას, აგრეთვე ის, ვინც შექმნა ორგანიზებული ჯგუფი ან ხელმძღვანელობდა მას. ამ დეფინიციიდან გამომდინარე აშკარაა, რომ თვითმკვლელობის ორგანიზების შემთხვევაში ორგანიზატორს განსაკუთრებით დიდი ინტერესი უნდა ამოძრავებდეს პირის სიცოცხლის მოსპობის მართ. სწორედ აქედან გამომდინარეობს თვითმკვლელობის ორგანიზატორის დასჯის აუცილებლობა.

აღსანიშნავია, რომ დანაშაულში თანამონაწილეობის ეს ფორმა უცნობია ბევრი ევროპული ქვეყნის სამართლის სისტემისათვის. ქართული სამართლის მიხედვით, ორგანიზატორის ქმედება ხშირად გაცილებით უფრო მაღალი საშიშროების მატარებელია და იგი მეტადაც ისჯება, ვიდრე თავად ამსრულებელი. ამიტომ მიუთითებენ, რომ ფართო გაგებით დანაშაულის თანამონაწილეთა შორის ორგანიზატორი რანგით ამსრულებლის წინაც კი დგას და პირველადილს იკავებს.²⁴ ამ ფონზე უცნაური ჩანს აქცესორობის პრინციპის გავრცელება ორგანიზატორზე და მისი დასჯადობის დამოკიდებუ-

²⁴ ტურავა, მ., 2013. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, გვ. 331.

ლება ამსრულებლის პასუხისმგებლობაზე. ამ სტატიის მიზანი ორგანიზატორის ინსტიტუტის კრიტიკა არაა; აქ მხოლოდ იმის აღნიშვნაა საჭირო, რომ, მაგალითად, გერმანულ სამართალში, ორგანიზატორის ქმედება ძალიან ხშირად შუალობით ამსრულებლობად განიხილება და, შესაბამისად, მისი დასჯადობის გადანყვეტი-სას მნიშვნელობა არ ენიჭება იმ ფაქტს, ბრალეულია თუ არა „წინა კაცის“ ქმედება.²⁵ ასე რომ, თვითმკვლელობის ორგანიზატორობის შემთხვევების დიდი ნაწილი გერმანული სამართლით უბრალოდ მკვლელობად იქნებოდა განხილული.²⁶

ცალკე აღნიშვნის ღირსია ევროპაში ბოლო პერიოდში გახშირებული თვითმკვლელობის კომერციალიზაციის შემთხვევები. მაგალითად, შვეიცარიაში შექმნილია სპეციალური ორგანიზაციები **Dignitas** და **Exit**, რომლებიც კომერციული და ორგანიზებული ფორმით მომსახურებას უწევენ თვითმკვლელობის მსურველებს: კერძოდ, უზრუნველყოფენ მათ თვითმკვლელობისათვის საჭირო პირობებითა და საშუალებებით, ეხმარებიან სიცოცხლის უმტკივნეულოდ დასრულებაში.²⁷ ამავე დროს, ამ კომპანიების მომსახურების პირობა ისაა, რომ სიცოცხლის დამასრულებელი აქტი თავად პაციენტმა უნდა განახორციელოს; სხვა შემთხვევაში, სახეზე იქნება მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით, რაც შვეიცარიაში აგრეთვე დასჯადია.²⁸ მას შემდეგ, რაც მსგავსი ორგანიზაცია გერმანიაშიც დაარსდა (კავშირი **Sterbehilfe**

Deutschland), თვითმკვლელობის ხელშეწყობის ასეთმა ორგანიზებულმა ფორმამ გერმანელი მეცნიერებისა და პოლიტიკოსების სამართლიანი კრიტიკა დაიმსახურა. კერძოდ, მიუთითებდნენ, რომ ეს ტენდენცია ხელს შეუწყობდა „თვითმკვლელობის ისეთი კულტურის“ გაჩენას, რომელშიც საზოგადოება ხანშიშესული და ავადმყოფი ადამიანებისაგან მოელის და ითხოვს სუიციდს, სუიციდი კი მხოლოდ და მხოლოდ საქმიან გარიგებადღაა გადაქცეული. საზოგადოების ასეთი „მოთხოვნა“ თვითმკვლელობის სურვილს აღუძრავდა ან/და გაუძლიერებდა ხანშიშესულ და ავადმყოფ ადამიანებს, რომელთაც არ სურთ, ტვირთად დაანვენ თავიანთ ოჯახებს.²⁹ საზოგადოებაში ასეთი არაჯანსაღი „კულტურის“ ჩამოყალიბების თავიდან ასაცილებლად გერმანელმა კანონმდებელმა გერმანიის სსკ-ში ახალი 217-ე პარაგრაფი შემოიღო, რომელიც თვითმკვლელობის საქმიან ხელშეწყობას (**geschäftsmäßige Förderung**) დანაშაულად აცხადებს; საქმიან ხელშეწყობად მიჩნეულია ერთი და იმავე ქმედების თუნდაც არაკომერციული, მაგრამ გეგმიური და რეგულარული განხორციელება ანდა მომსახურების შეთავაზება და ხელმძღვანელობა. ამასთან, გსსკ-ის 217-ე მუხლი ჩამოყალიბებულია საფრთხის შემქმნელი დელიქტის ფორმით და კვალიფიკაციისათვის აუცილებელი არაა თვითმკვლელობის შედეგის დადგომა.³⁰

თვითმკვლელობის ორგანიზების მაღალი სოციალური საფრთხიდან გამომდინარე, მისი კრიმინალიზაციაც ნაქეზების მსგავსად მიზანშეწონილია. აგრეთვე კრიმინალიზებული უნდა იყოს თვითმკვლელობის ორგანიზების ის სახე, რაც გსსკ-ის 217-ე პარაგრაფშია მოცემული: თვითმკვლელობის ორგანიზაციული და საქმიანი ხელშეწყობა. ამასთანავე, თვითმკვლელობის ორგანიზაციული და საქმიანი ხელშეწყობა უნდა განვასხვავოთ პალიატიური მკურნალო-

²⁵ მჭედლიშვილი-ჭედრიანი, ქ. 2011. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, წიგნი მეორე, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, ველი 283, 295; მაგალითად, იხილეთ ე.წ. „კატების მეფის საქმე“, BGHSt 35, 347, სადაც დანაშაულის განხორციელების ხელმძღვანელმა პირებმაც პასუხი აგეს, მიუხედავად იმისა, რომ უშუალო ამსრულებელი არაბრალეული იყო.

²⁶ იხ. მაგ. BGHSt 32, 38, „სირიუსის შემთხვევა“, სადაც თვითმკვლელობის ორგანიზატორმა პასუხი აგო შუალობითი ამსრულებლობისათვის მსხვერპლი ბრალუნარიანობის მიუხედავად.

²⁷ Schliemann, H., Strafbarkeit der Förderung der Selbsttötung, ZRP 2013, S. 51.

²⁸ Stocker, U., 2015. Sterbehilfe – Assistierter Suizid, Rechtliche, politische und moralisch-ethische Aspekte, inkl. Checkliste für Sterbehilfe-agTs, S. 6f.

²⁹ Gaede, K., Die Strafbarkeit der geschäftsmäßigen Förderung des Suizids – § 217 StGB, JuS 2016, S. 386; Schliemann, Strafbarkeit der Förderung der Selbsttötung, ZRP 2013, S. 53.

³⁰ Gaede, K., Die Strafbarkeit der geschäftsmäßigen Förderung des Suizids – § 217 StGB, JuS 2016, S. 389.

ბისაგან, რომელიც პირიქით, სოციალურად მიღებულ და მორალური თვალსაზრისითაც სრულიად გამართლებულ ქმედებას წარმოადგენს. განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ პალიატიური მკურნალობის დროს პაციენტის მხრიდან სახეზეა არა თვითმკვლელობა და თვითმკვლელობის მიზანი, არამედ სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში გარდაცვალების ბუნებრივი პროცესის ტანჯვის შემსუბუქება. პალიატიური მკურნალობის დანესებულებებიც სწორედ ამის ორგანიზებას ახორციელებენ და არა პირის სიცოცხლის მოსპობის ორგანიზებას.

IV. თვითმკვლელობაში დახმარება

წამქეზებლისაგან განსხვავებით, თვითმკვლელობაში დამხმარეს, შესაძლებელია, მორალური მიზანიც ამოძრავებდეს. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს პირის გათავისუფლება ფიზიკური თუ სულიერი ტანჯვისაგან. ამავე დროს, გამორიცხული არც ამორალური მიზნით მოქმედებაა.

ზოგადად, დახმარება ყველაზე მსუბუქ ფორმად მიიჩნევა დანაშაულში თანამონაწილეობის დანარჩენ ორ ფორმასთან შედარებით.³¹ ამის გამო, თვითმკვლელობისაკენ წაქეზების განხილვისას გამოთქმული მოსაზრებები უპირობოდ ვერ გავრცელდება თვითმკვლელობაში დახმარებაზე. მაშინ, როცა წამქეზებელი აქტიური მოქმედებით მსხვერპლის აზრზე გავლენის მოხდენით, მისი დაყოლიებით და თავისი პირდაპირი განზრახვით მომხდარ მოვლენაში თითქმის ცენტრალურ მოქმედ პირად გვევლინება თვითმკვლელთან ერთად, დამხმარე მხოლოდ გვერდით ფიგურას წარმოადგენს. დამხმარე თვითმკვლელის მიერ უკვე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას უწყობს ხელს და მის ქმედებაში ხშირად სიბრაღული ანდა თვითმკვლელის გადაწყვეტილების პატივისცემა უფრო იკვეთება, ვიდრე პირის სიცოცხლის მოსპობის ამორალური მიზანი. ამიტომ ზოგადად

თვითმკვლელობაში დახმარების კრიმინალიზაცია გამართლებული ვერ იქნება; არაა გასაზიარებელი ავსტრიული კანონმდებლობის მიდგომა, რომელიც სუიციდში დახმარებას გენერალურად სჯის;³² დამხმარე უნდა დარჩეს სისხლის სამართლის წესით დაუსჯელი, მიუხედავად იმისა, გაიკიცხება თუ არა მისი ქმედება მორალური თვალსაზრისით.

თუმცა ამ ზოგადი წესიდან საჭიროა გამონაკლისების დაშვებაც განსაკუთრებულად მძიმე შემთხვევებში. ასეთ გამონაკლისს შეიძლება წარმოადგენდეს თვითმკვლელობაში დახმარება კომერციული შეთანხმების საფუძველზე ანდა ანგარებით. ორგანიზებული დანესებულების მიერ საფასურის სანაცვლოდ მომსახურების განევის მსგავსად, ცალკეული პირის მიერ გამორჩენის მიზნით თვითმკვლელისათვის დახმარების განევაც საკმაოდ ამორალურ და გასაკიცხ ქმედებად უნდა შეფასდეს.

სუიციდი ამ სტატიაში მართლსაწინააღმდეგო, მაგრამ არა კრიმინალიზებულ ქმედებადაა განხილული. თვითმკვლელობის მართლწინააღმდეგობასთან დაკავშირებით ქართულენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში ნაკლებადაა მსჯელობა. ავტორები უფრო მეტად განიხილავენ თვითმკვლელობისას მკვლელობის სისხლისსამართლებრივი შემადგენლობის (სსკ-ის 108) დაფუძნების საკითხს,³³ ხოლო სუიციდის ზოგადსამართლებრივ ქრილში მართლწინააღმდეგობის საკითხი დაუმუშავებელი რჩება. არაპირდაპირ, მაგრამ მაინც თვითმკვლელობის მართლწინააღმდეგობაზე მიუთითებს ქართულ ლიტერატურაში გაბატონებული მოსაზრება, რომ კონსტიტუცია არ იძლევა თვითმკვლელის უფლებას – ზოგადად, თუკი კონსტიტუციით რაიმე ქმედების უფლება არ არსებობს, ეს ქმედება კონსტიტუციურ მართლწინააღმდეგობას ენი-

³¹ ტურავა, მ., 2013. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, გვ. 332; Fischer, T., 2015. Beck'sche Kurz-Kommentare, StGB, 62. Auflage, § 27, Rn. 30.

³² „ვინც სხვას დაიყოლიებს ან დაეხმარება თავის მოკვლაში, უნდა დაისაჯოს თავისუფლების აღკვეთით ექვსი თვიდან ხუთ წლამდე“, ავსტრიის სისხლის სამართლის კოდექსის 78-ე პარაგრაფი.

³³ იხ. მაგ. ტურავა, მ., 2011. სისხლის სამართალი, დანაშაულის მოძღვრება, ველი 458; თოდუა, ნ., ლეკვიშვილი, მ., 2016. სსკ-ის კომენტარი, კერძო ნაწილი, წიგნი I, თავი II, გვ. 39; თოდუა, ნ., 2016. სსკ-ის კომენტარი, კერძო ნაწილი, წიგნი I, თავი III, გვ. 104.

ნააღმდეგება.³⁴ პრობლემა უფრო ღრმად აქვს დამუშავებული გერმანულ დოქტრინასა და პრაქტიკას. გერმანიის უზენაესი სასამართლოს მოსაზრებით, მართალია თვითმკვლელობა სისხლისსამართლებრივ დონეზე არ აფუძნებს ქმედების შემადგენლობას, მაგრამ იგი ზოგადსამართლებრივ სისტემაში მართლსაწინააღმდეგო ქმედებაა.³⁵ გერმანიის სასამართლო პრაქტიკაში გაბატონებულ ამ შეხედულებას არაერთი მეცნიერიც მისდევს.³⁶ ეს მოსაზრებაა გაზიარებული ასევე წინამდებარე სტატიაშიც.³⁷ ამდენად თვითმკვლელობაში ანგარებით დახმა-

რება მართლსაწინააღმდეგო ქმედების გზით ფულის შოვნის საშუალება გამოდის, რაც სამართლის მიერ მოწონებული და ლეგალური არ უნდა იყოს. შესაძლოა, თვითმკვლელობისაკენ ნაქეზებისა და ორგანიზების მსგავსად, დახმარების ამ კონკრეტული სახის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ფარგლებში მოქცევა დაფიქრებად ღირდეს, თუმცა ამ ტიპის დამხმარე, სულ მცირე, კერძოსამართლებრივ პასუხისმგებლობას მაინც უნდა ექვემდებარებოდეს. აქვე აღსანიშნავია, რომ გაუმართლებელია, მაგალითად, შვეიცარიული მოდელი, რომლის მიხედვითაც თვითმკვლელობაში დახმარების ეგოისტური გამოვლინებები ისჯება.³⁸ მართალია, კომერციული, ანგარებითი მიზანი თავისთავად ეგოისტურია, მაგრამ ეგოიზმი საკმაოდ ბუნდოვანი ცნებაა და სისხლის სამართალში მისი შემოტანა პრობლემებს შექმნის ინტერპრეტაციისას.

შეჯამება

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ თანამონაწილეთა აქცესორობის პრინციპის უპირობო გავრცელება თვითმკვლელობის შემთხვევებზე ხშირ შემთხვევაში იწვევს უსამართლო შედეგებს. ეს უპირველესად ეხება თვითმკვლელობაში თანამონაწილეობის ყველაზე მძიმე ფორმებს – ორგანიზებასა და ნაქეზებას, რომლებიც სასჯელის ღირს ქმედებად უნდა იქნას მიჩნეული. მათი დაუსჯელობის გამართლება თანამონაწილეობის არგუმენტით არასწორია, რადგან ეს არგუმენტი მხოლოდ ტექნიკური თვალსაზრისით ასაბუთებს სასჯელის დაწესების შეუძლებლობას და სრულიად უგულებელყოფს ამ ქმედებათა მატერიალურ შეფასებას. სიცოცხლის სურვილის მქონე ადამიანის გადარწმუნება (ნაქეზება) და მისი სიცოცხლის დამასრულებელი აქტის ხელმძღვანელობა

³⁴ თვითმკვლელობის უფლების არარსებობასთან დაკავშირებით იხ.: *გოცირიძე, ე.*, 2013. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, მუხ. 15, გვ. 75, 101-102; *კუბლაშვილი, კ.*, 2005. ნიგში: იზორია-კორკელია/კუბლაშვილი/ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, მუხ. 15, გვ. 48-49; *Kunig, P.*, 2012. in Münch (Begr.)/Kunig (Hrsg.), Grundgesetz, Kommentar, Band 1, 6. Aufl., Art. 2, Rn. 50; *Tröndle, H., Fischer, T.*, 2003. StGB und Nebengesetze, Beck'sche kurz Kommentare, 51. Aufl., Vor §§ 211 bis 216, Rn. 10.

³⁵ მაგალითად, იხილეთ გადანყვეტილებები: BGHSt 46, 279, 285; BGHSt, 6, 147, 153.

³⁶ იხ. მაგ. *Schliemann, H.*, Strafbarkeit der Förderung der Selbsttötung, ZRP 2013, S. 51; *Kuchenbauer, K.*, Recht auf Leben – Recht auf Selbsttötung? ZfL 4/2007, S. 111; *Bauer, A.*, Zur ethischen illegitimität der Mitwirkung am Suizid, ZfL 4/2012, S. 119.

³⁷ არაა გასაზიარებელი ქართულ ლიტერატურაში გამოთქმული პოზიცია (იხ. მაგ. *ცქიტიშვილი*, შენიშვნები უშანგი ბახტაძის დისერტაციაზე: „კრიმინალიზაციის პროცესის კრიმინოლოგიური ანალიზი“, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი 8/2020, გვ. 58-69), რომ მართლსაწინააღმდეგო მხოლოდ კრიმინალიზებული ქმედება შეიძლება იყოს. მართლსაწინააღმდეგობა არაა სისხლისსამართლებრივი ცნება: თუ რაიმე ქმედება მართლსაწინააღმდეგოა სამართლის რომელიმე დარგში, იგი მართლსაწინააღმდეგოა სამართლის მთელ სისტემაში და პირიქით, ამიტომ ქმედების მართლსაწინააღმდეგობის საფუძველი ამ ქმედების აუცილებლად სისხლისსამართლებრივი შემადგენლობის დაწესება ვერ იქნება. სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მკვლელობის შემადგენლობის განხორციელება ისევეა მართლსაწინააღმდეგო სამართლის ყველა დარგში, როგორც, მაგალითად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ნებისმიერი გადაცდომა ანდა სულაც ხელშეკრულების დარღვევა, რომლისთვისაც პოზიტიურ სამართალში (მაგ. სამოქალაქო კოდექსში) კონკრეტული მუხლი შეიძლება ვერც კი მოიძებნოს.

³⁸ „ვინც ეგოისტური მოტივით სხვას თვითმკვლელობაზე დაიყოლიებს ან მას ამაში დაეხმარება, თვითმკვლელობის განხორციელების ან მცდელობის შემთხვევაში, ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთით ან ჯარიმით დაისჯება“, შვეიცარიის სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლი.

(ორგანიზება), განსაკუთრებით კი ამ ქმედებათა კომერციული მიზნით განხორციელება, თავისთავადაა კონსტიტუციით აღიარებული სიცოცხლის უფლების იმ დონეზე შელახვა, რაც საკმარისი იქნებოდა დამოუკიდებელი სისხლისსამართლებრივი შემადგენლობის დასაფუძნებლად. ამდენად, არ იქნება ურიგო, თუ ქართულ კანონმდებლობაშიც, არაერთი დასავლური ქვეყნის მსგავსად, გაჩნდება თვით-

მკვლელობის ორგანიზებისა და ნაქეზების კრიმინალიზაციის ცალკე შემადგენლობა, რაც ამ ქმედებათა აქცესორობის პრინციპის გვერდის ავლით დასჯის საშუალებას იძლევა. რაც შეეხება თვითმკვლელობაში დახმარებას, მისი ნაკლები სოციალური საფრთხიდან გამომდინარე, იგი გენერალურად დაუსჯელი უნდა დარჩეს; დაფიქრება შესაძლებელია მხოლოდ განსაკუთრებულად მძიმე შემთხვევების კრიმინალიზაციაზე.

მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკანონმდებლო საფუძველი საქართველოში*

ასოც. პროფ. დოქ. თამარ ლაკერბაია
სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე

წინამდებარე მოხსენების მიზანია საქართველოში მიმდინარე მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ კანონმდებლობის რეფორმის მიმოხილვა, რეფორმის აუცილებლობისა და მის საფუძვლად არსებული ინიციატივების წარმოჩენა. მოხსენების ფარგლებში ყურადღება ეთმობა საქართველოში მომხმარებელთა უფლებების განვითარების მოკლე ისტორიულ ექსკურსს. განხილული იქნება ევროპულ კავშირთან საქართველოს ასოცირების შესახებ ხელშეკრულების გავლენა საქართველოს სამომხმარებლო პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე და ის ძირითადი სიახლეები, რომლებიც რეფორმის შედეგად უნდა აისახოს საქართველოს მიერ მისაღებ მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ მარეგულირებელ საკანონმდებლო აქტში.

1. მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართლის განვითარება საქართველოში

მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალს საქართველოში არ გააჩნია განვითარების ხანგრძლივი ისტორია, რაც გამომწვეულია იმით, რომ გასული საუკუნის 90-იან წლებამდე საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო თავისი საკანონმდებლო სისტემით, დემოკრატიულ ღირებულებათა იერარქიითა

და დაცვის სამართლებრივი მექანიზმებით არ არსებობდა. მხოლოდ საბჭოთა კავშირის დაშლისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების შემდგომ გახდა შესაძლებელი როგორც ადამიანის ძირითადი უფლებების, ასევე მომხმარებელთა უფლებების დაცვისათვის შესაბამისი საკანონმდებლო გარანტიების შემოღება. მანამდე კი მომხმარებელთა უფლებების მარეგულირებელი ნორმები, ძირითადად, გათვალისწინებული იყო სამოქალაქო კანონმდებლობაში ნასყიდობისა და ნარდობის ხელშეკრულებების მომწესრიგებელ ნორმებში, რომლებიც ეხებოდა ყველას და არა კონკრეტულად მომხმარებლებს.¹

საქართველოს კანონმდებლობაში მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართლებრივი საფუძველი პირველად 1995 წლის საქართველოს კონსტიტუციის მიღებით განისაზღვრა. კონსტიტუციის 30-ე მუხლი ადგენდა მომხმარებელთა უფლებების კანონით დაცვის ვალდებულებას.² მომხმარებელთა უფლებების საქართველოს კონსტიტუციით აღიარებას შედეგად მოჰყვა 1996 წელს „მომხმარებელთა უფლებე-

* მოხსენება საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისათვის (GLIP), იურიდიული პროფესიის განვითარების ცენტრისა (LPDC) და გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ფონდის (IRZ) ორგანიზებით 2020 წლის 27 ნოემბერს ჩატარებულ ონლაინ სემინარზე - მომხმარებელთა უფლებები და სახელშეკრულებო ურთიერთობებში არსებული გამოწვევები.

¹ თ. ლაკერბაია, ვ. ზაალიშვილი, თ. ზოიძე, მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი (ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის გზა), 2018, 81. ხელმისაწვდომია <https://law.ibsu.edu.ge/api/uploads/Consumer-Law.pdf> [06.12.2020].

² საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 31-33, 24/08/1995. იმავე დათქმას ითვალისწინებს საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქცია, სადაც მომხმარებელთა უფლებების კანონის საფუძველზე დაცვის ვალდებულება განმტკიცებულია 26-ე მუხლის მ-4 პუნქტით.

ბის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღება.³

ნიშანდობლივია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მიღებულ იქნა ერთი წლის შემდეგ,⁴ რაც თვალნათლივ წარმოაჩენს მომხმარებელთა უფლებებისადმი ქართველი კანონმდებლის დამოკიდებულებას. სამოქალაქო კოდექსმა თითქმის სრულად მოიცვა კერძო სამართლის ძირითადი ასპექტები და, მათ შორის, გარკვეულწილად მომხმარებელთა უფლებებიც. მომხმარებელთა უფლებების დაცვითი ნორმები მიმოხილულ იქნა კოდექსის ცალკეულ თავებში. საგულისხმოა, რომ მიუხედავად ქართველი კანონმდებლის მიერ მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ თავიდანვე დამოუკიდებელი კანონის მიღებისა, ისეთი ურთიერთობა, როგორცაა ქუჩაში დადებული ხელშეკრულებები, სწორედ სამოქალაქო კოდექსში განთავსდა (336-ე მუხლი). ამასთან, ქუჩაში დადებული ხელშეკრულება კოდექსში არსებობს არა როგორც ცალკე სახელშეკრულებო ურთიერთობა, არამედ იგი მოქცეულია ვალდებულებითი სამართლის ზოგად ნაწილში, ხელშეკრულების დადების თავში. უნდა ვივარაუდოთ, რომ კანონმდებელს ამით ხელშეკრულების სპეციფიკურობის ხაზგასმა სურდა, მისი არაორდინალურ ვითარებაში დადების ფაქტის წარმოსაჩენად.⁵

მომხმარებელთა უფლებებს ეხება ასევე სამოქალაქო კოდექსის 342-ე და 348-ე მუხლები, რომლებიც ადგენენ მომხმარებელთა მონაწილეობით დადებულ ხელშეკრულებებში სტანდარტული პირობების ბათილად ცნობის საფუძვლებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო კოდექსში არ გვხვდება ტერმინი მომხმარებელი, თუმცა 347-ე და 348-ე მუხლების დისპოზი-

ცია - ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში, რომლებსაც შემთავაზებელი იყენებს იმ ფიზიკური პირების მიმართ, რომლებიც არ მისდევნენ სამენარმოო საქმიანობას, მიიჩნევა ბათილად ... - პირდაპირ მიანიშნებს, რომ ეს დებულებები მიმართულია მომხმარებელთა უფლებების დაცვისაკენ. გარდა ამისა, ვალდებულების შესრულების ზოგად ნაწილში განთავსებულია ნორმა სამომხმარებლო კრედიტის შესახებ (370-ე მუხლი), რომელიც ადგენს ურთიერთდაკავშირებულ ხელშეკრულებებში მომხმარებელთა შესაძლო მოთხოვნათა საფუძვლებს.

რაც შეეხება 1996 წლის საქართველოს კანონს „მომხმარებელთა უფლებების შესახებ“, მან ვერ შეძლო ფეხის აწყობა ოცდამეერთე საუკუნის გამოწვევებისათვის. მასში არ აისახა სამომხმარებლო სფეროსათვის დამახასიათებელი გამოწვევები, რის გამოც ის არ იყო ეფექტური და არ გააჩნდა საკმარისი მექანიზმი მომხმარებელთა უფლებების დასაცავად.⁶ საბოლოოდ, 2012 წელს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“, რომლითაც გაუქმდა 1996 წლის საქართველოს კანონი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“.⁷ ამავდროულად, ევროკავშირის კანონმდებლობასა და სტანდარტებთან დაახლოების მიზნით, საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტს დაევალა „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ კანონპროექტის შემუშავება, რომელიც შესაბამისობაში იქნება ევროკავშირის სამართალთან. დღეისათვის კანონპროექტზე მუშაობის პროცესი

³ საქართველოს კანონი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის უწყებანი, #007, 30.04.96.

⁴ საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 31, 24/07/1997.

⁵ თ. ლაკერბაია, ვ. ზაალიშვილი, თ. ზოიძე, მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი (ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის გზა), 2018, 221. ხელმისაწვდომია <https://law.ibsu.edu.ge/api/uploads/Consumer-Law.pdf> [06.12.2020].

⁶ რეგულირების გავლენის შეფასება საქართველოს კანონის პროექტზე „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2016,3. ხელმისაწვდომია http://www.economy.ge/uploads/files/2017/reformebi/ria_final_consumer_protection_moesd_.pdf [06.12.2020].

⁷ საქართველოს კანონი „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ“, სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ვებგვერდი, 25/05/2012.

დასრულებული არ არის.⁸ კოდექსმა სხვა საკითხებთან ერთად, დაარეგულირა ისეთი საკითხები, როგორებიცაა: უსაფრთხო პროდუქტის ბაზარზე განთავსება და თავისუფალი მიმოქცევა, პროდუქტის გადაადგილებისა და ბაზარზე განთავსების პროცესში კონკურენციის უზრუნველყოფა, მაგრამ არ განსაზღვრა, პროდუქტის ან მომსახურების პირადი მოხმარების მიზნით, მოვაჭრესთან სავაჭრო ურთიერთობებში შესული ფიზიკური პირის ეკონომიკური უფლებების დაცვის ზოგადი პრინციპები, რამაც გამოიწვია სამომხმარებლო სფეროს მიკუთვნებული ურთიერთობების დერეგულაცია.⁹

2. ევროპულ კავშირთან ასოცირების შეთანხმების გავლენა მომხმარებელთა უფლებების დაცვაზე საქართველოში

2014 წლის 27 ივნისს საქართველოსა და ევროპულ კავშირს შორის ხელი მოეწერა ასოცირების შეთანხმება.¹⁰ ევროპულ კავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერით საქართველომ აიღო ვალდებულებები ისეთ სფეროებში, როგორიცაა დემოკრატია და კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებები და ფუნდამენტური თავისუფლებები, კარგი მმართველობა, საბაზრო ეკონომიკა და მდგრადი განვითარება. ამასთან, შეთანხმება საქართველოს აკისრებს ამბიციური რეფორმების განხორციელების ვალდებულებას ისეთ სფეროებში, როგორიცაა უსაფრთხოების პოლიტიკა, ვაჭრობა, ეკონომიკის გაჯანსაღება და ზრდა და, ასევე, მმართველობა.¹¹

⁸ რეგულირების ზეგავლენის შეფასება საქართველოს კანონპროექტზე „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“, 2019, 8, ხელმისაწვდომია:

http://lawlibrary.info/ge/books/giz2020_GEO_RIA_CRP_LAW.pdf [06.12.2020].

⁹ იქვე.

¹⁰ ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და, საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება, ძალაშია 2016 წლის 1 ივლისიდან, ტექსტი ხელმისაწვდომია <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959> [06.12.2020].

¹¹ დოკუმენტი ხელმისაწვდომია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდზე <<http://www.mfa.gov.ge/News/EU-Georgia-Association-Agreement-fully-enters-into.aspx>> [01.07.2016].

ასოცირების შეთანხმება ავალდებულებს საქართველოს სახელმწიფოს აწარმოოს მჭიდრო თანამშრომლობა მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროში და უზრუნველყოს ევროპული სტანდარტების დანერგვა ამ მიმართულებით. მეტიც, ასოცირების შეთანხმება შეიცავს მომხმარებელთა უფლებების შესახებ იმ ევროპული დირექტივების ვრცელ ჩამონათვალს, რომელთა იმპლემენტირება ეროვნულ კანონმდებლობაში სავალდებულოა მომხმარებელთა უფლებების მარეგულირებელი ნორმების რეფორმირების დროს. მეტიც, ამ ხელშეკრულებით საქართველომ აიღო ვალდებულება გაატაროს რეფორმები და უზრუნველყოს ქვეყნის კანონმდებლობის ევროკავშირის 300-მდე სამართლებრივ აქტთან პროგრესული დაახლოება (ეტაპობრივად, შეთანხმებული ვადების მიხედვით), მათ შორის, სამომხმარებლო სფეროში.¹²

ევროპულ კავშირთან ასოცირების პროცესი იწვევს მნიშვნელოვან ცვლილებებს ქვეყნის შიდა კანონმდებლობაში მისი ევროპულ სტანდარტებთან მიახლოების უზრუნველსაყოფად. მომხმარებელთა უფლებების სფერო ამ ეტაპისათვის, დატოვებულია რა რეგულირების გარეშე, განსახორციელებელი რეფორმით, ფაქტობრივად, სრულიად ახლებურად მონესრიგდეს. საქართველოში მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართლის რეფორმა მიმდინარეობს დამოუკიდებელი კოდიფიკაციის გზით. როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოში მომხმარებელთა უფლებები თავიდანვე ამ მიმართულებით განვითარდა, კერძოდ, 1996-2012 წლებში მომხმარებელთა უფლებები მონესრიგებული იყო დამოუკიდებელი კანონით „მომხმარებელთა უფლებების შესახებ“. ამ კანონის გაუქმების შემდეგ კი მიმდინარეობს მუშაობა ახალი კანონის შექმნაზე, რომელიც ევროპული კავშირის სტანდარტების გათვალისწინებით, მნიშვნე-

ვერდზე <<http://www.mfa.gov.ge/News/EU-Georgia-Association-Agreement-fully-enters-into.aspx>> [01.07.2016].

¹² რეგულირების ზეგავლენის შეფასება საქართველოს კანონპროექტზე „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“, 2019, 8, ხელმისაწვდომია http://lawlibrary.info/ge/books/giz2020_GEO_RIA_CRP_LAW.pdf [06.12.2020].

ნელოვან საფუძველს შექმნის მომხმარებელთა უფლებების დასაცავად საქართველოში.

ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ასოცირების შეთანხმების მე-13 თავი, რომელიც ცალკე ეხება მომხმარებელთა პოლიტიკას და განსაზღვრავს თანამშრომლობის არეალს. გარდა ამისა, ასოცირების შეთანხმების 29-ე დანართი („მომხმარებელთა პოლიტიკა“) პირდაპირ ეხება სამომხმარებლო სფეროს. მასში ჩამოთვლილია ამ სფეროს დირექტივები და რეგულაციები და თითოეულ მათგანთან ეროვნული კანონმდებლობის დაახლოების ვადები. დირექტივები დაჯგუფებულია შემდეგ თემებად: პროდუქტის უსაფრთხოება, მარკეტინგი, სახელშეკრულებო სამართალი, ფინანსური მომსახურება, სამომხმარებლო კრედიტი, კომპენსაცია და აღსრულება.¹³

შეთანხმების XXIX დანართში მოცემულია საქართველოს კანონმდებლობაში შემდეგი დირექტივებისა და რეგულაციების იმპლემენტაციის ვალდებულება:

- 2001 წლის 3 დეკემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2001/95/EC დირექტივა პროდუქტის ზოგადი უსაფრთხოების შესახებ;

- 1987 წლის 25 ივნისის საბჭოს 87/357/EEC დირექტივა ნევრ სახელმწიფოთა კანონების დაახლოების შესახებ იმ პროდუქტებთან დაკავშირებით, რომლებიც აღმოჩნდება, რომ სინამდვილეში სხვა პროდუქტებია და საფრთხის ქვეშ აყენებენ მომხმარებელთა ჯანმრთელობას ან უსაფრთხოებას;

- 2009 წლის 17 მარტის ევროკომისიის 2009/251/EC გადაწყვეტილება, რომელიც

ნევრი სახელმწიფოებისგან მოითხოვს იმის უზრუნველყოფას, რომ ბიოციდის დიმიტილ ფუმარატის შემცველი პროდუქტები არ იქნება განთავსებული ან ხელმისაწვდომი ბაზარზე;

- 2006 წლის 11 მაისის ევროკომისიის 2006/502/EC გადაწყვეტილება, რომელიც ნევრი სახელმწიფოებისგან მოითხოვს, მიიღონ ზომები და უზრუნველყონ, რომ ბაზარზე განთავსდეს მხოლოდ ბავშვისთვის უსაფრთხო, დამცავი მექანიზმის მქონე სანთებლები და აკრძალონ ბაზარზე ინოვაციური სანთებლების განთავსება;

- 1998 წლის 16 თებერვლის ევროპარლამენტისა და საბჭოს 98/6/EC დირექტივა მომხმარებელთა დაცვის შესახებ მომხმარებელთათვის შეთავაზებული პროდუქტების ფასების მითითებისას;

- 2005 წლის 11 მაისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2005/29/EC დირექტივა, შიდა ბაზარზე კომპანიასა და მომხმარებელს შორის არასამართლიანი სავაჭრო პრაქტიკის შესახებ („დირექტივა არასამართლიანი სავაჭრო პრაქტიკის შესახებ“);

- 2006 წლის 12 დეკემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 2006/114/EC შეცდომაში შემყვანი და შედარებითი რეკლამის შესახებ;

- 1999 წლის 25 მაისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 1999/44/EC დირექტივა სამომხმარებლო საქონლის გაყიდვისა და მასთან დაკავშირებული გარანტიების ზოგიერთი ასპექტის შესახებ;

- 1993 წლის 5 აპრილის საბჭოს 93/13/EEC დირექტივა მომხმარებელთა ხელშეკრულებებში არასამართლიანი პირობების შესახებ;

- 1997 წლის 20 მაისის ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 97/7/EC მომხმარებელთა დაცვის შესახებ დისტანციურ ხელშეკრულებებთან მიმართებით;

- 1985 წლის 20 დეკემბრის საბჭოს 85/577/EEC დირექტივა მომხმარებელთა დაცვის შესახებ ბიზნეს ოფისიდან დაშორებით მოლაპარაკებულ ხელშეკრულებებთან მიმართებით;

¹³ ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ ნევრ სახელმწიფოებსა და, საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება, ძალაშია 2016 წლის 1 ივლისიდან, ტექსტი ხელმისაწვდომია <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959> [06.12.2020]; ასევე იხ. რეგულირების ზეგავლენის შეფასება საქართველოს კანონპროექტზე „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“, 2019, ხელმისაწვდომია http://lawlibrary.info/ge/books/giz2020_GEO_RIA_CRP_LAW.pdf [06.12.2020].

- 1990 წლის 13 ივნისის საბჭოს 90/314/EEC დირექტივა მოგზაურობის, არდადეგებისა და ტურების პაკეტების შესახებ;

- 2009 წლის 14 იანვრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008/122/EC დირექტივა მომხმარებელთა დაცვის შესახებ დროის ნილობრივი განაწილების გრძელვადიანი არდადეგების, გადაყიდვისა და გაცვლის ხელშეკრულებების ზოგიერთ ასპექტთან დაკავშირებით;

- 2002 წლის 23 სექტემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2002/65/EC დირექტივა მომხმარებლის ფინანსური მომსახურების დისტანციური მარკეტინგის შესახებ;

- 2008 წლის 23 აპრილის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008/48/EC დირექტივა მომხმარებელთა საკრედიტო შეთანხმებების შესახებ;

- 1998 წლის 30 მარტის ევროკომისიის 98/257/EC რეკომენდაცია სამომხმარებლო დავების სასამართლოს გარეთ გადაწყვეტაზე პასუხისმგებელი ორგანოების მიმართ გამოყენებული პრინციპების შესახებ;

- 2001 წლის 4 აპრილის ევროკომისიის 2001/310/EC რეკომენდაცია სამომხმარებლო დავების კონსენსუსის შედეგად გადაწყვეტაში ჩართული არასასამართლო ორგანოების პრინციპების შესახებ;

- 1998 წლის 19 მაისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 98/27/EC დირექტივა მომხმარებელთა ინტერესების დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მითითებების შესახებ;

- 2004 წლის 27 ოქტომბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) N2006/2004 რეგულაცია მომხმარებლის დაცვის შესახებ კანონების აღსრულებაზე პასუხისმგებელ ეროვნულ ორგანოებს შორის თანამშრომლობის შესახებ (აღებულია მხოლოდ რამდენიმე მუხლთან დაახლოების ვალდებულება).

უნდა აღინიშნოს, რომ დირექტივების ეს ჩამონათვალი გარკვეულწილად მოძველებულია, ვინაიდან ევროკავშირმა დამატებით მიიღო დირექტივები, რომელთა საშუალებით განახლდა მოქმედი აქტები. მომხმარებელთა ეკონომიკუ-

რი ინტერესების დაცვის კონტექსტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ევროკავშირის 2011/83 დირექტივა მომხმარებლის უფლებების შესახებ,¹⁴ რომელმაც გააერთიანა ოთხი მანამდე ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არსებული დირექტივა. კერძოდ, 1985 წლის 20 დეკემბრის საბჭოს 85/577/EEC დირექტივა მომხმარებელთა დაცვის შესახებ ბიზნეს ოფისიდან დაშორებით მოლაპარაკებულ ხელშეკრულებებთან მიმართებით; 1993 წლის 5 აპრილის საბჭოს 93/13/EEC დირექტივა მომხმარებელთა ხელშეკრულებებში არასამართლიანი პირობების შესახებ; 1997 წლის 20 მაისის ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 97/7/EC მომხმარებელთა დაცვის შესახებ დისტანციურ ხელშეკრულებებთან მიმართებით და 1999 წლის 25 მაისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 1999/44/EC დირექტივა სამომხმარებლო საქონლის გაყიდვისა და მასთან დაკავშირებული გარანტიების ზოგიერთი ასპექტის შესახებ.¹⁵

მომხმარებელთა უფლებების შესახებ სხვადასხვა სახის დირექტივების რეფორმა, მოტივირებული იყო ერთიანი ჰორიზონტალური ეფექტის მქონე აქტის შექმნით, რომელიც აღმოფხვრიდა ყველა მანამდე არსებულ წინააღმდეგობას და უზრუნველყოფდა მომხმარებელთა თამამ მონაწილეობას ტრანს-სასაზღვრო სავაჭრო ტრანზაქციებში. ამასთან, მას უნდა ჰქონოდა სრული ჰარმონიზაციის ეფექტი. ევროკავშირის 2011/83 დირექტივამ მომხმარებელთა უფლებების შესახებ ზემოთ დასახელებული ოთხი დირექტივა ერთიანი რეგულირების სივრცეში მოაქცია. კერძოდ, იგი განსაზღვრავს საერთო წესებს დისტანციურად და სარეწ გარეთ დადებული ხელშეკრულებებისათვის, ადგენს ამ ვითარებაში დადებულ ხელშეკრულებებზე უარის თქმის უფლებას, ითვალის-

¹⁴ რეგულირების ზეგავლენის შეფასება საქართველოს კანონპროექტზე „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“, 2019, ხელმისაწვდომია http://lawlibrary.info/ge/books/giz2020_GEO_RIA_CRP_Law.pdf [06.12.2020].

¹⁵ Directive 2011/83/EU Of The European Parliament and of The Council of 25 October 2011, Official Journal of European Union, L304/64, 22.11.2011.

სწინებს მომხმარებელთა ინფორმირების ვალდებულებას.¹⁶

3. საქართველოს კანონპროექტი „მომხმარებელთა უფლებების შესახებ“ და მის წინაშე არსებული გამოწვევები.

„მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე 2013 წელს დაიწყო მუშაობა საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტმა. აღნიშნულ პროცესში მონაწილეობდნენ საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების, მომხმარებელთა უფლებების დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების, ბიზნესის წარმომადგენლები და ექსპერტები.¹⁷ სწორედ ამ კომიტეტის ინიციატივით, 2015 წლის ივლისში საქართველოს პარლამენტში დაიწყო „მომხმარებლის უფლებების შესახებ“ კანონპროექტის განხილვა. თუმცა, კანონპროექტს არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა როგორც თავად პარლამენტში, ისე სამთავრობო უწყებებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებში. კანონპროექტის კრიტიკის ძირითადი მიზეზი იყო შიში იმისა, რომ მომხმარებელთა უფლებების დაცვისას შესაძლოა დაზარალებულიყო ბიზნესის ინტერესები.¹⁸

¹⁶ იხ. თ. ლაკერბაია, ხელშეკრულების უარყოფის უფლება: ქართული და ევროპული სახელშეკრულებო სამართლის შედარებითი ანალიზი, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ხელმისაწვდომია http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertacie_bi_samartali/tamar_lakerbaia.pdf [06.12.2020].

¹⁷ რეგულირების გავლენის შეფასება საქართველოს კანონის პროექტზე „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2016, 3. ხელმისაწვდომია http://www.economy.ge/uploads/files/2017/reformebi/ria_final_consumer_protection_moesd_.pdf [06.12.2020].

¹⁸ რეგულირების ზეგავლენის შეფასება საქართველოს კანონპროექტზე „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“, 2019, 8. ხელმისაწვდომია http://lawlibrary.info/ge/books/giz2020_GEO_RIA_CRP_LAW.pdf [06.12.2020].

2017 წელს კი საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის ახალმა შემადგენლობამ განაახლა მუშაობა კანონპროექტზე. ევროკავშირის რეგულაციების მოთხოვნების გათვალისწინებით, კომიტეტმა, დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციით, დაიწყო კანონპროექტის ძირეული გადამუშავება.¹⁹

კანონპროექტი მოიცავს შემდეგ საკითხებს: განსაზღვრავს მომხმარებლისა და მოვაჭრის ცნებებს; ფოკუსირდება სავაჭრო ურთიერთობებზე, ხელშეკრულებებსა და მათ პირობებზე.

ადგენს, ხელშეკრულების დადებამდე მოვაჭრის მიერ პროდუქტის შესახებ მომხმარებლის ინფორმირების ვალდებულებებს; ასევე, მოთხოვნებს ინფორმაციის მინოდების სახის, შინაარსისა და ფორმისადმი; ადგენს სპეციალურ მოთხოვნებს სარენის გარეთ დადებული და დისტანციური ხელშეკრულებებისთვის. კანონპროექტი განმარტავს, რა იგულისხმება ასეთ ხელშეკრულებებში და როგორ უნდა დაიდოს ისინი; ასევე, ადგენს ასეთი ხელშეკრულებების დადებისას მოვაჭრის მიერ მომხმარებლის ინფორმირების დამატებით ვალდებულებებს; მომხმარებელს ანიჭებს სარენის გარეთ დადებულ და დისტანციურ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას და საზღვრავს უარის თქმისა და პროდუქტის დაბრუნების ვადებს, პირობებსა და შედეგებს; ასევე, ადგენს გამონაკლის შემთხვევებს, როდესაც მომხმარებელს არ შეუძლია ამ უფლების გამოყენება; აწესებს გარანტიის პირობებს მომხმარებლისა და მოვაჭრის უფლებებსა და ვალდებულებებს ხელშეკრულებასთან შეუსაბამო პროდუქტის შემთხვევებისთვის. კანონპროექტი ასევე ადგენს ასეთ შემთხვევებში მომხმარებლის მიერ მისთვის მინიჭებული უფლებების გამოყენების ვადებს; განსაზღვრავს საფუძვლებს, როდესაც ხელშეკრულების სტანდარტული პირობები შეიძლება ჩაითვალოს უსამართლოდ და ბათილად; განმარტავს, რა შეიძლება ჩაითვალოს უსამართლო კომერციულ პრაქტიკად, ასხვავებს ასეთი პრაქტიკის სახეებს (მოქმედებით გამოხატული, უმოქმედობით გამოხატული, აგრესიული) და

¹⁹ იქვე.

მხასიათებლებს; ადგენს ამ აქტით დადგენილი მოთხოვნების აღსრულებაზე პასუხისმგებელ ორგანოს, კონკურენციის სააგენტოს. განსაზღვრავს სააგენტოს უფლებამოსილებებსა და ვალდებულებებს. ადგენს გამონაკლის სფეროებს, რომელზეც არ ვრცელდება კანონპროექტით გათვალისწინებული ზოგიერთი მექანიზმი.²⁰

როგორც ზემოთ აღინიშნა, სამომხმარებლო სფეროს რეფორმა საქართველოში ეფუძნება ასოცირების შეთანხმებაში მითითებულ ევროპულ დირექტივებს. საგულისხმოა, რომ კანონპროექტში ასახულია 2011/83 დირექტივის დებულებები. ასევე დირექტივა 93/13 უსამართლო პირობების შესახებ; დირექტივა 99/44 სამომხმარებლო საქონლის ნასყიდობის ხელშეკრულებების შესახებ; დირექტივა 2005/29 კომერციულ პრაქტიკაზე და დირექტივა 84/540 შეცდომაში შემყვანი რეკლამის შესახებ. ხოლო ევროკავშირის შესაბამისი საკანონმდებლო ღონისძიებები, რომლებიც 2011 წლის შემდგომ იქნა მიღებული, არც ასოცირების შეთანხმებაში არ არის ასახული და არც კანონპროექტში გათვალისწინებული არ არის. ესენია: დირექტივა 2014/17 იპოთეკაზე; დირექტივა 2014/65/ MiFID II (ბაზრები ფინანსურ ინსტრუმენტებში II) და MiFIR (ბაზრები ფინანსურ ინსტრუმენტებში და დებულება ცვლილებების შეტანის შესახებ); რეგულაცია 600/2014; დირექტივა 2014/92 საანგარიშსწორებო ანგარიშის შესახებ; დირექტივა 2015/2302 ტურისტული პაკეტების შესახებ;

დირექტივა 2013/11 დავის ალტერნატიული წესით გადაწყვეტის შესახებ; დებულება 524/2013 დავების ონლაინ გადაწყვეტის შესახებ; რეკომენდაცია 2013/396 ზიანის კოლექტიურ ანაზღაურებაზე.²¹

შეჯამება

წინამდებარე მოხსენების ფარგლებში განხილული საკითხები ცხადყოფენ, რომ მომხმარებელთა უფლებების დაცვა ქვეყნის ევროპული განვითარების ერთ-ერთი პრიორიტეტია. მართალია, სამომხმარებლო სფეროში მიმდინარე რეფორმა სრულად ეფუძნება ევროკავშირის მომხმარებელთა უფლებების მარეგულირებელ აქტებს, თუმცა სამართლებრივი ჰარმონიზაციის პროცესის ფარგლებში ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა დაგეგმილ საკანონმდებლო ცვლილებებსა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ტრანსფორმაციას შორის მართებული ურთიერთმიმართების ჩამოყალიბება. ნათელია, რომ 2013 წლიდან დღემდე, მიუხედავად მრავალი დაინტერესებული პირის ჩართულობისა, მათ შორის საერთაშორისო ექსპერტების და დონორი ორგანიზაციების²² მხარდაჭერისა, რეფორმა ბოლომდე მიყვანილი არ არის. ამიტომაც, ამ ეტაპისათვის არარელევანტურია როგორც კანონპროექტის ტექსტის შინაარსობრივი განხილვა, ასევე მისი სამომავლო შედეგების განჭვრეტა.

²⁰ იქვე. ასევე იხ. პროფ. ჰანს-ვ. მიკლიცი, მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ საქართველოს კანონპროექტის სამართლებრივი ანალიზი (2017 წლის მარტის მდგომარეობით) ხელმისაწვდომია http://lawlibrary.info/ge/books/2018GIZ-GE-Comparative-Research-Consumer_Law.pdf.pdf [06.12.2020].

²¹ პროფ. ჰანს-ვ. მიკლიცი, მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ საქართველოს კანონპროექტის სამართლებრივი ანალიზი (2017 წლის მარტის მდგომარეობით) ხელმისაწვდომია http://lawlibrary.info/ge/books/2018GIZ-GE-Comparative-Research-Consumer_Law.pdf.pdf [06.12.2020].

²² გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ).

უცხოური ფულადი ვალდებულება

გონა ოყრეშიძე
ადვოკატი

I. შესავალი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის („სსკ“) 389-ე მუხლმა ბევრი კრიტიკა დაიმსახურა ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში. კერძოდ, კრიტიკის უმთავრესი წყარო გახდა მოსაზრება, რომ სსკ 389-ე მუხლის ტექსტი ეწინააღმდეგება ნომინალიზმის პრინციპს.¹ თუმცა, შესაძლოა, აღნიშნული კრიტიკა, მეტწილად, განპირობებული იყოს მუხლის შინაარსის არასწორი გაგებით.

ჯერ კიდევ 2000-იანი წლების დასაწყისში ქართულ სასამართლო პრაქტიკაში გახშირდა შემთხვევები, როდესაც კრედიტორი სსკ 389-ე მუხლზე აპელირებით ითხოვდა მოვალეს შეთანხმებით დადგენილ ნომინალზე მეტი თანხა დაკისრებოდა, რაც ზოგიერთმა სასამართლომ

¹ ნომინალიზმის პრინციპის თანახმად, ნომინალში გამოხატული ფულადი ვალდებულება უნდა შესრულდეს ამავე ნომინალის მიხედვით, ფულის ერთეულის მსყიდველობითი ღირებულება კი უმნიშვნელოა. ხშირად პრინციპი გამოიხატება ფორმულით ევრო = ევრო, დოლარი = დოლარი. BeckOK BGB/Grothe, 57. Ed. 1.2.2020 Rn. 12, BGB § 244 Rn. 12. პრინციპის პრაქტიკული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ფულის ერთეულის მსყიდველობითი ღირებულების შეცვლის მიუხედავად, მოვალე ვალდებულია დააბრუნოს მიღებული ნომინალი. ერთი შეხედვით ისე ჩანს, რომ სსკ 389-ე მუხლი ეწინააღმდეგება ნომინალიზმის პრინციპს, ვინაიდან მუხლის თანახმად კურსის ცვლილებისას „მოვალე ვალდებულია გადაიხადოს იმ კურსით, რომელიც შეესაბამება ვალდებულების წარმოშობის დროს.“

გაიზიარა და დააკმაყოფილა.² სამოქალაქო კოდექსის პირველი კომენტარი პრობლემას შემდეგნაირად აყალიბებს:

² მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლო ერთ-ერთ საქმეში არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მიერ სსკ 389-ე მუხლის საფუძველზე ვალდებულების მოცულობის გაზრდას. სუსგ №3კ/411, 26/07/2000 [„მართალია, სააპელაციო სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში პირდაპირ არ მიუთითებს ამ მუხლის გამოყენებაზე, მაგრამ სარჩელის მოთხოვნას ლარის კურსის ცვალებადობის შესაბამისად როცა აკმაყოფილებს და მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული დავალიანების ნაცვლად გადიდებული რაოდენობის თანხის გადახდას აკისრებს ცხადია, ამას ახდენს სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლის შინაარსის არასწორი გაგებით, ამასთან სათანადო დასაბუთების გარეშე.“]; მსგავსი შემთხვევა დაფიქსირდა სხვა საქმეებშიც. სუსგ №3კ/551-01, 27/06/2001 [„სააპელაციო სასამართლოს მიერ სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლის გამოყენებაც არასწორია. აღნიშნული მუხლი არეგულირებს ფულადი ერთეულის კურსის შეცვლისას ფულად ვალდებულებით ურთიერთობებს, მაგრამ აღნიშნული როდინიშნავს იმას, რომ კანონის მითითებული ნორმა გამოიყენება ლარით გადახდის ვალდებულებითი ურთიერთობის მონესრიგების დროს, მაშინ, როცა არც კურსი და არც ვალუტა არ შეცვლილა. ... აქედან გამომდინარე საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო პალატას სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლზე დაყრდნობით და ინფლაციის გათვალისწინებით არ უნდა მოეხდინა მოპასუხისათვის თანხების გადასახდელად დაკისრება.“]; სუსგ №3კ/614-01, 18/07/2001 [„სწორია კასატორის მითითება იმის შესახებ, რომ სააპელაციო სასამართლოს არ უნდა დაეკმაყოფილებინა მოსარჩელის მოთხოვნა ინფლაციის გათვალისწინებით. ინფლა-

სასამართლოების პრაქტიკაში 389-ე მუხლის შინაარსი განსხვავებული პრეცედენტების წყარო გახდა და ამისი ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ მასში არც ისე ნათლად და ცალსახადაა გამოკვეთილი ფულადი ვალდებულების შესრულების მსოფლიო პრაქტიკაში აღიარებული ფუძემდებლური პრინციპი, რომელსაც ნომინალიზმის პრინციპი ჰქვია. საკითხავია, რა უნდა ვიგულისხმოდ 389-ე მუხლის პირველი წინადადების შინაარსში, კერძოდ, ფულის ერთეულის გაზრდის ან შემცირების, ანდა ვალუტის შეცვლის ქვეშ და რა შედეგებს იწვევს იგი მხარეთა ურთიერთობაში?³

საკითხში სიცხადის შეტანა სცადა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, რომელმაც 2000 წლის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ „ფულადი ვალდებულებების შეს-

ციის შესაბამისად გადახდის საკითხთან დაკავშირებით, საკასაციო პალატამ ჯერ კიდევ 2000 წლის 5 აპრილს გამოტანილ გადაწყვეტილებაში (სს ქუთაისის „ბ.-სა“ და სს „ქ.-ის“ შორის დავასთან დაკავშირებით) მისცა განმარტება.“³; სუსგ №3კ-734-02, 26/06/2002 [„სააპელაციო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მოსაზრება ლარის კურსის დაცემის შესახებ და მიუთითა, რომ სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლის შესაბამისად მოვალე ვალდებული იყო, დაებრუნებინა ფულის ნიშნის იგივე რაოდენობა, რამდენიც სესხად მიიღო. ... სწორია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ საქალაქო სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლი და ლარის ინფლაციის გათვალისწინებით სესხად გაცემული ლარის უკან დაბრუნება გადაწყვიტა. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ სწორად მიუთითა, რომ სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლის შესაბამისად მოვალე ვალდებული იყო, დაებრუნებინა იგივე რაოდენობის თანხა რაც სესხად იქნა გაცემული, ვინაიდან ლარს ინფლაცია არ განუცდია.“]. იხ. ასევე: ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე (2001) 345; ჭეჭელაშვილი ზ., სახელმეკრულებო სამართალი (2010) 149; მესხიშვილი ქ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III (2019) 551.

³ ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე (2001) 345-346.

რულების დროს სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ადგილი აქვს დენომინაციას ანუ ფულის ერთეულის (კურსის) გაზრდას ან შემცირებას. ასევე, ვალუტის შეცვლას და ეროვნული ვალუტის ჰიპერინფლაციას.“⁴

⁴ სუსგ №3კ/428, 05/04/200. აღსანიშნავია, რომ სსკ 389-ე მუხლზე მსჯელობისას ხშირად გაურკვეველი რჩება ტერმინების მნიშვნელობა. უშუალოდ სსკ 389-ე მუხლი იყენებს შემდეგ ტერმინებს: (1) ფულის ერთეულის (კურსი) გაზრდა/შემცირება; და (2) ვალუტის შეცვლა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკასა და იურიდიულ ლიტერატურაში სსკ 389-ე მუხლზე მსჯელობისას არ არის ნათელი კონკრეტულად რა იგულისხმება ტერმინებში „დენომინაცია“, „ვალუტის კურსი“, „ვალუტის შეცვლა“ და „ვალუტის ჰიპერინფლაცია“. მაგალითად, ზოგადად, ფულის დენომინაცია მისი კუპიურა (მაგ. 5 ლარიანი კუპიურა, ან 1 დოლარიანი კუპიურა). Denomination, Black's Law Dictionary (10th ed. 2014) [„1. რალაციისთვის სახელის დარქმევა; ... 3. მონეტაზე, ბეჭედზე ან ქალაქის ფულზე გამოსახული ღირებულება.“]. შესაბამისად, ფულის დენომინაცია (ან, თუნდაც, დენომინაციის ცვლილება) კუპიურაზე გამოსახული ციფრის ცვლილებაა. თუმცა, ტერმინი „დენომინაცია“ უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში სხვა და სხვა მნიშვნელობით გამოიყენება: „სსკ-ის 389-ე მუხლის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ადგილი აქვს დენომინაციას, ანუ ფულის ერთეულის (კურსის) გაზრდას ან შემცირებას. ასევე, ვალუტის შეცვლას და ეროვნული ვალუტის ჰიპერინფლაციას.“ სუსგ №ას-1298-2018, 22/03/2019; სუსგ №ას-1328-2019, 18/09/2020. თუმცა, თავად უზენაესი სასამართლო მიუთითებს, რომ „ფულის კურსი ნიშნავს ერთი ქვეყნის ფულის ერთეულის ღირებულებას, გამოხატულს სხვა ქვეყნის ფულის ერთეულით.“ სუსგ №3კ/614-01, 18/07/2001; სუსგ №3კ/467-01, 27/06/2001; სუსგ №3კ/551-01, 27/06/2001; სუსგ №3კ-305-2000, 14/07/2000. შესაბამისად, დენომინაცია არ უნდა ნიშნავდეს „ფულის ერთეულის (კურსის) გაზრდას ან შემცირებას.“ ამის საპირისპიროდ, უზენაესი სასამართლო რამდენიმე საქმეში უფრო სწორად განმარტავს დენომინაციის მნიშვნელობას: „[დენომინაცია] გულისხმობს, ქალაქის ფულის ნიშნების სახელის გამოცვლას და მათი ნომინალური ღირებულების შემცირებას.“ სუსგ №ას-831-831-2018, 22/03/2019; სუსგ №ას-

აღნიშნულ მიდგომას ერთხმად იზიარებს უზენაესი სასამართლოს შემდგომი გადაწყვეტილებებიც.⁵

იურიდიულ ლიტერატურაში სსკ 389-ე მუხლთან დაკავშირებით ყურადღება, ძირითადად,

1162-2018, 08/02/2019; სუსგ №ას-1269-1189-2017, 15/12/2017.

⁵ სუსგ №3კ305, 14/07/2000 [„მითითებული კანონიდან გამომდინარე ფულის ერთეულის გაზრდა ან შემცირება გულისხმობს ფულის რეფორმას, რაც ფულის სისტემის განმტკიცებისათვის გატარებული სახელმწიფო საკანონმდებლო აქტია, რომლის შედეგად ქვეყანაში ფულის მოქმედი სისტემიდან სხვა სისტემაზე გადასვლა ხდება. ამ დროს მიმოქცევიდან ამოიღება გაუფასურებული ფული და მის ადგილს იკავებს ახალი ფული, იცვლება ფულის ერთეული, ან მისი ოქროს შემცველობა, რის შემდეგ დგინდება ფულადი ერთეულის, ფულის ნიშნის ფორმა და ეროვნული ვალუტის კურსი. ფულის კურსი კი ნიშნავს ერთი ქვეყნის ფულის ერთეულის ღირებულებას გამოხატულს სხვა ქვეყნის ფულის ერთეულით. ვალუტის შეცვლა გულისხმობს ქვეყანაში არსებული ფულის ნიშნის შეცვლას.“]; სუსგ №3კ/411, 26/07/2000 [„პალატა თელის, რომ ფულადი ვალდებულების შესრულების დროს სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ადგილი აქვს დენომინაციას, ანუ ფულის ერთეულის (კურსის) გაზრდას ან შემცირებას, ასევე, ვალუტის შეცვლას და ეროვნული ვალუტის ჰიპერინფლაციას.“]; სუსგ №3კ/551-01, 27/06/2001; სუსგ №3კ/467-01, 27/06/2001; სუსგ №3კ/614-01, 18/07/2001; სუსგ №3კ-734-02, 26/06/2002; სუსგ №3კ-774-02, 23/10/2002; სუსგ №3კ-371-03, 20/05/2003; სუსგ №3კ-693-03, 02/07/2003; სუსგ №3კ-667-03, 30/07/2003; სუსგ №ას-310-604-04, 04/06/2004; სუსგ №ას-292-573-03, 22/07/2004; სუსგ №ას-1074-1320-04, 16/11/2004; სუსგ №3კ-1484-02, 18/10/2005; სუსგ №ას-870-1138-05, 09/03/2006; სუსგ №ას-86-530-06, 11/09/2006; სუსგ №ას-1096-1125-2011, 06/10/2011; სუსგ №ას-1512-1427-2012, 01/12/2014; სუსგ №ას-130-122-2017, 24/03/2017; სუსგ №ას-1269-1189-2017, 15/12/2017; სუსგ №ას-54-54-2018, 13/02/2018; სუსგ №ას-1162-2018, 08/02/2019; სუსგ №ას-831-831-2018, 22/03/2019; სუსგ №ას-1298-2018, 22/03/2019; სუსგ №ას-1826-2018, 10/04/2020; სუსგ №ას-1328-2019, 18/09/2020.

ნომინალიზმის პრინციპზეა გამახვილებული. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 2019 წლის კომენტარი სსკ 389-ე მუხლთან დაკავშირებით მიუთითებს, რომ „ნორმა, თავისი სიტყვასიტყვითი დანიშნულებით ნომინალიზმის პრინციპისაგან განსხვავებულ წესს ადგენს. ... კურსის ყოველი ცვლილება გამოიწვევს ფულადი ვალდებულების გადაანგარიშებას ვალდებულების ნარმოშობის დროს არსებული კურსის მიხედვით, რაც დაუშვებელია და ეწინააღმდეგება ნომინალიზმის პრინციპს.“⁶ მსგავსი კრიტიკაა გამოთქმული სსკ 389-ე მუხლის თაობაზე დაწერილ სხვა ნაშრომებშიც.⁷

⁶ მესხიშვილი ქ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი III (2019) 550, 553. აღსანიშნავია, რომ ახალი კომენტარი არა მხოლოდ აცდენილია მუხლის რეალურ შინაარსს, არამედ განმარტების პრინციპულად მცდარ მეთოდებს იყენებს. კერძოდ, ავტორი მიუთითებს, რომ სსკ 389-ე მუხლი ეწინააღმდეგება ნომინალიზმის პრინციპს, „რაც დაუშვებელია.“ თუმცა, სსკ 389-ე მუხლი სამართლის წყაროა, [სსკ მუხლი 2, „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის მუხლი 2(1), 2(2), 7(2)(გ) მუხლები], ნომინალიზმის პრინციპი კი, მისი იურიდიული თუ ეკონომიკური მნიშვნელობის მიუხედავად, არ არის სამართლის წყარო. ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი (2011), 41 [„კონტინენტური ევროპის სამართალში კანონი სამართლის უმთავრესი წყაროა.“]. შესაბამისად, თუკი საუბარია წინააღმდეგობაზე, ეს ნომინალიზმის პრინციპი ეწინააღმდეგება სსკ 389-ე მუხლს და არა პირიქით. სამწუხაროდ, არა მხოლოდ იურიდიულ ლიტერატურაში, არამედ სასამართლო პრაქტიკაშიც შეიმჩნევა კანონის ნორმათა უგულებელყოფის მანკიერი ტენდენცია, როცა მოსამართლეს ნორმა უსამართლო ან, სხვაგვარად, მიზანშეუწონელი ეჩვენება და მას უგულებელყოფს. ითვალისწინებდა რა კანონმდებელი ამგვარ საფრთხეს, სსკ 4(2) მუხლში პირდაპირ მიუთითა, რომ „სასამართლოს არა აქვს უფლება უარი თქვას კანონის გამოყენებაზე იმ მოტივით, რომ მას კანონის ნორმა უსამართლოდ ან არაზნეობრივად მიაჩნია.“ თუმცა, როგორც აღმოჩნდა, თავად სსკ 4(2) მუხლიც არ არის უგულებელყოფისგან დაზღვეული.

⁷ დუნდუა ლ., ნომინალიზმის პრინციპის სამართლებრივი ბუნება, თემიდა, სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი, №9(11)-2014, 3-12; მესხიშვილი ქ., ვალუტის კურსის ცვლილების ზეგავლენა სამოქალაქო

ავტორის მოსაზრებით, სსკ 389-ე მუხლის მიმართ გამოთქმული კრიტიკა, ძირითადად, განპირობებულია იმ გარემოებით, რომ არ მომხდარა მისი შედარებით სამართლებრივი კვლევა, რის ფარგლებშიც მოხდებოდა ნორმის შედარება სხვა ქვეყნებში მოქმედ ანალოგიურ დანაწესებთან. ამასთან, გარკვეულ შემთხვევებში, საკამათო განმარტებები კეთდება, თავად, ნომინალიზმის პრინციპის თაობაზეც.⁸ წინამ-

ლაქო ურთიერთობებზე, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, V გამოცემა, (2016), 2 [„ნომინალიზმის პრინციპს ქართულ კანონმდებლობაში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლი ითვალისწინებს. თუმცა, ნორმის ტექსტი ჯეროვან განმარტებას საჭიროებს, რადგან მითითებული ნორმის შინაარსი წინააღმდეგობრივია და ზუსტად არ ასახავს ნომინალიზმის პრინციპისათვის დამახასიათებელ ნიშნებს.“]; მესხიშვილი ქ., კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, ტომი I (2020), 127-140; ჯაშიაშვილი ნ., ნომინალიზმის პრინციპი და სახელშეკრულებო სამართლიანობა, კერძო სამართლის მიმოხილვა, №2 (2019), 254 [„ნომინალიზმის არსი ის არის, რომ ანგარიშსწორებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ფულის ნომინალს და არა მის მსყიდველობუნარიანობას. აღნიშნულის საწინააღმდეგოზე მიუთითებს 389-ე მუხლის დანაწესი.“]; ძლიერიშვილი ზ./ცერცვაძე გ./რობაქიძე ი./სვანაძე გ./ცერცვაძე ლ./ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი (2014), 261-265.

⁸ არაერთი ავტორი მიუთითებს, რომ ნომინალიზმის პრინციპს საჯარო წესრიგის დამდგენი მნიშვნელობა აქვს. ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე (2001), 348 [„ნომინალიზმის პრინციპი შეიძლება ჩავთვალოთ სამოქალაქო ბრუნვაში საჯარო წესრიგის გამომხატულებად.“]; მესხიშვილი ქ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III (2019) 549 [„ნომინალიზმის პრინციპი სამოქალაქო ბრუნვაში საჯარო წესრიგის გამომხატულებად.“]. აღნიშნულ განმარტებას უზენაესი სასამართლოც ეთანხმება. სუსგ №ას-1162-2018, 08/02/2019, 11.14 [„ნომინალიზმის პრინციპი სამოქალაქო ბრუნვაში საჯარო წესრიგის მტკიცებულება.“]; სუსგ №ას-1298-2018, 22/03/2019, 99 [„საკასაციო პალატა განმარტავს, რომ „ნომინალიზმის პრინციპი“ შეიძლება ჩაითვალოს სამოქალაქო ბრუნვაში საჯარო წესრიგის გამომხატულებად.“]. თუმცა, ეს მითითება დაზუსტე-

ბას საჭიროებს ორი მიმართულებით. პირველ რიგში, ნომინალიზმის პრინციპს ამგვარი სტატუსი არ აქვს ყველა ქვეყანაში (მიუხედავად იმისა, რომ ფულადი ვალდებულების მიმართ მას ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობა უჭერს მხარს). მაგალითად, ანგლო-ამერიკული სამართალი ნომინალიზმის პრინციპს მხარეთა სახელშეკრულებო ურთიერთობის, მათი ნების და განზრახვის ქრილში განიხილავს. *Kariv G., Contracts under Monetary Fluctuations: The Legal Effects of Devaluation*, 65 NW. U. L. REV. 533, 541 (1970-1971) [„ნომინალიზმის პრინციპის ყველაზე გავრცელებული დასაბუთება ხელშეკრულების მხარეთა განზრახვაა. როდესაც ჩვეულებრივ ვითარებაში ორი მხარე დებს სესხის ხელშეკრულებას, ისინი ვარაუდობენ, რომ გონივრულ ფარგლებში შენარჩუნებული იქნება ფულის მსყიდველუნარიანობა, რომლის უკან დაბრუნებაც იკისრა მსესხებელმა. გამსესხებელი განზრახ არ კისრულობს კურსის დაცემის რისკს და არც ამგვარი რისკის შესაძლებლობას ითვალისწინებს. დიდი ხნის განმავლობაში ფულის ღირებულება, მართლაც, შენარჩუნდა შედარებით სტაბილურად. შესაბამისად, ნომინალიზმი შეიძლება ითქვას, რომ არის მხარეთა ნორმალური განზრახვის განზოგადება; ვალდებულების კისრება ხდება კონკრეტული ბანკნოტებით და არსებობს მოლოდინი, რომ იმავე ნომინალით დაბრუნდება უკან.“]. ხოლო, იმ ქვეყნებში, სადაც ნომინალიზმის პრინციპი საჯარო წესრიგის ნაწილია, ეს ხდება იმის გამო, რომ ქვეყანა საჯარო სამართლის აქტებით არეგულირებს ფულთან დაკავშირებულ საკითხებს. *Brokelind C. Discussion of Some Legal Issues Raised by the Introduction of the Euro (CFE Working Paper Series 25, 2004)* 10 [„ინგლისში ნომინალიზმი არ გამომდინარეობს ფულის მომწესრიგებელი კანონმდებლობიდან, საფრანგეთისგან და გერმანიისგან განსხვავებით, სადაც საკითხი „საჯარო წესრიგის“ კანონებით (ორდინანსები) არის მოწესრიგებული, ვინაიდან ადგილობრივი ეკონომიკის ზედამხედველ ორგანოებს გააჩნიათ თავიანთ ტერიტორიაზე ფასების გარკვეული ასპექტების რეგულირების უფლება.“]. მეორე რიგში, ნომინალიზმის პრინციპი, არსებითად, მნიშვნელოვანია შიდა კანონმდებლობის დონეზე, სადაც ქვეყნის ინტერესია ხელი შეუწყოს ადგილობრივი კურსის სტაბილურობას და მის მიმართ ნდობის ამაღლებას. საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში ნომინალიზმის პრინციპის მნიშვნელობა მცირდება. UNIDROIT 1986, PC—Misc 8, 13

[<https://www.unidroit.org/english/documents/1986/study50/s-50-misc-08-e.pdf>] „მე-5 მუხლთან დაკავშირებით, სამუშაო ჯგუფმა გადაწყვიტა მისი ამოღება. სამუშაო ჯგუფის წევრებმა მიიჩნიეს, რომ თუმცა ადგილობრივი კანონმდებლობის დონეზე, შესაძლოა, გამართლებული იყოს ნომინალიზმის პრინციპის აღიარება, რამდენადაც თითოეულ ქვეყანას სურს აჩვენოს საკუთარი ვალუტის სიმყარის მიმართ ნდობა, საერთაშორისო დონეზე არა მხოლოდ არ არსებობს მსგავსი დასაბუთება, არამედ, ასევე, არ იყო ცხადი თუ რა მიმართება იქნებოდა ნომინალიზმის პრინციპსა და ვალდებულებათა გართულების შემთხვევაში ხელშეკრულების მისადაგების წესებს შორის.“]. საჯარო წესრიგის ერთ-ერთი მახასიათებელი არის ის, რომ იგი გამორიცხავს მხარეთა ნების ავტონომიას. სწორედ ამიტომ, ფასთან დაკავშირებული შეთანხმებები კომპლექსურ საკანონმდებლო რეგულირების ქვეშ ექცევა. მაგალითად, გერმანული სამართალი, გარკვეული გამოწვევებით, კრძალავს გარე ფაქტორებზე მითითებით ფულადი ვალდებულების ავტომატურ ცვლილებას. *MüKoBGB/Grundmann*, 8. Aufl. 2019, BGB § 245 Rn. 62-82; *BeckOK BGB/Grothe*, 57. Ed. 1.2.2020 Rn. 17, BGB § 244 Rn. 17-25; *HK-BGB/Reiner Schulze*, 10. Aufl. 2019, BGB § 244 Rn. 12-22; *NK-BGB/Daniela A. Bergdolt*, 4. Aufl. 2021, BGB § 245 Rn. 31-42; *Jauernig/Berger*, 18. Aufl. 2021, BGB §§ 244, 245 Rn. 18-20. ნომინალიზმის პრინციპის კერძოსამართლებრივ ხასიათს კარგად აჩვენებს მხარეთა უფლება შეთანხმებით დააზღვიონ ვალუტის კურსის ცვლილება. *ჭანტურია ლ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე (2001) 348 [„თუკი მხარეები ითვალისწინებენ ფულის კურსის შესაძლო ცვლილებებს, მათ შეუძლიათ ამ ცვლილებათა უარყოფითი შედეგებისაგან თავი დაიზღვიონ სხვადასხვა დათქმებით.“]; *მესხიშვილი ქ.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III (2019) 557. [„თუ ნომინალიზმი მხარეთა რეალურ ან ნაგულისხმევ განზრახვაზე დაფუძნებული, მათ რჩებათ თავისუფლება, რომ სანინალმდეგო განზრახვა ხელშეკრულების პირობებში განაცხადონ, რათა ფულის ერთეულის (კურსის) შედეგებისაგან თავი დაიცვან. თუ ისინი ამ შესაძლებლობას არ გამოიყენებენ, მათ ეკისრებათ რისკიც.“]. შესაბამისად, ნომინალიზმის პრინციპი მიმართულია ბრუნვის სტაბილურობის და მხარეთა ინტერესების დაცვისაკენ. თუკი აღნიშნულ მიზანს ვერ აღწევს, გარკვეულ შემთხვევებში, კანონმდებელი უარს ამბობს ნომინალიზმის პრინციპზე და მხარს

უჭერს ვალორიზმის პრინციპს. ვალორიზმი ნომინალიზმს ორი ძირითადი მიმართულებით ზღუდავს: (1) კურსის არსებითი ცვლილებისას დასაშვებია ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი; და (2) ზოგიერთი ფულადი ვალდებულება მიზნად ისახავს კრედიტორისათვის გარკვეული ღირებულების გადაცემას (მაგ. ზიანის ანაზღაურებისას პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა), რა დროსაც ნომინალზე მნიშვნელოვანი ვალდებულების რეალური ეკონომიკური ღირებულებაა. ამიტომ, ასეთ დროს თავად ვალდებულება განსაზღვრავს გადასახდელი ფულის ოდენობას და არა პირიქით. *BeckOK BGB/Grothe*, 57. Ed. 1.2.2020 Rn. 13, BGB § 244 Rn. 13. ეს უკანასკნელი დასაშვებია მაშინ, როცა კრედიტორს გააჩნია ლეგიტიმური ინტერესი ფულადი ვალდებულების ღირებულება დადგინდეს არა ნომინალით, არამედ ვალდებულების რეალური ღირებულებით. *MüKoBGB/Grundmann*, 8. Aufl. 2019, BGB § 245 Rn. 87-88. ერთ-ერთ საქმეში საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ნომინალიზმის პრინციპი არ გაავრცელა ამხანაგობაში განხორციელებული შენატანის უკან დაბრუნების ვალდებულებაზე. *სუსგ №ას-239-564-09*, 17/09/2009 [„პალატა მიიჩნევს, რომ სასამართლოს სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლი არ უნდა გამოყენებინა. აღნიშნული ნორმა ვრცელდება იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეს აკისრია თანხის გადახდის ვალდებულება. მოცემულ შემთხვევაში მოპასუხეს ბინის აშენება ევალებოდა. დღეისათვის კი თანხის დაბრუნების შემთხვევაში უნდა დაბრუნდეს მოსარჩელის მიერ გადახდილი თანხით აშენებული ფართის ღირებულების შესაბამისი თანხაა.“]. *ძლიერიშვილი ზ./ცერცვაძე გ./რობაქიძე ი./სვანაძე გ./ცერცვაძე ლ./ჯანაშია ლ.*, სახელმეკრულებო სამართალი (2014) 296-299; *მესხიშვილი ქ.*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III (2019) 550 [„ნომინალიზმის პრინციპი არ ვრცელდება იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულება, მართალია, გარკვეულ ფულად თანხაშია დაწესებული, თუმცა ეს თანხა ნატურით შესრულების სანაცვლოდ არის დადგენილი, ან საკომპენსაციო თანხაა, ან კიდევ ზიანის ანაზღაურებას ემსახურება. ასეთ შემთხვევაში, ფულადი ვალდებულება უნდა შესრულდეს ნატურით შესასრულებელი ქონების ეკვივალენტურად, მიყენებული ზიანის პროპორციულად, გადასაცემი ქონების ღირებულების შესაბამისად და ა. შ. მაგ., პირს კომპანიისაგან ბინა უნდა მიეღო. კომპანიამ მასზე დაკისრებული ვალდებულება ვერ შეასრულა, თუმცა ბინის ნაცვლად 1 კვ.მ. ფართის კომპენსაციის ვა-

დებარე სტატიის მიზანია მხარი დაუჭიროს მოსაზრებას, რომ, სსკ 389-ე მუხლი ანესრიგებს უცხოური ფულადი ვალდებულების შესრულების საკითხებს და იგი არ ეწინააღმდეგება ნომინალიზმის პრინციპს.

უპირველეს ყოვლისა, ამგვარი ინტერპრეტაცია შეესაბამება სსკ 389-ე მუხლის ტექსტს.⁹ კერძოდ, სსკ 389-ე მუხლის პირველი წინადა-

დებულება იკისრა. საკომპენსაციო თანხად კი 150 აშშ-ის დოლარი განსაზღვრა. კომპანიამ დათქმულ ვადაში ვალდებულება ვერ შეასრულა. პირმა სასამართლოში სარჩელი აღძრა და სარჩელის აღძვრის დროისათვის 1 კვ. მ. ფართის ღირებულების, კერძოდ, 300 აშშ-ის დოლარის ანაზღაურება მოითხოვა. სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში არ ყოფილა ფულადი ვალდებულება. ფულადი თანხის გადახდის ვალდებულება მხარემ უძრავი ქონების საკომპენსაციოდ აღიარა, შესაბამისად, გადასახდელი თანხა, როგორც კომპენსაცია, უძრავი ქონების ღირებულების ეკვივალენტური უნდა ყოფილიყო.“]; ჭეჭელაშვილი ზ., სახელშეკრულებო სამართალი (2010) 149 [„აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ თანამედროვე კანონმდებლობაში ნომინალიზმის პრინციპის მოქმედება „შერბილებულია.“ მაგ., ესტონეთის ვალდებულებით-სამართლებრივი კანონის 92-ე მუხლში მითითებულია, რომ ფულადი ვალდებულება უნდა შესრულდეს ნომინალური ღირებულებით გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონი ან ხელშეკრულება სხვაგვარად ითვალისწინებს. ამდენად, მხარეებს ხელშეკრულებით შეუძლიათ გადაუხვიონ ნომინალიზმის ზოგად წესს.“]; დუნდუა ლ., კაკუშაძე გ., კეთილსინდისიერების პრინციპის როლი სასამართლო პრაქტიკის განვითარებაში, GESJ: Jurisprudence | No.1(9) 12-13 [ავტორები განიხილავენ 28/11/1923 წლის გადაწყვეტილებას, რომლითაც გერმანიის საიმპერიო უმაღლესმა სასამართლომ „უარყო ნომინალიზმის პრინციპი გერმანულ მარკასთან დაკავშირებით.“]. უშუალოდ ნომინალიზმის პრინციპის თაობაზე ქართულ ენაზე იხ. მელაძე გ., ნომინალიზმის პრინციპი ფულად ვალდებულებებში, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 12/2020, 70-87.

⁹ კანონის ტექსტი მისი განმარტების ყველაზე მნიშვნელოვანი ნყაროა. ლათინურად ეს პრინციპი შემდეგი მაქსიმით გამოიხატება: *A verbis legis non est recedendum* - არ შეცვალო/არ დაშორდე კანონის ტექსტს.

დება საუბრობს კურსის გაზრდაზე ან შემცირებაზე. თუკი კურსი „ნიშნავს ერთი ქვეყნის ფულის ერთეულის ღირებულებას, გამოხატულს სხვა ქვეყნის ფულის ერთეულით,“¹⁰ მაშინ სსკ 389-ე მუხლის პირველი წინადადების გამოსაყენებლად აუცილებელია ტრანზაქციაში ფიგურირებდეს არა მხოლოდ ქართული, არამედ, ასევე, „სხვა ქვეყნის ფულის ერთეულიც.“¹¹ სსკ 383-ე მუხლი, რომელიც ხსნის ფულადი ვალდებულებების შესრულების თავს, პირდაპირ მიუთითებს, რომ „მხარეებს შეუძლიათ ფულადი ვალდებულება დაადგინონ უცხოურ ვალუტაშიც, თუ კანონით ეს აკრძალული არ არის.“¹² როდესაც ვალის ვალუტა არის უცხოური, ხოლო შესრულება ხდება ქართულ ლარში, ავტომატურად ჩნდება კითხვა, თუ რომელი კურსით უნდა მოხდეს უცხოური ვალუტის ქართულ ლარში კონვერტაცია. აღნიშნულ კითხვას პასუხს სცემს სსკ 389-ე მუხლის პირველი წინადადება, რომელიც უპირატესობას ანიჭებს „ვა-

¹⁰ სუსგ №3კ/614-01, 18/07/2001; სუსგ №3კ/467-01, 27/06/2001; სუსგ №3კ/551-01, 27/06/2001; სუსგ №3კ-305-2000, 14/07/2000.

¹¹ ერთ-ერთი ავტორი სსკ 389-ე მუხლის გამოყენების სირთულეზე საუბრისას, სწორედ, ამ გარემოებაზე ამახვილებს ყურადღებას. ჭეჭელაშვილი ზ., სახელშეკრულებო სამართალი (2010) 149-150 [„კანონი არ განმარტავს, რას ნიშნავს „ფულის კურსი“ ანუ არ ამბობს, მისი განმარტებისას უნდა ვიხელმძღვანელოთ თუ არა ეკონომიკური გაგებით, რომლის თანახმადაც ფულის კურსი ნიშნავს ეროვნული ვალუტის მიმართებას უცხოურ მყარ ვალუტასთან.“].

¹² საქართველოს კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ 34(2) მუხლში ადგენს, რომ „ლარი არის გადახდის ერთადერთი კანონიერი საშუალება საქართველოს ტერიტორიაზე, გარდა თავისუფალი ინდუსტრიული ზონებისა, თავისუფალი ვაჭრობის პუნქტებისა ან/და ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული შემთხვევებისა.“ იხ. ასევე საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 22/01/2015 წლის №8/04 ბრძანება „გადახდის ოპერაციის შესრულების წესის დამტკიცების შესახებ“ [მუხლები 22-23].

ლდებულების წარმოშობის დროს“ არსებულ კურსს.¹³

ამასთან, სსკ 389-ე მუხლი იყენებს ორ ძირითად ტერმინს: (1) ფულის ერთეულის (კურსი) გაზრდა/შემცირება, რასაც კოდექსი უკავშირებს ვალდებულების წარმოშობის დროს არსებულ კურსს; და (2) ვალუტის შეცვლა, რასაც კოდექსი უკავშირებს ვალუტის შეცვლის დღეს ფულად ერთეულებს შორის არსებულ კურსს. სხვა ქვეყნების, ისევე, როგორც საერთაშორისო ინსტრუმენტების ანალიზი აჩვენებს, რომ სსკ 389-ე მუხლის შინაარსი ძალიან ემსგავსება უცხოური ფულადი ვალდებულებების მომწესრიგებელ ნორმებს. მაგალითად, სსკ 389-ე მუხლის ორი წინადადება ემსგავსება (თუმცა არ არის მათი იდენტური) BGB 244-ე და 245-ე პარაგრაფებს. გერმანული კოდექსი კი, რა თქმა უნდა, ქართული კოდექსის უმთავრეს და ყველაზე ძირითად წყაროს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ავტორი ვარაუდობს, რომ სსკ 389-ე მუხლსა და ნაშრომში განხილულ უცხოურ ინსტრუმენტებს შორის მსგავსება არ უნდა იყოს შემთხვევითი.

სსკ 389-ე მუხლის გარშემო არსებული გაუგებრობა, ძირითადად, უკავშირდება, კონკრეტულად, მის გამოყენებას ლარში დაფიქსირებულ ფულად ვალდებულებებზე. სხვაგვარად, უზენაესი სასამართლო არ გამოორიცხავს სსკ 389-ე მუხლის გამოყენებას უცხოური ფულადი ვალდებულებების მიმართ.¹⁴ შესაბამისად, ავ-

¹³ ავტორის მოსაზრებით, ქართველი კანონმდებელი ვალდებულების წარმოშობის დროში გულისხმობს არა, მაგალითად, გარიგების დადების თარიღს, არამედ დროს, როდესაც ვალდებულება გახდა ვადამოსული და უნდა შესრულებულიყო.

¹⁴ ერთ-ერთ საქმეში საქართველოს უზენაესი სასამართლო განმარტავს, რომ „სკ-ის 389-ე მუხლის გამოყენების ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს, აგრეთვე, ის შემთხვევა, როდესაც მხარეები ეროვნული ვალუტის გადახდის ოდენობას დაადგენდნენ უცხოური ვალუტით, მაგრამ არ შეთანხმდებიან გადახდის ვალუტის ფასზე (მაგალითად, აშშ დოლარი), კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ფულადი სესხის (რაც გამოხატულია ეროვნული ვალუტით) გადახდის ოდენობას დაადგენდნენ მყარი ვალუტით (მაგალითად, აშშ დოლარით), ხოლო გადახდის ვადის დადგომამდე ფულის ერ-

ტორი გამოთქვამს ვარაუდს, რომ გაუგებრობა გამოწვეულია იმით, რომ სსკ 389-ე მუხლის ტექსტში პირდაპირ არ არის ნახსენები უცხოური ფულადი ვალდებულება (BGB 244-ე პარაგრაფისგან განსხვავებით). თუმცა, შესაძლოა, ეს იმით აიხსნას, რომ ქართველ კანონმდებელს სურდა სსკ 389-ე მუხლში გაეერთიანებინა BGB 244-ე და 245-ე სექციები, ეს უკანასკნელი კი უცხოურ ფულად ვალდებულებებს არ ეხება.

აღნიშნული მოსაზრება უფრო დამაჯერებელი ხდება მას შემდეგ, რაც თვალს გადავაფლეთ სხვა ქვეყნების გამოცდილებას. ამიტომ, წინამდებარე სტატია იკვლევს სსკ 389-ე მუხლის მსგავს დანაწესებს მსოფლიოს სხვადასხვა იურისდიქციებში. ძირითადად, აქცენტი გაკეთებულია მუხლის პირველ წინადადებაზე, რამდენადაც, გაუგებრობა, სწორედ მას უკავშირდება.¹⁵

II. გერმანული სამართალი

BGB, § 244. ვალდებულება უცხოურ ვალუტაში

(1) თუ ევროსაგან განსხვავებულ ვალუტაში გამოხატული ფულადი ვალდებულება უნდა შესრულდეს ქვეყნის შიგნით, მაშინ გადახდა შეიძლება განხორციელდეს ევროში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვა ვალუტაში გადახდა სპეციალურად არის შეთანხმებული.

(2) გადაცვლა ხორციელდება იმ კურსით, რომელიც გადახდის მომენტისათვის დადგენილია გადახდის ადგილზე.

თეული (კურსი) გაიზრდებოდა ან შემცირდებოდა ან ვალუტა შეიცვლებოდა, რაც მხარეებს ხელშეკრულებით არ გაუთვალისწინებიათ, მოვალე ვალდებული იქნებოდა, გადაეხადა იმ კურსით, რომელიც შეესაბამება ვალდებულების წარმოშობის დროს. ამდენად, მხარეთა მიერ არ იყო დაზღვეული შესაძლო რისკი, რომელიც ახასიათებს ფულად ვალდებულებებს.“ სუსგ №ას-870-1138-05, 09/03/2006

¹⁵ ამასთან, BGB 245-ე პარაგრაფი თავად გერმანიაშიც ძალიან იშვიათად გამოიყენება. BeckOK BGB/Grothe, 57. Ed. 1.2.2020 Rn. 1, BGB § 245 Rn. 1.

1. მიზანი და გამოყენების სფერო

სსკ 389-ე მუხლის შესაბამისი დანაწესი მოცემულია BGB 244-ე სექციაში.¹⁶ მას, ძირითადად, ორი ფუნქცია აქვს: (1) იგი მოვალეს უადვილებს ვალდებულების საკუთარ ვალუტაში შესრულებას და აცილებს უცხოური ვალუტის მოპოვების სირთულეებს;¹⁷ და (2) ხელს უწყობს ადგილობრივი ვალუტის ცირკულაციას.¹⁸

BGB 244-ე სექციის გამოსაყენებლად აუცილებელია სახეზე იყოს უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი ვალდებულება.¹⁹ ფულადი

ვალდებულების ძირითადი პრინციპია აბსტრაქტული შესყიდვის ღირებულების და არა კონკრეტული ნივთის გადაცემა.²⁰ ამ გაგებით ფული არ არის გვაროვნული ნივთი:²¹ მაგალითად, არ არსებობს საშუალო ხარისხით შესრულების ვალდებულება.²² თუმცა, გვაროვნული ვალდებულებაა, როცა კუპიურის შექმნა ხდება მისი საკოლექციო ღირებულებიდან (და არა ზოგადი ღირებულებიდან) გამომდინარე.²³ ამიტომ, 244-ე სექცია ასეთ შემთხვევებზე არ გამოიყენება.²⁴ BGB 244-ე სექცია, ასევე, გამოიყენება მოთხოვნათა გაქვითვისათვის, რაც დასაშვებია მაშინაც, როცა ვალდებულებები სხვადასხვა ვალუტაშია დაფიქსირებული.²⁵

2. ნომინალიზმის პრინციპი და გამონაკლისები

გერმანული სამართალიც, ქართულის მსგავსად, ფულად ვალდებულებებზე ავრცელებს ნომინალიზმის პრინციპს.²⁶ მოვალემ უნდა დააბრუნოს რიცხვებში გამოხატული ნომინალი.²⁷ ვალორიზმის პრინციპი, რომლის მიხედვითაც ვალდებულების ოდენობა რეალური მსყიდველობითი და ეკონომიკური ღირებულებით (ნაც-

¹⁶ სსკ 389-ე მუხლი განსხვავდება გერმანული ანალოგისგან იმით, რომ გადაცვლის კურსად ადგენს ვალდებულების ვადამოსულობის დროს არსებულ კურსს, ნაცვლად ფაქტობრივად გადახდის დროს არსებული კურსისა. ამით, სსკ 389-ე მუხლი ემსგავსება უნიდროას პრინციპების 6.1.9 და PECL 7:108 მუხლებს. ფაქტობრივად, სსკ 389-ე მუხლი არის BGB 244-ე და 245-ე სექციების შეერთებული ვარიანტი. BGB 245-ე სექცია ადგენს, რომ „თუ ფულადი ვალდებულება უნდა შესრულდეს განსაზღვრული ფულადი ნიშნებით, რომლებიც გადახდის მომენტისათვის ხმარებაში აღარ არის, მაშინ გადახდა უნდა განხორციელდეს ისე, თითქოს განსაზღვრული ფულადი ნიშნები არ ყოფილიყო განსაზღვრული.“ მუხლი ეხება ფულის დენომინაციის ცვლილებას ან მის საერთოდ გაუქმებას. ეს მოიცავს არა მხოლოდ ევროს, არამედ სხვა ქვეყნების ვალუტებსაც [მაგ. ორევროიანი მონეტა, ან ერთდოლარიანი კუპიურა]. ნორმა დაფუძნებულია ნომინალიზმის პრინციპზე, ამიტომ არ ხდება კონვერტაცია. დენომინაციის ცვლილება/გაუქმება არ ინვესს შესრულების შეუძლებლობას, მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევის გამო და ვალდებულება არ ქრება. BeckOK BGB/Grothe, 57. Ed. 1.2.2020 Rn. 1, BGB § 245 Rn. 1. ამ ტიპის ვალდებულებას არანამდვილი ფულადი ვალდებულება ეწოდება, ვინაიდან ფულად ვალდებულებას დამატებული აქვს კონკრეტულ დენომინაციაში გადახდის პირობა. Jauernig/Berger, 18. Aufl. 2021, BGB §§ 244, 245.
¹⁷ HK-BGB/Reiner Schulze, 10. Aufl. 2019, BGB § 244 Rn. 1.
¹⁸ BeckOK BGB/Grothe, 57. Ed. 1.2.2020, BGB § 244 Rn. 34.
¹⁹ BeckOK BGB/Grothe, 57. Ed. 1.2.2020, BGB § 244 Rn. 37.

²⁰ MüKoBGB/Grundmann, 8. Aufl. 2019, BGB § 245 Rn. 84.
²¹ BeckOK BGB/Grothe, 57. Ed. 1.2.2020 Rn. 10, BGB § 244 Rn. 10; Jauernig/Berger, 18. Aufl. 2021, BGB §§ 244, 24; HK-BGB/Reiner Schulze, 10. Aufl. 2019, BGB § 244 Rn. 4.
²² MüKoBGB/Grundmann, 8. Aufl. 2019, BGB § 245 Rn. 84. შეად. ბგბ 243(1); HK-BGB/Reiner Schulze, 10. Aufl. 2019, BGB § 244 Rn. 4.
²³ BeckOK BGB/Grothe, 57. Ed. 1.2.2020, BGB § 244 Rn. 11; HK-BGB/Reiner Schulze, 10. Aufl. 2019, BGB § 244 Rn. 4.
²⁴ Jauernig/Berger, 18. Aufl. 2021, BGB §§ 244, 245.
²⁵ BeckOK BGB/Grothe, 57. Ed. 1.2.2020, BGB § 244 Rn. 29.
²⁶ HK-BGB/Reiner Schulze, 10. Aufl. 2019, BGB § 244 Rn. 6.
²⁷ BeckOK BGB/Grothe, 57. Ed. 1.2.2020, BGB § 244 Rn. 12; Jauernig/Berger, 18. Aufl. 2021, BGB §§ 244, 24.

ვლად ნომინალისა) დგინდება, გამოიყენება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში.²⁸

ვალორიზმის პრინციპის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოხატულება არის ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგება. ზოგადად, კრედიტორი ატარებს კურსის შემცირების რისკს,²⁹ თუკი ხელშეკრულებით არ გაითვალისწინებს ღირებულების კონტროლის პირობას.³⁰ თუმცა, ფულის კურსის არსებითი ცვლილებისას დასაშვებია ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგება.³¹ კორექტირება დასაშვებია მაშინაც, როცა მხარეებმა შეგნებულად არ გაითვალისწინეს კურსის კონტროლის პირობა, ვინაიდან ეგონათ, რომ იგი არ იყო დასაშვები, ან გაითვალისწინეს, თუმცა ეს არ აღმოჩნდა საკმარისი.³² განსაკუთრებით, ეს ეხება შემთხვევებს, როცა კურსის ცვლილება მოყვა გრძელვადიან სტაბილურ პერიოდს.³³ მისადაგება დასაშვებია, მხოლოდ, ღირებულების არსებითად შეცვლის შემთხვევაში.³⁴ გრძელვადიან ხელშეკრულებებში ფულის მსყიდველუნარიანობის შემცირება ითვლება ექვივალენტურობის დარღვევის ერთ-ერთ შემთხვევად.³⁵ არსებითია ისეთი ცვლილება, რომელიც არაგონივრულს ხდის ხელშეკრულების შესრულებას და არსებითად შეუსაბამოა მხარეთა წარმოდგენებთან, რაც მათ ხელშეკრულების დადებისას ქონდათ.³⁶ ნომინალიზმის

პრინციპი შედარებით ნაკლებად მოქმედებს უცხოურ ვალუტაში დადგენილი ვალდებულებების მიმართ.³⁷ გერმანიის უზენაესი სასამართლო ასეთ დროს 13%-იან ცვლილებას საკმარისად მიიჩნევს, თუმცა, არა, მაგალითად, 4.76%-იან ცვლილებას.³⁸ ხოლო, როდესაც მისადაგება მოთხოვნილია ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილების, გონივრულობისა და კეთილსინდისიერების პრინციპებიდან გამომდინარე, კურსის 10%-ზე მეტით ცვლილება უკვე შესაძლებელს ხდის ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგებას.³⁹ თუკი მხარე უარს აცხადებს მისადაგებაზე, მეორე მხარეს ენიჭება ხელშეკრულების შეწყვეტის უფლება.⁴⁰

3. გადახდის ვალუტა

BGB 241(1) პარაგრაფის თანახმად, როცა ვალის ვალუტა არის უცხოური (ევროსგან განსხვავებული) და შესრულების ადგილია გერმანია, მოვალეს უფლება აქვს გადაიხადოს როგორც უცხოურ ვალუტაში, ისე ევროში. ვალუტის შეცვლის უფლება აქვს მოვალეს, თუმცა არა კრედიტორს.⁴¹ მაგალითად, როდესაც ვალდებულება უცხოურ ვალუტაშია დადგენილი სარჩელის წარდგენის შემთხვევაში კრედიტორი უფლებამოსილია მოითხოვოს მხოლოდ უცხოური ვალუტის დაკისრება, მოვალეს კი ენიჭება კონვერტაციის უფლება.⁴²

ვალუტის შეცვლა გამოირიცხება, თუკი მხარეებმა ხელშეკრულებით გაითვალისწინეს ექსკლუზიურად უცხოურ ვალუტაში გადახდა. მი-

²⁸ BeckOK BGB/Grothe, 57. Ed. 1.2.2020, BGB § 244 Rn. 12.

²⁹ Jauernig/Stadler, 18. Aufl. 2021, BGB § 313 Rn. 31.

³⁰ MüKoBGB/Finkenauer, 8. Aufl. 2019, BGB § 313 Rn. 186.

³¹ გერმანულ სამართალში ეს მოთხოვნა ეფუძნება 242-ე და 313-ე სექციებს. HK-BGB/Reiner Schulze, 10. Aufl. 2019, BGB § 244 Rn. 6.

³² MüKoBGB/Finkenauer, 8. Aufl. 2019, BGB § 313 Rn. 187.

³³ MüKoBGB/Finkenauer, 8. Aufl. 2019, BGB § 313 Rn. 187.

³⁴ MüKoBGB/Grundmann, 8. Aufl. 2019, BGB § 245 Rn. 20; BeckOK BGB/Grothe, 57. Ed. 1.2.2020, BGB § 244 Rn. 12.

³⁵ MüKoBGB/Finkenauer, 8. Aufl. 2019, BGB § 313 Rn. 186.

³⁶ MüKoBGB/Finkenauer, 8. Aufl. 2019, BGB § 313 Rn. 186.

³⁷ MüKoBGB/Finkenauer, 8. Aufl. 2019, BGB § 313 Rn. 187.

³⁸ MüKoBGB/Finkenauer, 8. Aufl. 2019, BGB § 313 Rn. 196.

³⁹ MüKoBGB/Finkenauer, 8. Aufl. 2019, BGB § 313 Rn. 188; Jauernig/Berger, 18. Aufl. 2021, BGB §§ 244, 245.

⁴⁰ MüKoBGB/Finkenauer, 8. Aufl. 2019, BGB § 313 Rn. 119, 189.

⁴¹ MüKoBGB/Grundmann, 8. Aufl. 2019, BGB § 245 Rn. 96.

⁴² BeckOK BGB/Grothe, 57. Ed. 1.2.2020 Rn. 31, BGB § 244 Rn. 31.

უხედავად იმისა, რომ 244(1) პარაგრაფი მიუთითებს პირდაპირ შეთანხმებაზე, დასაშვებია არაპირდაპირი შეთანხმებაც.⁴³ არ არის საკმარისი შეთანხმებაში უცხოური ვალუტის მხოლოდ მითითება,⁴⁴ უნდა დგინდებოდეს მხარეთა განზრახვა უცხოური ვალუტის ექსკლუზიურად გამოყენებასთან დაკავშირებით.⁴⁵ მნიშვნელობა ენიჭება, ასევე, რამდენად მნიშვნელოვანია უცხოურ ვალუტაში გადახდა კრედიტორისათვის.⁴⁶

4. გაცვლითი კურსი

ვალდებულების ღირებულება დგინდება ვალის ვალუტით.⁴⁷ BGB 244(2) პარაგრაფი მოვალეს არ ანიჭებს ნაკლები ღირებულების შესრულების უფლებას,⁴⁸ არამედ აძლევს ადგილობრივ ვალუტაში კონვერტაციის შესაძლებლობას.⁴⁹ გამოიყენება ოფიციალური გაცვლითი კურსი, თუკი ამგვარი დადგენილია, სხვაგვარად კი შეიძლება გამოყენებულ იქნეს კანონიერად დადგენილი ნებისმიერი გაცვლითი კურსი.⁵⁰

გადამწყვეტია არა ვალდებულების ვადამოსულობის დროს არსებული კურსი, არამედ ფაქტობრივად გადახდის დღეს არსებული კურსი.⁵¹ ამის დასაბუთება გერმანულ სამართალში

არის ის, რომ კრედიტორი იღებს ზუსტად იმავე ღირებულებას, რასაც უცხოურ ვალუტაში გადახდისას მიიღებდა. თუკი ვადამოსულობიდან თანხის გადახდამდე ადგილობრივი ვალუტის კურსი გაიზარდა, კრედიტორი მიიღებს უფრო დიდ ღირებულებას; საპირისპიროდ, თუკი კურსი დაეცა, იგი მიიღებს უფრო ნაკლებ ღირებულებას.⁵² გერმანულმა სამართალმა უარი თქვა ვადაგადაცილებისას კრედიტორისათვის მიეცა არჩევანის უფლება ვადამოსულობის და ფაქტობრივი გადახდის დღეს არსებულ კურსს შორის, როგორც ამას აკეთებს, მაგალითად, უნიდროას პრინციპების 6.1.9 მუხლი. ასეთ შემთხვევაში კრედიტორს ენიჭება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება ზოგადი წესების მიხედვით.⁵³ დასაბუთება არის ის, რომ კრედიტორი ვალდებულების დროულად შესრულების შემთხვევაში თანხის კონვერტაციით ან სხვა გზით თავიდან აიცილებდა კურსის გაუარესებით გამოწვეულ ზიანს.⁵⁴

მოთხოვნათა გაქვითვისას გადამწყვეტია გაქვითვის შესახებ ნების გამოვლენის მეორე მხარის მიერ მიღების დღისათვის არსებული კურსი.⁵⁵ გადამწყვეტილების აღსრულების შემთხვე-

⁴³ MüKoBGB/Grundmann, 8. Aufl. 2019 Rn. 94, BGB § 245 Rn. 94; BeckOK BGB/Grothe, 57. Ed. 1.2.2020, BGB § 244 Rn. 42; HK-BGB/Reiner Schulze, 10. Aufl. 2019, BGB § 244 Rn. 10.

⁴⁴ Jauernig/Berger, 18. Aufl. 2021, BGB §§ 244, 245.

⁴⁵ BeckOK BGB/Grothe, 57. Ed. 1.2.2020, BGB § 244 Rn. 42.

⁴⁶ MüKoBGB/Grundmann, 8. Aufl. 2019 Rn. 94, BGB § 245 Rn. 94.

⁴⁷ MüKoBGB/Grundmann, 8. Aufl. 2019, BGB § 245 Rn. 91.

⁴⁸ HK-BGB/Reiner Schulze, 10. Aufl. 2019, BGB § 244 Rn. 2.

⁴⁹ BeckOK BGB/Grothe, 57. Ed. 1.2.2020, BGB § 244 Rn. 47.

⁵⁰ BeckOK BGB/Grothe, 57. Ed. 1.2.2020, BGB § 244 Rn. 49; MüKoBGB/Grundmann, 8. Aufl. 2019, BGB § 245 Rn. 96.

⁵¹ BeckOK BGB/Grothe, 57. Ed. 1.2.2020 Rn. 50, BGB § 244 Rn. 50; Jauernig/Berger, 18. Aufl. 2021,

BGB §§ 244, 245; HK-BGB/Reiner Schulze, 10. Aufl. 2019, BGB § 244 Rn. 11.

⁵² BeckOK BGB/Grothe, 57. Ed. 1.2.2020 Rn. 50, BGB § 244 Rn. 50.

⁵³ BeckOK BGB/Grothe, 57. Ed. 1.2.2020 Rn. 50, BGB § 244 Rn. 50; HK-BGB/Reiner Schulze, 10. Aufl. 2019, BGB § 244 Rn. 11; BeckOK BGB/Grothe, 57. Ed. 1.2.2020, BGB § 244 Rn. 30. გერმანულ სამართალში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველია BGB 280 (1) და (2), 286, 288, 249 მუხლები. CISG ზიანის ანაზღაურებას უშვებს 74-ე მუხლის საფუძველზე.

⁵⁴ BGH MDR 1976, 661; OLG München RIW 1988, 297 [299]; OLG Frankfurt a. M. NJW-RR 1988, 1107 [1109].

⁵⁵ MüKoBGB/Grundmann, 8. Aufl. 2019, BGB § 245 Rn. 96; BeckOK BGB/Grothe, 57. Ed. 1.2.2020, BGB § 244 Rn. 29; Jauernig/Berger, 18. Aufl. 2021, BGB §§ 244, 245; HK-BGB/Reiner Schulze, 10. Aufl. 2019, BGB § 244 Rn. 11.

ვებშიც კურსი ყოველთვის დგინდება ფაქტობრივად გადახდის დღეს.⁵⁶

III. უნიდროას პრინციპები

UNIDROIT, მუხლი 6.1.9. (გადახდის ვალუტა)

თუკი ფულადი ვალდებულება გამოხატულია შესრულების ადგილისგან განსხვავებულ ვალუტაში, მოვალეს უფლება აქვს თანხა შესრულების ადგილის ვალუტაში გადაიხადოს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა:

ვალუტა არ არის თავისუფლად კონვერტირებადი; ან

მხარეები შეთანხმდნენ, რომ გადახდა უნდა მოხდეს მხოლოდ ვალის ვალუტაში.

თუკი მოვალისათვის შეუძლებელია ვალის ვალუტაში გადახდა, კრედიტორს უფლება აქვს გადახდა მოითხოვოს შესრულების ადგილის ვალუტაში, (1)(b) პარაგრაფით გათვალისწინებულ შემთხვევებშიც კი.

გადახდა შესრულების ადგილის ვალუტაში უნდა მოხდეს ამ ადგილას ვალდებულების ვადამოსულობისას არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით.

თუმცა, თუკი მოვალემ თანხა დადგენილ ვადაში არ გადაიხადა, კრედიტორს უფლება აქვს გადახდა მოითხოვოს ვალდებულების ვადამოსულობისას ან ფაქტობრივად გადახდისას არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით.

1. ზოგადი

სსკ 389-ე მუხლის ანალოგიური დანაწესი მოცემულია უნიდროას პრინციპების 6.1.9 მუხლში.⁵⁷ იგი ეხება შემთხვევებს, როცა ვალის ვა-

ლუტა განსხვავდება შესრულების ადგილის ვალუტისგან.⁵⁸ მუხლის ოფიციალური კომენტარი შემდეგ განმარტებას აკეთებს:

ფულადი ვალდებულებები, როგორც ნესი, კონკრეტულ ვალუტაშია გამოხატული (ვალის ვალუტა) და გადახდაც, ჩვეულებრივ, ამ ვალუტაში უნდა მოხდეს. თუმცა, როდესაც შესრულების ადგილის ვალუტა განსხვავდება ვალის ვალუტისგან, ამ მუხლის პირველი და მეორე პარაგრაფები ადგენს შემთხვევებს, როდესაც მოვალე ვალდებულია ან მას უფლება აქვს გადახდა შესრულების ადგილის ვალუტაში განახორციელოს.⁵⁹

უნიდროას პრინციპების 6.1.9 მუხლი პასუხს სცემს სამ ძირითად კითხვას: (1) აქვს თუ არა კრედიტორს უფლება გადახდა მოითხოვოს ადგილობრივ ვალუტაში; (2) რა კურსით უნდა მოხდეს ვალუტის კონვერტაცია; (3) რა ხდება დაგვიანებული გადახდის და კურსის შემცირებისას.⁶⁰ უნიდროას პრინციპები ფულადი ვალდებულების შესრულების ადგილად 6.1.6(1)(a) მუ-

მოხატული რომელიმე ვალუტაში, გადახდა უნდა მოხდეს შესრულების ადგილის ვალუტაში.

მუხლი 7.4.12. (ვალუტა, რომელშიც იზომება ზიანი). ზიანი უნდა გაიზომოს ან ვალის ვალუტაში ან იმ ვალუტაში, რომელშიც ზიანი დადგა, რომელიც უფრო შესაფერისია.

მუხლი 8.2. (უცხოურ ვალუტაში არსებულ ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა). როდესაც ფულადი ვალდებულებები განსხვავებულ ვალუტაშია გამოხატული, დასაშვებია მათი გაქვითვა, თუკი ორივე ვალუტა თავისუფლად კონვერტირებადია მხარეები არ შეთანხმებულან, რომ პირველმა მხარემ გადახდა მხოლოდ განსაზღვრულ ვალუტაში უნდა განახორციელოს.

⁵⁶ MüKoBGB/Grundmann, 8. Aufl. 2019, BGB § 245 Rn. 97.

⁵⁷ თუმცა, უნიდროას პრინციპები უცხოურ ფულად ვალდებულებებთან დაკავშირებით სხვა მუხლებსაც ითვალისწინებს.

მუხლი 6.1.10. (ვალუტა შეთანხმების არარსებობისას). როცა ფულადი ვალდებულება არ არის ვა-

⁵⁸ Vogenauer S., Commentary on the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts (PICC) (2nd ed. 2015) (ebook) Article 6.1.9, [1].

⁵⁹ Official Comment to the PICC (UNIDROIT, 2016) 199.

⁶⁰ Vogenauer S., Commentary on the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts (PICC) (2nd ed. 2015) (ebook) Article 6.1.9, [1].

ხლში განსაზღვრავს კრედიტორის საქმიანობის ადგილს, თუკი მხარეთა შეთანხმება სხვა რამეს არ ითვალისწინებს.⁶¹

2. მოვალის უფლება გადაიხადოს ვალის ან გადახდის ადგილის ვალუტაში

როდესაც მხარეებმა გადახდა გაითვალისწინეს შესრულების ადგილისგან განსხვავებულ ვალუტაში, უნიდროას პრინციპების 6.1.9 მუხლი მოვალეს ანიჭებს არჩევანის უფლებას: მას შეუძლია გადაიხადოს ვალის ვალუტაში, ან გადახდის ადგილის ვალუტაში.⁶² მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ მიდგომას არაერთი ქვეყნის შიდა სამართალი იზიარებს,⁶³ იგი დებატე-

ბის საგანი გახდა, ვინაიდან მიიჩნეოდა, რომ სუსტი ვალუტის ქვეყნებს ურჩევნიათ გადახდა ვალის ვალუტაში მიიღონ, თუკი ვალის ვალუტა ადგილობრივ ვალუტაზე ძლიერია.⁶⁴ ამის გამო ერთ-ერთი დრაფტიდან მუხლის ეს ნაწილი ამოიშალა, თუმცა კვლავ დაემატა 1989 წელს.⁶⁵ საბოლოოდ, მუხლი მოვალეს ანიჭებს არჩევანის უფლებას ვალის ვალუტასა და ადგილობრივ ვალუტას შორის, მათ შორის, გაცვლითი კურსით სარგებლობის უფლებას.⁶⁶

⁶¹ Vogenauer S., Commentary on the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts (PICC) (2nd ed. 2015) (ebook) Article 6.1.9, [2].

⁶² Official Comment to the PICC (UNIDROIT, 2016) 199. მაგ., თუკი ხელშეკრულებით ვალის ვალუტა არის აშშ დოლარი, მოვალის საქმიანობის ადგილი არის შვეიცარია, ხოლო კრედიტორის საქმიანობის ადგილი არის ბრაზილია, თანხა შეიძლება გადახდილი იქნას აშშ დოლარში ან ბრაზილიურ რეალში, თუმცა არა შვეიცარიულ ფრანკში. Vogenauer S., Commentary on the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts (PICC) (2nd ed. 2015) (ebook) Article 6.1.9, [3].

⁶³ მაგალითად, BGB 244-სექცია [„თუ ევროსაგან განსხვავებული ვალუტით გამოხატული ფულადი ვალდებულება უნდა შესრულდეს ქვეყნის შიგნით, მაშინ გადახდა [შეიძლება] განხორციელდეს ევროთი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვა ვალუტით გადახდა სპეციალურად არის შეთანხმებული“]. არსებობს BGB-ს ორი ქართული თარგმანი, რომლებშიც 244(1) სექციასთან დაკავშირებით დაშვებულია მთარგმნელობითი შეცდომა: „უნდას“ მაგივრად მისათითებელია სიტყვა „შეიძლება.“ ჭეჭელაშვილი ზ., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (BGB), 2010 წლის 1 მარტის მდგომარეობით (2010) 44; ჭეჭელაშვილი ზ., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, მეორე რედაქტირებული გამოცემა (2019) 54. იგივე დანაწესს შეიცავს ამერიკული UCC, § 3-107 [„თუკი ინსტრუმენტი სხვაგვარად არ ადგენს, უცხოურ ვალუტაში განსაზღვრული ფულადი ვალდებულება შეიძლება შესრულდეს უცხოურ ვალუტაში ან დოლარის ექვივალენტში, გადახდის დღეს გადახდის ადგილზე დოლარის შე-

სყიდვისათვის დადგენილი საბანკო კურსით“]. Vogenauer S., Commentary on the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts (PICC) (2nd ed. 2015) (ebook) Article 6.1.9, [3].

⁶⁴ Vogenauer S., Commentary on the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts (PICC) (2nd ed. 2015) (ebook) Article 6.1.9, [3].

⁶⁵ უნიდროას პრინციპების იმდროინდელი ვერსია აწესრიგებს მხოლოდ ვალუტაზე შეთანხმებლობის შემთხვევებს: „მუხლი 14. ვალუტაზე შეთანხმების არ არსებობა. თუკი ხელშეკრულება არ ადგენს რომელ ვალუტაში უნდა შესრულდეს ხელშეკრულება, გადახდა უნდა მოხდეს იმ ვალუტაში, რომელსაც ინდუსტრიაში ჩვეულებრივ ათანხმებენ ამ ტიპის ხელშეკრულებებში.“ UNIDROIT 1989, Study L – Doc. 40 Rev. 2, 19 [https://www.unidroit.org/english/documents/1988/study50/s-50-40rev-02-e.pdf]. უკვე 1989 წლის დრაფტში გაჩნდა ახალი მუხლი: „მუხლი 5.1.15. გადახდის ვალუტა. გადახდის ადგილისგან განსხვავებულ ვალუტაში გამოხატული ფულადი ვალდებულება შეიძლება შესრულდეს გადახდის ადგილის ვალუტაში, ამ ადგილზე ვადამოსულობისას დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა: (ა) აღნიშნული ვალუტა არ არის თავისუფლად კონვერტირებადი; (ბ) მხარეები შეთანხმდნენ, რომ გადახდა უნდა მოხდეს, მხოლოდ, ხელშეკრულებაში მითითებულ ვალუტაში.“ UNIDROIT 1989, Study L – Doc. 40 Rev. 4, 21 [https://www.unidroit.org/english/documents/1989/study50/s-50-40rev-04-e.pdf]. Vogenauer S., Commentary on the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts (PICC) (2nd ed. 2015) (ebook) Article 6.1.9, [3].

⁶⁶ Vogenauer S., Commentary on the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts (PICC) (2nd ed. 2015) (ebook) Article 6.1.9, [3].

3. კრედიტორის უფლება მოითხოვოს გადახდა ვალის ან გადახდის ადგილის ვალუტაში

კრედიტორს უფლება აქვს მოითხოვოს ვალის ვალუტაში გადახდა, თუკი სახეზეა 6.1.9(1)(a) და 6.1.9(1)(b) მუხლებით გათვალისწინებული საგამონაკლისო შემთხვევები; ან მოითხოვოს შესრულების ადგილის ვალუტით გადახდა, თუკი სახეზეა 6.1.9(2) მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა.⁶⁷ უნიდროას პრინციპები არ ითვალისწინებს სხვა გამონაკლისს, როგორც არის, მაგალითად, ვადის გადაცილებისას არჩევანის უფლების კრედიტორზე გადაცემა.⁶⁸ თუმცა, თუკი ვადაგადაცილებული მოვალე გადანყვეტს შესრულების ადგილის ვალუტით გადახდას, კრედიტორს აქვს უფლება აირჩიოს გაცვლითი კურსი.⁶⁹

ლუტით გადახდას, კრედიტორს აქვს უფლება აირჩიოს გაცვლითი კურსი.⁶⁹

ა) გადახდა ვალის ვალუტაში

უნიდროას პრინციპების 6.1.9 მუხლის ზოგადი წესი არის ის, რომ მოვალეს უფლება აქვს გადახდა შესრულების ადგილის ვალუტაში განახორციელოს. აქედან არსებობს ორი გამონაკლისი.

(i) არაკონვერტირებადი ვალუტა

6.1.9(1)(a) მუხლის თანახმად მოვალეს არ აქვს შესრულების ადგილის ვალუტაში გადახდის უფლება, თუკი ვალუტა არ არის თავისუფლად კონვერტირებადი. აღნიშნული მუხლი 1985 წელს დაემატა, ვინაიდან სოციალისტური ბანაკის ქვეყნების კრედიტორებს ლეგიტიმური ინტერესი ქონდათ გადახდა ვალის ვალუტაში მომხდარიყო, რამდენადაც მათი ადგილობრივი ვალუტა თავისუფლად არ გადაიცვლებოდა.⁷⁰ აღნიშნული დღემდე ინარჩუნებს რელევანტურობას, რამდენადაც ზოგიერთი ქვეყანა ზღუდავს გაცვლით კურსს ან კონვერტაციის დასაშვებ ოდენობას.⁷¹

⁶⁷ *Vogenauer S., Commentary on the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts (PICC) (2nd ed. 2015) (ebook) Article 6.1.9, [4]; Official Comment to the PICC (UNIDROIT, 2016) 199.*

⁶⁸ *Vogenauer S., Commentary on the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts (PICC) (2nd ed. 2015) (ebook) Article 6.1.9, [4].* ამგვარი არჩევანის შესაძლებლობას ითვალისწინებს PECL 7:108(3) მუხლი: „თუ მეორე პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მოვალემ დროულად არ შეასრულა ვალდებულება, კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს გადახდა შესრულების ადგილის ვალუტაში, სადაც უნდა მომხდარიყო შესრულება, ვალდებულების შესრულების ან თანხის ფაქტობრივად გადახდის დროისათვის დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად.“ მსგავს მიდგომას ავითარებს აშშ-ს ზოგიერთი სასამართლოც. *ReliaStar Life Ins Co v. IOA Re, Inc, 303 F 3d 874, 882 (8th Cir 2002)* [„თუკი უცხოური ფულადი ვალდებულება ვადაშლის და გადახდილ უნდა იქნეს აშშ-ში, ვალდებულების დამრღვევ მოვალეს, შესაძლოა, დაევალოს მისი აშშ დოლარში შესრულება, თუკი ამას მოითხოვს კრედიტორი“]. აღნიშნული მიდგომა ეფუძნება აშშ-ს უზენაესი სასამართლოს 1925 წლის გადანყვეტილებას, რომელშიც სასამართლომ განმარტა, რომ ვალდებულების დარღვევის შემდეგ კრედიტორის მოთხოვნა მიმართულია ზიანის ანაზღაურებისაკენ და იგი არ არის ვალდებული ანაზღაურება ვალის ვალუტაში მიიღოს. *Hicks v. Guinness, 269 US 71 (1925).*

⁶⁹ *Vogenauer S., Commentary on the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts (PICC) (2nd ed. 2015) (ebook) Article 6.1.9, [4].*

⁷⁰ *Vogenauer S., Commentary on the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts (PICC) (2nd ed. 2015) (ebook) Article 6.1.9, [5]. UNIDROIT 1987, Study L – Doc. 39, 4* [„თუკი გარემოებებიდან, მათ შორის ვალუტის გადაცვლის რეგულაციებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, შესრულების ადგილისგან განსხვავებულ ვალუტაში დადგენილი ფულადი ვალდებულება შეიძლება შესრულდეს გადახდის ადგილის ვალუტაში, გადახდის ადგილზე ვადაშლისა და არსებული კურსის შესაბამისად“] [<https://www.unidroit.org/english/documents/1987/study50/s-50-39-e.pdf>].

⁷¹ *Vogenauer S., Commentary on the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts (PICC) (2nd ed. 2015) (ebook) Article 6.1.9, [5].*

(ii) მხარეთა შეთანხმება

მეორე შეზღუდვა უკავშირდება მხარეთა შეთანხმებას: როდესაც მხარეები ვალის ვალუტას ექსკლუზიურად ათანხმებენ (*effectivo* დათქმა), გადახდაც მხოლოდ ამ ვალუტაში შეიძლება.⁷² არ არის აუცილებელი ამის შესახებ მხარეებმა პირდაპირ მიუთითონ, შეიძლება შეთანხმება გამომდინარეობდეს გარემოებებიდან.⁷³ ამისათვის არასაკმარისია ზოგადი მითითება (მაგ., გადახდა უნდა მოხდეს ლარში), თუმცა დათქმა, რომ გადახდა მოხდება „მხოლოდ ლარში“, საკმარისია.⁷⁴ მხედველობაში მიიღება კრედიტორის ინტერესიც. მაგალითად, თუკი შესრულების ქვეყანაში ინფლაციის მაღალი მაჩვენებელია, შეიძლება აქედან გამომდინარეობდეს კრედიტორის უფლება გადახდა ვალის ვალუტაში მიიღოს.⁷⁵

სასამართლო მხედველობაში იღებს მხარეთა საქმიანი ურთიერთობის ტრადიციასაც - თუკი გადახდა ყოველთვის ერთი ვალუტით ხდებოდა, მხარეს, შესაძლოა, არ მიეცეს ვალუტის შეცვარი ცვლილების უფლება.⁷⁶ მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ადგილობრივი სამართალიც, რომელიც, შესაძლოა, არ უშვებდეს უცხოურ ვალუტაში გადახდას.⁷⁷

⁷² *Vogenauer S.*, Commentary on the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts (PICC) (2nd ed. 2015) (ebook) Article 6.1.9, [6]. იგივე დათქმას ითვალისწინებს BGB 244(1) სექცია, ასევე, უნიდროას პრინციპების 6.1.9(1)(b) მუხლი.

⁷³ *Vogenauer S.*, Commentary on the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts (PICC) (2nd ed. 2015) (ebook) Article 6.1.9, [6].

⁷⁴ *Vogenauer S.*, Commentary on the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts (PICC) (2nd ed. 2015) (ebook) Article 6.1.9, [6].

⁷⁵ *Vogenauer S.*, Commentary on the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts (PICC) (2nd ed. 2015) (ebook) Article 6.1.9, [6].

⁷⁶ *Vogenauer S.*, Commentary on the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts (PICC) (2nd ed. 2015) (ebook) Article 6.1.9, [6].

⁷⁷ *Vogenauer S.*, Commentary on the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts (PICC) (2nd ed. 2015) (ebook) Article 6.1.9, [7].

მტკიცების ტვირთი არის კრედიტორზე: მან უნდა დაადასტუროს გამონაკლისი შემთხვევების არსებობა. სხვაგვარად, მოქმედებს პრეზუმცია, რომ ვალდებულება არის „ჩვეულებრივი“ და მოვალეს აქვს შესრულების ადგილის ვალუტაში გადახდის უფლება.⁷⁸ გაცვლითი კურსი უნდა დაადასტუროს იმ მხარემ, რომელიც მას ეყრდნობა: 6.1.9(3) მუხლით ეს არის მოვალე, ხოლო 6.1.9(4) მუხლით ეს არის კრედიტორი.⁷⁹

ბ) გადახდა შესრულების ადგილის ვალუტაში

6.1.9(2) მუხლის თანახმად კრედიტორს უფლება აქვს გადახდა შესრულების ადგილის ვალუტაში მოითხოვოს, თუკი ვალის ვალუტაში გადახდა შეუძლებელია.⁸⁰ აღნიშნული დანაწესის მიზანია გამორიცხოს ვალდებულების გაქრობა მხოლოდ იმიტომ, რომ შეთანხმებულ ვალუტაში გადახდა შეუძლებელია, თუკი კრედიტორი თანახმაა მიიღოს ადგილობრივი ვალუტა.⁸¹ შეუძლებლობასთან დაკავშირებით უნიდ-

⁷⁸ *Vogenauer S.*, Commentary on the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts (PICC) (2nd ed. 2015) (ebook) Article 6.1.9, [17].

⁷⁹ *Vogenauer S.*, Commentary on the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts (PICC) (2nd ed. 2015) (ebook) Article 6.1.9, [16].

⁸⁰ *Vogenauer S.*, Commentary on the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts (PICC) (2nd ed. 2015) (ebook) Article 6.1.9, [7]. მსგავს დანაწესს ითვალისწინებს ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსის 6:122 მუხლი: „როდესაც ვალდებულება ითვალისწინებს შესრულების ადგილისგან განსხვავებულ უცხოურ ვალუტაში გადახდას და მოვალეს არ შეუძლია ან აცხადებს, რომ არ შეუძლია თანხის ამ ვალუტაში გადახდა კრედიტორს უფლება აქვს შესრულება ადგილობრივ ვალუტაში მოითხოვოს.“

⁸¹ *Vogenauer S.*, Commentary on the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts (PICC) (2nd ed. 2015) (ebook) Article 6.1.9, [8]. საინტერესო გადაწყვეტილება მიიღო მტკიცების ტვირთთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესმა სასამართლომ. სუსგ №3კ-1484-02, 18/10/2005 [სააპელაციო სასამართლომ სკ-ის 389-ე მუხლზე მი-

როას პრინციპების ოფიციალური კომენტარი მიუთითებს, რომ „ეს შეიძლება იყოს ვალუტის გაცვლითი კურსის მარეგულირებელი კანონმდებლობის ან სხვა იმპერატიული ნორმების, ან ნებისმიერი სხვა ისეთი მიზეზის შედეგი, რომელიც მოვალეს არ აძლევს საკმარისი ვალუტის მოპოვების შესაძლებლობას.“⁸² 6.1.9(2) მუხლი გამოიყენება მაშინაც კი, როცა ვალუტა ექსკლუზიურად არჩეულია 6.1.9(1)(b) მუხლის შესაბამისად.

4. გაცვლითი კურსი

ა) ვადამოსულობისას არსებული კურსი

თუკი მოვალე დროულად შეასრულებს ვალდებულებას და გამოიყენებს უფლებას გადაინადოს შესრულების ადგილის ვალუტით, ან თუკი ამის უფლება აქვს კრედიტორს 6.1.9(2) მუხლის შესაბამისად, გამოიყენება ვალდებულების ვადამოსულობის დროს არსებული გაც-

თითებით მიიჩნია, რომ მხარეს უნდა დაედასტურებინა თუ რა კურსი არსებობდა მანეთის კუპონით, ხოლო კუპონის - ლარით შეცვლის დღეს, რაც მას არ გაუკეთებია. თუმცა, ეს პოზიცია არ გაიზიარა უზენაესმა სასამართლომ და განმარტა, რომ „სასამართლომ დავის გადანაცვლებისას გამოიყენა სკ-ის 389-ე მუხლი და ჩათვალა, რომ უნდა დადგინდეს მანეთის კურსი კუპონის შემოღებისა და კუპონის ლარით შეცვლის დროს. ამასთან, მიუთითა, რომ საქმეში წარმოდგენილი არც ერთი ცნობით ასეთი რამ დადგენილი არ არის. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს ასეთი მსჯელობა დაუსაბუთებელია, ვინაიდან არ არის დაზუსტებული ფულის კურსის განსაზღვრის პრინციპი და ასევე არ არის დაზუსტებული რა მტკიცებულება უნდა წარმოედგინა მხარეს. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, თუკი სასამართლო საჭიროდ ჩათვლიდა ამ ნორმის გამოყენებას, ფულის კურსი, რომელიც კანონით დადგენილი წესით დგინდება, თვითონვე უნდა განესაზღვრა.“].

⁸² Official Comment to the PICC (UNIDROIT, 2016) 199; *Vogenauer S.*, Commentary on the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts (PICC) (2nd ed. 2015) (ebook) Article 6.1.9, [9].

ვლითი კურსი.⁸³ უპირატესობა ენიჭება ოფიციალურ გაცვლით კურსს, თუკი ასეთი დადგენილია, სხვაგვარად შეიძლება გამოყენებულ იქნას ბანკების მიერ დადგენილი კომერციული კურსი.⁸⁴ უპირატესობა ენიჭება შესყიდვის კურსს, რათა კრედიტორს მიეცეს თანხის გადაცვლის შესაძლებლობა.⁸⁵

ბ) კურსი თანხის გადახდის ვადის გადაცილებისას

ვადის გადაცილების შემთხვევაშიც კი, მოვალეს აქვს ვალუტის არჩევის უფლება, თუკი სახეზე არ არის საგამონაკლისო შემთხვევები. თუმცა, თუკი ვადაგადაცილებული მოვალე გადანაცვლებს ადგილობრივი ვალუტით გადახდას, წარმოიშობა გაცვლითი კურსის პრობლემა, ვინაიდან ეს შეიძლება იყოს ნებისმიერი კურსი შესრულების დროიდან ფაქტობრივად გადახდამდე პერიოდისათვის.⁸⁶ ასეთ შემთხვევაში უსამართლო იქნება ვადაგადაცილებულ მოვალეს მიენიჭოს მისთვის სასურველი კურსის არჩევის უფლება.⁸⁷ ასევე, უნიდროას პრინციპები მხარს არ უჭერს კურსის დაფიქსირებას შესრულების ან გადახდის დღისათვის, რამდენადაც რისკი გადავა კრედიტორზე და მას მოუწევს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა უნიდროას პრინციპების 7.4 მუხლის თანახმად.⁸⁸ ამიტომ, 6.1.9(4) მუხლი კრედიტორს ანიჭებს არჩევანის უფლებას ვადამოსულობის და ფაქტობრივი გა-

⁸³ *Vogenauer S.*, Commentary on the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts (PICC) (2nd ed. 2015) (ebook) Article 6.1.9, [11].

⁸⁴ *Vogenauer S.*, Commentary on the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts (PICC) (2nd ed. 2015) (ebook) Article 6.1.9, [11].

⁸⁵ *Vogenauer S.*, Commentary on the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts (PICC) (2nd ed. 2015) (ebook) Article 6.1.9, [11].

⁸⁶ *Vogenauer S.*, Commentary on the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts (PICC) (2nd ed. 2015) (ebook) Article 6.1.9, [12].

⁸⁷ Official Comment to the PICC (UNIDROIT, 2016) 201.

⁸⁸ *Vogenauer S.*, Commentary on the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts (PICC) (2nd ed. 2015) (ebook) Article 6.1.9, [12].

დახდის დროებს შორის, რომელიც მისთვის უფრო ხელსაყრელია, გარდა ამისა, კრედიტორი ინარჩუნებს ვადაგადაცილებაზე პროცენტის მოთხოვნის უფლებას.⁸⁹ თუმცა, 6.1.9(4)

მხოლოდ ნაწილობრივ იცავს კრედიტორს, რამდენადაც ვადაგადაცილებულ მოვალეს კვლავ აქვს ვალის ვალუტით შესრულების უფლება.⁹⁰

⁸⁹ Vogenauer S., Commentary on the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts (PICC) (2nd ed. 2015) (ebook) Article 6.1.9, [12]. საინტერესოა, რომ უნიდროას პრინციპების შემუშავებისას კამათი გამოიწვია ამ მუხლის (მოვალის არჩევანის უფლება) საჭიროებამ. UNIDROIT 1986, PC—Misc. 8, 14 [https://www.unidroit.org/english/documents/1986/study50/s-50-misc-08-e.pdf] [„მე-6 მუხლთან მიმართებით ზოგიერთმა წევრმა გამოთქვა ძლიერი კრიტიკა პირველ პარაგრაფში დადგენილ წესთან დაკავშირებით. მათი მოსაზრებით წესი, რომლის მიხედვითაც მოვალეს აქვს ხელშეკრულებაში მითითებულ და გადახდის ადგილის ვალუტებს შორის არჩევანის უფლება, შესაძლოა, მისაღები იყოს დასავლური ქვეყნებისათვის, თუმცა აღმოსავლეთ-დასავლეთ და ჩრდილოეთ-სამხრეთ სავაჭრო ურთიერთობების კონტექსტში ამგვარი არჩევანის თავისუფლება არ უნდა იყოს დასაშვები. კრედიტორებს სოციალისტური და უმრავლესი განვითარებადი ქვეყნებიდან აქვთ ლეგიტიმური ინტერესი გადახდა მიიღონ შეთანხმებულ ვალუტაში, და ეს ხდება არა მხოლოდ იმიტომ, რომ მათი ვალუტა ყოველთვის არ არის საერთაშორისო დონეზე თავისუფლად კონვერტირებადი, არამედ, ასევე, იმის გამოც, რომ უცხოური ვალუტა, შესაძლოა, უკვე დაფიქსირებულია დამკვეთმა ხელმძღვანელი ორგანოების მიერ საქონლის და სერვისის იმპორტისათვის. შესაბამისად, გამოითქვა აზრი, რომ მეორე პარაგრაფში მოცემული წესი შეცვლილიყო საპირისპირო წესით, რომლის მიხედვითაც ფულადი ვალდებულება უნდა შესრულდეს მხარეთა შორის შეთანხმებულ ვალუტაში ან, როგორც მინიმუმ, ცხადად გაინეროს, რომ მოვალის არჩევანის თავისუფლება არსებობს, მხოლოდ, საწინააღმდეგო შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, მათ შორის გადახდის ადგილას მოქმედი ვალუტის შემზღუდავი რეგულაციები.“]; UNIDROIT 1987, Study L – Doc. 39, 13-14 [https://www.unidroit.org/english/documents/1987/study50/s-50-38-e.pdf] [„მე-14 მუხლის პირველ პარაგრაფში მოცემული წესი, რომლის მიხედვითაც მოვალეს აქვს არჩევანის უფლება გადახდა განახორციელოს ან მხარეთა მიერ შეთანხმებულ ვალუტაში, ან გადახდის ვალუტაში, თუკი გარემოე-

ბები სხვა რამეზე არ მიუთითებენ, ჯგუფმა დაადგინა კომპრომისის შედეგად. ჯგუფის წევრებს აქვთ გარკვეული ეჭვები ამ წესის სისწორესთან დაკავშირებით და იკვეთება, რომ იგი არ შეესაბამება არც ძირითად სახელშეკრულებო მოლოდინებს და არც ფართოდ დამკვიდრებულ პრაქტიკას. პირველ რიგში, იგი ეწინააღმდეგება ძირითად მოლოდინს, რომ კრედიტორს უფლება აქვს მოითხოვოს, რომ მოვალემ ვალდებულება შეასრულოს შეთანხმებულ ვალუტაში, ე.ი. უფლებას, რომ მოთხოვნილ იქნეს ვალდებულების ხელშეკრულების შინაარსის შესაბამისად შესრულება. მეორეს მხრივ, როგორც ჩანს ეს წესი ეწინააღმდეგება ფართოდ დამკვიდრებულ პრაქტიკას. ფაქტობრივად, საერთაშორისო სავაჭრო პრაქტიკაში მიღებულია გადახდის მითითება კონკრეტულ ვალუტაში (მაგ. აშშ დოლარში) უნდა განხორციელდეს კონკრეტულ ბანკებში, რომლებიც მდებარეობს სხვა ვალუტის ქვეყნებში, და ეს საერთოდ არ ნიშნავს იმას, რომ მოვალეს უფლება აქვს შესრულება გადახდის ადგილის ვალუტაში განახორციელოს. შესაბამისად, მე-14 მუხლში დადგენილის საწინააღმდეგო წესი უფრო შესაბამისი იქნება საერთაშორისო სახელშეკრულებო პრაქტიკასთან.“]. დამატებით, სამუშაო ჯგუფის წევრთა შორის ვრცელი დებატები უცხოურ ფულად ვალდებულებასთან, მათ შორის, გამოსაყენებელ კურსთან დაკავშირებით იხ.: UNIDROIT 1994, PC – Misc. 19, 71-82 [https://www.unidroit.org/english/documents/1994/study50/s-50-misc-19-e.pdf].

⁹⁰ Vogenauer S., Commentary on the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts (PICC) (2nd ed. 2015) (ebook) Article 6.1.9, [14]. ავტორი მიუთითებს, რომ არ არის ნათელი რატომ აირჩია უნიდროას პრინციპებმა კრედიტორის დაცვის მხოლოდ ლიმიტირებული ვარიანტი. თუკი კრედიტორს ექნებოდა უფლება აერჩია ვადაგადაცილებისას რომელ ვალუტაში უნდა მოხდეს გადახდა, მაშინ ვადაგადაცილების მთლიანი რისკი გადავიდოდა მოვალეზე. ამისგან განსხვავებით, არსებული რედაქციით კრედიტორს რჩება, მხოლოდ, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება უნიდროას პრინციპების 7.4 სექციის შესაბამისად, თუკი დაკმაყოფილებულია მისი წინაპირობები [იხ. მუხლები 7.4.1 – 7.4.13]. ამისგან განსხვავებით, PECL 7.108(3) მუხლი ვადაგადაცილებისას კრე-

დიტორს აძლევს არჩევანის უფლებას: „თუ მეორე პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მოვალემ დროულად არ შეასრულა ვალდებულება, კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს შესრულება იმ ადგილის შესაბამის ვალუტაში, სადაც უნდა მომხდარიყო შესრულება, ან იმ გადაცვლის კურსის შესაბამისად, რომელიც იქ შესრულებისათვის თავდაპირველად გათვალისწინებულ დროს ან დაგვიანებული გადახდის დროისთვის იყო დადგენილი.“
 ბჟეკალავა ე., ჭალიძე თ., ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები (2014) 52. უცხოურ ფულად ვალდებულებასთან დაკავშირებით საინტერესო მუხლს შეიცავს DCFR: „მუხლი III.–2:109. გადახდის ვალუტა. (1) მოვალეს და კრედიტორს უფლება აქვთ შეთანხმდნენ, რომ გადახდა მოხდება, მხოლოდ, განსაზღვრულ ვალუტაში. (2) ამგვარი შეთანხმების არარსებობისას, თუკი ვალის ვალუტა განსხვავდება გადახდის ადგილას მოქმედი ვალუტისაგან, გადახდა შეიძლება მოხდეს ამ ადგილის ვალუტაში ვადამოსულობისას არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად. (3) თუკი, წინამდებარე პარაგრაფის შესაბამისად მოვალე გადააცილებს გადახდის ვადას, კრედიტორი უფლებამოსილია გადახდა მოითხოვოს გადახდის ადგილას მოქმედ ვალუტაში ვადამოსულობისას ან ფაქტობრივად გადახდისას არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად. (4) თუკი ფულადი ვალდებულება არ არის კონკრეტულ ვალუტაში გამოხატული, გადახდა უნდა მოხდეს გადახდის ადგილას მოქმედ ვალუტაში.“ [იხ. DCFR ტექსტი https://www.law.kuleuven.be/personal/mstorme/2009_02_DCFR_OutlineEdition.pdf]. ხელშეკრულებაში სამი სხვადასხვა ვალუტა შეიძლება ფიგურირებდეს: ვალის ვალუტა, გადახდის შეთანხმებული ვალუტა და გადახდის ადგილას მოქმედი ვალუტა. III.–2:109 მუხლი ეფუძნება მიდგომას, რომ, უპირველეს ყოვლისა, კრედიტორს უფლება აქვს გადახდა შეთანხმებულ ვალუტაში მოითხოვოს (მიუხედავად იმისა, განმხილველი სასამართლო უშვებს თუ არა გადანყვეტილების მიღებას მხარეთა მიერ შეთანხმებულ ვალუტაში, ეს საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული საკითხია). თუკი ამგვარი შეთანხმება არ არსებობს, მოვალეს უფლება აქვს გადახდა ადგილობრივ ვალუტაში განახორციელოს, თუმცა ამან არ უნდა შეამციროს ვალდებულების ოდენობა, ამიტომ კონვერტაცია უნდა მოხდეს ვადამოსულობისას არსებული კურსის შესაბამისად (მათ შორის მაშინაც, როცა გადახდა ხდება ვადის დადგომამდე). თუკი მოვალემ გადახდის ვადას გადააცილა, III.–2:109 მუხლი მხარს

ასეთ დროს, კრედიტორს მხოლოდ შეუძლია ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს.⁹¹

გ) შეცვლილი გარემოებისადმი მისადაგება

1984 წლის დრაფტი მხარს უჭერდა ნომინალიზმის პრინციპს, თუმცა იგი ამოღებულ იქნა.⁹² ამის გამო, უნიდროას პრინციპები პირდაპირ არ არეგულირებს ვალდებულების გართულების და ვალუტის კურსის არსებითი ცვლი-

უჭერს კურსის ცვლილების რისკის მოვალეზე გადატანას. უარი ითქვა კურსთა შორის სხვაობის ზიანის ანაზღაურების ზოგადი წესებით დაკისრებაზე, ვინაიდან ეს ორ დამოუკიდებელ სასარჩელო მოთხოვნას გულისხმობს; ნაცვლად, მუხლმა კრედიტორს მიანიჭა არჩევანის თავისუფლება ვადამოსულობისა და ფაქტობრივად გადახდის თარიღებს შორის. *Bar von C., Clive E. Schulte-Nolke H., Draft Common Frame of Reference (DCFR), Articles and Comments, 342-344.*

⁹¹ *Vogenauer S., Commentary on the UNIDROIT Principles of International Commercial Contracts (PICC) (2nd ed. 2015) (ebook) Article 6.1.9, [14].* 11/12/1967 წლის ევროპული კონვენცია უცხოური ფულადი ვალდებულებების შესახებ მე-4 მუხლში ადგენს, რომ „თუკი მოვალე გადააცილებს თანხის გადახდის ვადას და ამის შემდეგ ვალუტა, რომელიც გამოხატული იყო ვალდებულება გაუფასურდება გადახდის ადგილის ვალუტასთან მიმართებით, მოვალემ, იგი გადახდას ახორციელებს ვალის ვალუტაში თუ, წინა მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში - გადახდის ადგილის ვალუტაში, უნდა გადაიხადოს დამატებით ვადამოსულობისას და ფაქტობრივად გადახდის დღეს არსებულ გადაცვლის კურსთა შორის განსხვავება.“ გამოწვევისაა შემთხვევა, როდესაც ვადის გადაცილება გამოწვეულია კრედიტორის ბრალით, ფორს-მაჟორით ან კრედიტორს კურსის გაუარესებით ზიანი არ მიდგომია. მტკიცების ტვირთი არის მოვალეზე. თუმცა, ევროპული კონვენცია დღეს მოქმედი არ არის.

⁹² UNIDROIT 1984, Study L – Doc. 33, 2 [<https://www.unidroit.org/english/documents/1984/study50/s-50-33-e.pdf>] [„მუხლი 7. ფულადი ვალდებულება. თანხის გადახდის ვალდებულების შესრულება ხდება შეთანხმებულ ვალუტაში ვალდებულების ნომინალის გადახდით.“].

ლების საკითხებს.⁹³ თუმცა, უნიდროას პრინციპების 6.2.1 და 6.1.9 მუხლების კომბინაციით მხარეები ატარებენ კურსის ცვლილების რისკს, თუკი ამის შესახებ სპეციალურად არ გაითვალისწინებენ ხელშეკრულებაში.⁹⁴ მხოლოდ მა-

შინ, როცა არსებითად დარღვეულია მხარეთა შესრულებებს შორის თანაფარდობა, შეიძლება გარიგების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგება.⁹⁵

IV. ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები

PECL, მუხლი 7:108: გადახდის ვალუტა

მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ, რომ გადახდა განხორციელდება მხოლოდ განსაზღვრული ვალუტით.

ასეთი შეთანხმების არარსებობისას, თანხა, რომელიც განსაზღვრულია შესრულების ადგილისგან განსხვავებულ ვალუტაში, შეიძლება გადახდილ იქნეს ამ ადგილის ვალუტაში, შესრულების დროისათვის მოქმედი გაცვლითი კურსის შესაბამისად.

თუ მეორე პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მოვალემ დროულად არ შეასრულა ვალდებულება, კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს გადახდა შესრულების ადგილის ვალუტაში, სადაც უნდა მომხდარიყო შესრულება, ვალდებულების შესრულების ან თანხის ფაქტობრივად გადახდის დროისათვის დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოხატულ ფულად ვალდებულებას აწესრიგებს 7:108 მუხლი [„გადახდის ვალუტა“].⁹⁶ 7:108(1) მუხლის თანახმად

რიც არ უნდა იქნას უპირატეს მდგომარეობაში ჩაყენებული.“].

⁹⁵ BGB 244-ე პარაგრაფის მიხედვით, ფულადი ვალდებულება ხასიათდება ნომინალიზმის პრინციპით. თუნდაც შეიცვალოს ვალუტის მსყიდველობითი ღირებულება, მოვალემ უნდა გადაიხადოს ნომინალით ფიქსირებული ოდენობა. მისადაგება ხდება, მხოლოდ, საგამონაკლისო შემთხვევებში, როდესაც ხდება გარემოებების არსებითი ცვლილება. MüKoBGB/Grundmann, 8. Aufl. 2019, BGB § 245 Rn. 20. ვალდებულების შესრულების გართულების შემთხვევებს აწესრიგებს უნიდროას პრინციპების 6.2.2 მუხლი.

⁹⁶ 9:510 მუხლი ეხება სპეციალურად სახელშეკრულებო ზიანის ანაზღაურების ვალუტას.

⁹³ UNIDROIT 1986, PC—Misc 8, 13 [https://www.unidroit.org/english/documents/1986/study50/s-50-misc-08-e.pdf] [„მე-5 მუხლთან დაკავშირებით, სამუშაო ჯგუფმა გადაწყვიტა მისი ამოღება. სამუშაო ჯგუფის წევრებმა მიიჩნიეს, რომ თუმცა ადგილობრივი კანონმდებლობის დონეზე, შესაძლოა, გამართლებული იყოს ნომინალიზმის პრინციპის აღიარება, რამდენადაც თითოეულ ქვეყანას სურს აჩვენოს საკუთარი ვალუტის სიმყარის მიმართ ნდობა, საერთაშორისო დონეზე არა მხოლოდ არ არსებობს მსგავსი დასაბუთება, არამედ, ასევე, არ იყო ცხადი თუ რა მიმართება იქნებოდა ნომინალიზმის პრინციპსა და ვალდებულებათა გართულების შემთხვევაში ხელშეკრულების მისადაგების წესებს შორის.“].

⁹⁴ საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1895-ე მუხლი სპეციალურ წესს ადგენს სესხის ხელშეკრულებების მიმართ: „სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულება ყოველთვის არსებობს ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ციფრის ოდენობით. მიუხედავად იმისა, თანხის გადახდის ვადის დადგომამდე გაიზრდება თუ შემცირდება ვალუტის კურსი, მოვალე ვალდებულია დააბრუნოს ნომინალით განსაზღვრული თანხა და გადახდა უნდა მოხდეს გადახდის დროს დადგენილ ვალუტაში.“ ამერიკულ სასამართლო პრაქტიკაშიც არის საქმეები, სადაც სასამართლომ მხარი დაუჭირა ნომინალიზმის პრინციპს. 1926 წლის ერთ-ერთ საქმეში აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ ვალუტის კურსის ცვლილების რისკი არის მხარეებზე. Deutsche Bank Filiale Nürnberg v Humphreys, 272 US 517, 519 (1926) [„კონკრეტული ქვეყნის ვალუტაში გამოხატულ ვალდებულებას ყოველთვის თან ახლავს ვალუტის კურსის ფლუქტუაციით გამონვეული რისკი და კანონისათვის არ აქვს მნიშვნელობა ამით კრედიტორი მიიღებს სარგებელს თუ მოვალე, რა თქმა უნდა, დოლარს და მარკას სხვა და სხვა დროს სხვა და სხვა ღირებულება გააჩნიათ, თუმცა, კანონისათვის ორივე მათგანი მაინც იგივედ რჩება. თუკი ვალდებულების შესრულების ადგილი იქნებოდა ამერიკა, ხოლო დოლარის კურსი სარჩელის შეტანამდე დაეცემოდა, კრედიტორს არ მიეცემოდა ამის გამო უფრო მეტი დოლარის მიღების უფლება. უცხოელი კრედიტო-

მხარეებს უფლება აქვთ შეთანხმდნენ, რომ გადახდა მოხდება კონკრეტულ ვალუტაში. მაგალითად, მხარეებს უფლება აქვთ ფასი დაადგინონ აშშ დოლარში, თუმცა გაითვალისწინონ, რომ გადახდა მოხდება ევროში.⁹⁷ შეთანხმება კრედიტორს ანიჭებს გადახდის კონკრეტულ ვალუტაში განხორციელების მოთხოვნის უფლებას.⁹⁸ სხვაგვარად, ვალის ვალუტა და გადა-

ხდის ვალუტა, ჩვეულებრივ, ერთმანეთს დაემთხვევა.

გადახდის ვალუტაზე შეთანხმების არარსებობისას თუკი ხელშეკრულებით გათვალისწინებულია უცხოური ვალუტა, გადახდა შეიძლება მოხდეს შესრულების ადგილის ვალუტაში, ვალდებულების ვადამოსულობისას არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად. [მუხლი 7:108(2)]. მუხლი მოვალეს ანიჭებს არჩევანის უფლებას.⁹⁹ რაც შეეხება გაცვლით კურსს, აქ მოქმედებს პრინციპი, რომ კურსის არჩევამ არ უნდა გამოიწვიოს ვალდებულების ხელოვნური შემცირება.¹⁰⁰ ამიტომ, გამოიყენება ვადამოსულობის დროს შესრულების ადგილას არსებული კურსი. ეს კურსი მოქმედებს მაშინაც, როცა მოვალე ვალდებულებას ვადაზე ადრე ასრულებს.¹⁰¹

ვადის გადაცილებისას PECL-მა უარი თქვა კურსის ვადამოსულობის დროისათვის დაფიქსირებასა და კრედიტორისათვის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების მინიჭებაზე, ვინაიდან ეს იწვევს მოთხოვნების გაყოფას და, შესაძლოა, წარმოშვას ორი დამოუკიდებელი სამართალწარმოება. ვადის გადაცილებისას კრედიტორს უფლება აქვს გადახდა მოითხოვოს ან ვადამოსულობისას, ან ფაქტობრივად გადახდისას არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად. [მუხლი 7:108(3)]. მუხლი მიზნად ისახავს კრედიტორის ინტერესების დაცვას.¹⁰²

მუხლი 9:510: ვალუტა, რომელშიც გამოითვლება ზიანის ოდენობა

ზიანი გამოთვლილ უნდა იქნას იმ ვალუტაში, რომელიც ყველაზე უკეთ ასახავს დაზარალებული მხარის დანაკარგებს.

მუხლის თანახმად, ზიანი გამოთვლილი უნდა იქნას იმ ვალუტაში, რომელიც ყველაზე უკეთ ასახავს დაზარალებული მხარის ზიანს [„most appropriately reflects the aggrieved party's loss“]. ამაში იგულისხმება ის, რომ მხარე ჩაყენებულ უნდა იქნას იმავე პოზიციაში, რომელშიც იგი იქნებოდა ვალდებულების შესრულების შემთხვევაში [მუხლი 9:502]. თავიდან უნდა იქნას აცილებული როგორც ზიანის არასათანადო კომპენსაცია, ისე დაზარალებული მხარის უსაფუძვლო გამდიდრება. *Lando O., Beale H., Principles of European Contract Law, Parts I and II (2000) 457.* როგორც წესი, გამოიყენება ხელშეკრულებით შეთანხმებული ვალის ვალუტა, თუმცა, შესაძლოა, გამოყენებულ იქნას ის ვალუტა, რომელშიც დაზარალებული მხარე ზოგადად ახორციელებს საქმიანობას. *Lando O., Beale H., Principles of European Contract Law, Parts I and II (2000) 457.* 9:510 მუხლი ადგენს ზიანის ვალუტას, რაც შეეხება კურსს, თუკი ზიანი უცხოურ ვალუტაშია გამოხატული, მისი გადახდის ვალუტაში კონვერტაციას, კვლავ, აწესრიგებს 7:108 მუხლი. *Lando O., Beale H., Principles of European Contract Law, Parts I and II (2000) 457.*

⁹⁷ *Lando O., Beale H., Principles of European Contract Law, Parts I and II (2000) 343.*

⁹⁸ *Lando O., Beale H., Principles of European Contract Law, Parts I and II (2000) 344.* 7:108 მუხლი არ ეხება განმხილველ სასამართლოს აქვს თუ არა გადაწყვეტილების უცხოურ ვალუტაში მიღების უფლება. ამას მოაწესრიგებს ადგილობრივი საპროცესო სამართალი. ასევე, მუხლი არ ეხება ბუნდოვანების შემთხვევაში სახელშეკრულებო ინტერპრეტაციას, რაც გამოსაყენებელი სამართლით წესრიგდება. *Lando O., Beale H., Principles of European Contract Law, Parts I and II (2000) 344.*

⁹⁹ *Lando O., Beale H., Principles of European Contract Law, Parts I and II (2000) 344.*

¹⁰⁰ *Lando O., Beale H., Principles of European Contract Law, Parts I and II (2000) 345.*

¹⁰¹ *Lando O., Beale H., Principles of European Contract Law, Parts I and II (2000) 345.*

¹⁰² *Lando O., Beale H., Principles of European Contract Law, Parts I and II (2000) 345* [„ძირითადი პრინციპი, რომელიც სამართლიან შედეგს აღწევს არის ის, რომ ვადის გადაცილებისას ვადამოსულობის შემდგომი ვალუტის კურსის შემცირების რისკი უნდა ატაროს მოვალემ და არა კრედიტორმა; კრედიტორი თავიდან აიცილებდა კურსთან დაკავშირებულ რისკებს იმით, რომ მიღებულ სუსტ ვალუტას გადაახურდავებდა ძლიერ ვალუტაში. შესაბამისად, მოვალე, ფაქტობრივად, გადახდის დაყოვნებით ახდენს კურსით სპეკულაციას.“].

ამავე დროს, მხარეებს უფლება აქვთ შეთანხმდნენ ფიქსირებულ კურსზეც.¹⁰³

V. ამერიკული სამართალი

აშშ-ში მოქმედებს უნიფიცირებული სავაჭრო კოდექსი, რომელიც აწესრიგებს თითქმის ყველა სახის კომერციულ ტრანზაქციას.¹⁰⁴ კოდექსის 3-107 სექცია ეხება უცხოურ ვალუტაში გადასახდელ ინსტრუმენტებს და ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად:

§ 3-107. უცხოურ ვალუტაში გადასახდელი ინსტრუმენტები.
თუკი ინსტრუმენტი სხვაგვარად არ ადგენს, უცხოურ ვალუტაში განსაზღვრული ფულადი ვალდებულება შეიძლება შესრულდეს უცხოურ ვალუტაში ან დოლარის ექვივალენტში, გადახდის დღეს გადახდის ადგილზე დოლარის შესყიდვისათვის დადგენილი საბანკო კურსით.

3-107 სექცია ეხება მხოლოდ ფულად ვალდებულებებს. როგორც სექციის ტექსტიდან ჩანს მოვალეს ეძლევა თანხის დოლარში გადახდის უფლება. გამოიყენება გადახდის დღეს (და არა ვადამოსულობის დღეს) არსებული კურსი, კერძოდ კი, დოლარის შესყიდვისათვის დადგენილი კურსი. კოდექსი მხარეებს აძლევს უფლებას შეთანხმდნენ, რომ გადახდა მოხდება ექსკლუზიურად უცხოურ ვალუტაში. მეტიც, მხარეებს უფლება აქვთ შეთანხმდნენ კონვერტაციის კურსზეც.

რეებს უფლება აქვთ შეთანხმდნენ კონვერტაციის კურსზეც.

უცხოურ ვალუტაში გამოხატულ ფულად ვალდებულებებთან დაკავშირებით საინტერესოა აშშ-ს სასამართლოთა პრაქტიკა. საქმე ისაა, რომ, ისტორიულად, ამერიკული სასამართლოები ფულად თანხას ყოველთვის დოლარში მიუთითებდნენ.¹⁰⁵ აღნიშნული ტრადიცია, ჯერ კი

¹⁰⁵ Hicks v. Guinness, 269 U.S. 71, 80 (1925) [„ვალდებულება ამერიკელი კრედიტორის მიმართ უნდა შესრულდეს იყო აშშ-ში. როდესაც თანხის გადაუხდელობის გამო ხელშეკრულება დაირღვა, ამერიკულ კომპანიას გაუჩნდა მოთხოვნის უფლება არა ვალის, არამედ, მისი არჩევანით, ზიანის აშშ დოლარში ანაზღაურების შესახებ. იგი აღარ არის ვალდებული გადახდად მიიღოს მარკა.“]; Frontera Transp. Co. v. Abaunza, 271 F. 199, 202 (5th Cir. 1921) [„ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოს უფლება ქონდა გადანყვეტილება მექსიკურ პესოში ან აშშ დოლარისგან განსხვავებულ ნებისმიერ სხვა ვალუტაში მიეღო. სასამართლოს ან უნდა დაედგინა გადასახდელი თანხის ექვივალენტი ამერიკულ ვალუტაში, ან თუკი ამის საკმარისი მტკიცებულება არ იარსებებდა, უარი უნდა ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.“]; Shaw, Savill, Albion & Co. v. The Fredericksburg, 189 F.2d 952, 954-955 (2d Cir. 1951) [„დამკვიდრებული წესის თანახმად, ამერიკულმა სასამართლომ გადანყვეტილება უნდა მიიღოს მხოლოდ ამერიკულ ვალუტაში. შესაბამისად, წინამდებარე საქმის მსგავს შემთხვევებში წამოიჭრება საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი თარიღით უნდა მოხდეს უცხოური ვალუტის ადგილობრივ ვალუტაში კონვერტაცია.“]. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამერიკული სასამართლოები აღნიშნული წესის საფუძვლად ხშირად მიუთითებდნენ 1792 წლის კანონზე (Coinage Act), რომლის მე-20 სექციის თანახმადაც „ამერიკის შეერთებული შტატების ფული გამოხატული უნდა იყოს დოლარებში ან ერთეულებში ... და ყველა სასამართლო პროცესი ... უნდა შეესაბამებოდეს წინამდებარე რეგულაციას.“ Coinage Act of 1792, 31 U.S.C. § 371. სასამართლოები, სწორედ, აღნიშნულ დანაწესზე მითითებით ასაბუთებდნენ გადანყვეტილების მხოლოდ აშშ დოლარში მიღებას. Int'l Silk Guild, Inc. v. Rogers, 262 F.2d 219, 224 (D.C. Cir. 1958) [„მას შემდეგ, რაც პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა, რომ იაპონური ასაში ვალდებულები იყო გილდისათვის გადაეხადა 80,323.09 იაპონური იენი, წარმოიშვა იე-

¹⁰³ Lando O., Beale H., Principles of European Contract Law, Parts I and II (2000) 345.

¹⁰⁴ უნიფიცირებული სავაჭრო კოდექსი (Uniform Commercial Code (UCC)) არის ამერიკის სამართლის ინსტიტუტისა (ALI) და შტატთა გაერთიანებული სამართლის ნაციონალური კონფერენციის (National Conference of Commissioners on Uniform State Laws (NCCUSL)) ერთობლივი პროექტი. კოდექსი შეიცავს ნასყიდობისა და სხვა კომერციული ტრანზაქციების მომწესრიგებელ ნორმებს. პირველი რედაქცია გამოიცა 1942 წელს. კოდექსს სარეკომენდაციო ხასიათი აქვს და მოქმედებისათვის აუცილებელია შტატებმა მისი რატიფიკაცია მოახდინონ. <https://www.uniformlaws.org/acts/ucc>.

ნის დოლარში კონვერტაციის პრობლემა, რამდენადაც ამერიკულ სასამართლოებს უფლება აქვთ გადანყვეტილება მიიღონ მხოლოდ დოლარში. იხ. *See § 20 of the Monetary Act of 1792.*”; *Shaw, Savill, Albion & Co. v. The Fredericksburg*, 189 F.2d 952, 954 (2d Cir. 1951). თუმცა, კომენტატორთა ნაწილი მიიჩნევს, რომ კანონის ტექსტი არასწორად იქნა გაგებული და იგი არ მოითხოვს სასამართლოებმა გადანყვეტილება მხოლოდ აშშ დოლარში მიიღონ, არამედ ამერიკის მთავრობას უდგენს გარკვეულ წესებს, თუ როგორ უნდა მოხდეს მთავრობის თანხების შენახვა. *Brand A. Ronald, Restructuring the U.S. Approach to Judgments on Foreign Currency Liabilities: Building on the English Experience*, 11 YALE J. INT’L L. 139, 157-159 (1985) [ავტორი მიუთითებს, რომ საკანონმდებლო ისტორია არ შეიცავს რაიმე მინიშნებას იმაზე, რომ კანონის ტექსტი მოსამართლეებს უკრძალავს გადანყვეტილების უცხოურ ვალუტაში მიღებას. მათ შორის, 1792 კანონის ტექსტზე ვრცლად იმსჯელებს დამფუძნებელმა მამებმაც, თომას ჯეფერსონმა და ალექსანდრე ჰამილტონმა, თუმცა თავიანთ მსჯელობაში არსად შეხებიან სასამართლო პროცედურულ საკითხებს]. 1982 წელს კანონის ტექსტმა განიცადა ცვლილება და ამოღებულ იქნა ამერიკულ სასამართლოებთან დაკავშირებული წინადადება. 31 U.S.C § 5101. აღნიშნული ცვლილების შემდეგ გადანყვეტილების ადგილობრივ ვალუტაში მიღების წესმა თანდათან ცვლილება დაიწყო. In re Oil Spill by The Amoco Cadiz, 954 F.2d 1279, 1328 (1992) [„გადაწყვეტილებები უცხოურ ვალუტაში აშშ-ს ფედერალური სასამართლოების პრაქტიკაში იშვიათია - შესაძლოა, წინამდებარე გადანყვეტილება იყოს პირველი - ვინაიდან 1792 წლის Coinage Act-ის მე-20 სექციის თანახმად „ამერიკის შეერთებული შტატების ფული გამოხატული უნდა იყოს დოლარებში ან ერთეულებში ... და ყველა სასამართლო პროცესი ... უნდა შეესაბამებოდეს წინამდებარე რეგულაციას.“ კონგრესმა აღნიშნული სექცია გააუქმა 1982 წელს. შესაბამისად, აღარ არსებობს გადანყვეტილების უცხოურ ვალუტაში მიღების ხელშემშლელი გარემოება.“]; *Competex, S.A. v. LaBow*, 783 F.2d 333, 337 & n.9 (2d Cir. 1986) [„გადაწყვეტილების მიღება უცხოურ ვალუტაში დასაშვებია ინგლისში, იხ. *Miliangos v. George Frank (Textiles) Ltd.*, [1975] 3 All E.R. 801 (H.L.), საფრანგეთში და გერმანიაში, იხ. *E. Scoles & P. Hay, Conflict of Laws § 24.40* (1982). ამ მიდგომის გასაგები უპირატესობის მიუხედავად, რომელიც ინარჩუნებს თავდაპირველი გადანყვეტი-

დეგ, ინგლისური სამართლიდან მომდინარეობს.¹⁰⁶ სასამართლოები ამ მიდგომის დასასაბუთებლად სხვადასხვა არგუმენტებს ეყრდნობოდნენ,¹⁰⁷ თუმცა, ბოლო დროს მიდგომები ორივე ქვეყანაში შეიცვალა.¹⁰⁸

ლების მთლიანობას და გადანყვეტილებით დადგენილი ვალუტის ფლუქტუაციის რისკს მხარეებზე ანაწილებს, მან ნაკლები მხარდაჭერა მოიპოვა აშშ-ში პროცედურული საფუძვლებით. ამერიკული სასამართლოების უმრავლესობამ მიიჩნია, რომ ამერიკული გადანყვეტილებები მიღებული უნდა იყოს დოლარში. აღნიშნული მიდგომა ეფუძნება ან საერთო სამართალში დამკვიდრებულ სუვერენიტეტის პრინციპს, იხ. *Hicks v. Guinness*, 269 U.S. 71, 72, 70 L. Ed. 168, 46 S. Ct. 46 (1925); *Frontera Transportation Co. v. Abaunza*, 271 F. 199, 202 (5th Cir. 1921); *Liberty National Bank v. Burr*, 270 F. 251, 252 (E.D. Pa. 1921), ან, როგორც მინიმუმ, ნაწილობრივ, 1792 წლის ამჟამად უკვე გაუქმებულ Coinage Act-ის მე-20 სექციას, იხ. *International Silk Guild, Inc. v. Rogers*, 104 U.S. App. D.C. 330, 262 F.2d 219, 224 (D.C. Cir. 1958); *Shaw, Savill, Albion & Co. v. The Fredericksburg*, 189 F.2d 952, 954-5 n. 5 (2d Cir. 1951). აღნიშნული მიდგომა, სავარაუდოდ, უნდა გადაიხედოს, რამდენადაც მე-20 სექცია უკვე გაუქმებულია.“]; *Westerheim R. S.*, The Uniform Foreign-Money Claims Act: No Solution to an Old Problem, 69 TEX. L. REV. 1203 (1991); *Lion L. P.*, The Need to Retreat From Inflexible Conversion Rules - An Equitable Approach to Judgment in Foreign Currency, 22 Santa CLARA L. REV. 871 (1982); *Freeman J.*, Judgments in Foreign Currency - A Little Known Change in New York Law, 23 INT’L L. 737, 738-740 (1989); *Becker J.*, The Currency of Judgment, 25 AM. J. COMP. L. 152 (1977).

¹⁰⁶ ჯერ კიდევ 1626 წლის საქმეში ინგლისურმა სასამართლომ განმარტა, რომ „უცხოურ ვალუტაში არსებული ვალდებულებისას ... უნდა განისაზღვროს მისი ღირებულება ინგლისურ ვალუტაში.“ *Ward v. Kidswin*, 82 Eng. Rep. 283. აღნიშნულ მიდგომას დიდი ხნის განმავლობაში ეთანხმებოდა ინგლისის უმაღლესი სასამართლოც. In re United Railways of Havana and Regla Warehouses, Ltd., 1961 A.C. 1007.

¹⁰⁷ *Brand A. Ronald, Restructuring the U.S. Approach to Judgments on Foreign Currency Liabilities: Building on the English Experience*, 11 YALE J. INT’L L. 139, 158 (1985); *Freeman J.*, Judgments in

ForeignCurrency - A Little Known Change in New York Law, 23 INT'L L. 737, 738-740 (1989).

¹⁰⁸ აშშ-ში 1989 წელს შემუშავებულ იქნა მოდელური აქტი The Uniform Foreign Money Claims Act (UFMCA), რომელიც ითვალისწინებს გადაწყვეტილების უცხოურ ვალუტაში მიღების შესაძლებლობას. აღნიშნული დოკუმენტი არაერთმა შტატმა გაიზიარა და ასახა ადგილობრივ საკანონმდებლო აქტებში. ცვლილებებთან ერთად სასამართლოთა პრაქტიკაში გაჩნდა გადაწყვეტილებები, რომლებმაც ან გამოსხატეს ძველი წესის შეცვლის სურვილი, ან გადაწყვეტილება უცხოურ ვალუტაში მიიღეს. *Manches & Co. v. Gilbey*, 646 N.E.2d 86, 89 (Mass. 1995) [სასამართლომ გადაწყვეტილებით მოპასუხეს დააკისრა ინგლისური ფუნტი სტერლინგის გადახდა]. ინგლისურ რეალობაშიც გადაწყვეტილების მხოლოდ ადგილობრივ ვალუტაში მიღების წესი პირველად დაირღვა 1974 წელს, როცა საქმეში *Ugoslavenska Oceanska Plovidba v. CastleInvestment Co., Inc.* სასამართლომ გადაწყვეტილება აშშ დოლარში მიიღო. *Ugoslavenska Oceanska Plovidba v. CastleInvestment Co., Inc.*, [1974] Q.B. 292. ხოლო, საქმეში *Schorsch Meier v. Hennin*, სადაც გერმანული ავტომობილების რეალიზატორი კომპანია ედავებოდა ინგლისურ დილერ კომპანიას, ხელშეკრულებაში ვალის ვალუტა იყო გერმანული ფრანკი. ტრადიციული მიდგომის თანახმად, ინგლისური სასამართლო გადაწყვეტილებას მიიღებდა სტერლინგში და კურსს დაითვლიდა დარღვევის დღის მიხედვით, თუმცა შეცვლილი პრაქტიკით სასამართლომ გადაწყვეტილება გერმანულ მარკაში მიიღო. *Schorsch Meier v. Hennin*, [1975] 1 All E.R. 152. 1975 წლის საქმეში *Miliangos v. George Frank (Textiles) Ltd.* შვეიცარიულ გამყიდველსა და ინგლისელ მყიდველს შორის დადებულ ხელშეკრულებაში ვალუტა იყო შვეიცარიული ფრანკი. სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო შვეიცარიულ ფრანკში. *Miliangos v. George Frank (Textiles) Ltd.*, [1975] 3 All E.R. 801. სასამართლომ გადაწყვეტილება ვალუტის სიმყარის შემცირებით ახსნა: „კურსის სტაბილურობასთან დაკავშირებული სიტუაცია არსებითად შეიცვალა 1961 წლის შემდეგ. ნაცვლად იმისა, რომ მსოფლიოს ძირითადი ვალუტები იყოს სტაბილურად ფიქსირებული, ღირებულების პერიოდული კლებების/მატების გათვალისწინებით, მათი უმრავლესობა დღეს „მცოცავია“, ანუ არ აქვს თუნდაც დღიური ფიქსირებული გაცვლითი ღირებულება. ეს შეეხება ფუნტ სტერლინგსაც. ეს იმას ნიშნავს, რომ, ნა-

როდესაც ვალის ვალუტა უცხოურია, ხოლო სასამართლო გადაწყვეტილებას აშშ დოლარში იღებს, წარმოიშობა კონვერტაციის პრობლემა. მიდგომები განსხვავებულია შტატების და ფედერალური სასამართლოების დონეზე. მაგალითად, ნიუ-იორკის სასამართლოები კონვერტაციას ახდენენ ვადამოსულობის დღეს არსებული კურსის შესაბამისად. საქმეში *Librairie Hachette, S.A. v. ParisBook Center, Inc.* ფრანგ გამომცემელსა და ამერიკელ დისტრიბუტორს შორის ხელშეკრულებაში ვალის ვალუტა იყო ფრანგული ფრანკი. მოპასუხემ დაარღვია თანხის გადახდის ვალდებულება, ამ დროის განმავლობაში კი ფრანკი დოლართან მიმართებით გაუფასურდა. ნიუ იორკის უზენაესმა სასამართლომ გამოიყენა ვადამოსულობის დღეს არსებული კურსი¹⁰⁹ და განმარტა, რომ სხვაგვარად „მოვალე შესყიდული საქონლის საფასურის ვადის გადაცილებით მიიღებდა დაუმსახურებელ სარგებელს.“¹¹⁰

ფედერალური სასამართლოები განსხვავებულ მიდგომას უჭერენ მხარს და იყენებენ როგორც დარღვევის დღეს არსებულ, ისე გადაწყვეტილების მიღებისას¹¹¹ დადგენილ გაცვლით

ცვლად იმისა, რომ სიტუაცია, სადაც გაცვლითი კურსი იცვლება ვალდებულების დარღვევიდან გადაწყვეტილების მიღებამდე ან თანხის ფაქტობრივად გადახდამდე პერიოდში, ითვლებოდა გამონაკლისად, რის გამოც დადგენილი წესი ზოგადად სამართლიანად მიიჩნეოდა, ეს სიტუაცია ახლა წესად იქცა. შესაბამისად, მის საპასუხოდ გამოსავლის ფორმულის მოძებნა გახდა აუცილებელი სამართლის ინტერესებიდან გამომდინარე.“ საქმეში *Owners of M. V Eleftherotria v. Owners of M.V Despina R* გადაწყვეტილების უცხოურ ვალუტაში მიღების წესი გავრცელდა, ასევე, დელიქტურ ვალდებულებებზეც. *Owners of M. V Eleftherotria v. Owners of M.V Despina R*, [1979] 1 All E.R. 421. მოგვიანებით, ეს წესი გავრცელდა, ასევე, ხელშეკრულების დარღვევით გამოწვეულ ზიანის ანაზღაურებაზეც. *Services Europe Atlantique Sud (SEAS) v. Stockholms Rederiaktiebolag SVEA (The Folias)*, [1979] 1 All E.R. 421.

¹⁰⁹ ე.წ. „Breach Day Rule.“

¹¹⁰ *Librairie Hachette, S.A. v. ParisBook Center, Inc.*, 309 N.Y.S.2d 701 (1970).

¹¹¹ ე.წ. „Judgment Day Rule.“

კურსს.¹¹² საქმეში *Shaw, Savill, Albion & Co. v. The Fredericksbur* ამერიკული და ბრიტანული გემები ერთმანეთს შეეჯახნენ ბრიტანეთის ტერიტორიულ წყლებში. აშშ-ს ფედერალურმა სასამართლომ ბრიტანელ მოსარჩელეს მიაკუთვნა აშშ დოლარი გადაწყვეტილების მიღებისას არსებული კურსით.¹¹³ გადაწყვეტილების მიღების დღეს არსებული კურსის გამოყენება ეფუძნება მიდგომას, რომ ფულად ვალდებულებაში მხარეებმა უნდა ატარონ კურსის ფლუქტუაციის რისკი. თუმცა, სხვა შემთხვევაში აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ გერმანულ მარკაში გამოხატული ვალდებულება აშშ დოლარში დააკონვერტირა ვადამოსულობის დღეს არსებული კურსით.¹¹⁴

¹¹² *Deutsche Bank v. Humphrey*, 272 U.S. 517 (1926); *Hicks v. Guinness*, 269 U.S. 71 (1925).

¹¹³ *Shaw, Savill, Albion & Co. v. The Fredericksbur*, 189 F.2d 952, 956 (1951).

¹¹⁴ *Hicks v. Guinness*, 269 U.S. 71 (1925). იგივე შედეგი იხ. *Librairie Hachette, S. A. v. Paris Book Center, Inc.*, 309 N.Y.S.2d 701, 705 (1970). საინტერესოა, რომ აშშ-ს უზენაესი სასამართლოს მიდგომები ეფუძნება ან ხელშეკრულების შესრულების ადგილის, ან კოლიზიური სამართლის პრინციპებს. პირველი მიდგომით, თუკი შესრულება უცხო ქვეყანაში ხდება, აშშ-ს უზენაესი სასამართლო იყენებს გადაწყვეტილების მიღებისას არსებულ კურსს. *Deutsche Bank v. Humphrey*, 272 U.S. 517 (1926). მეორე შემთხვევაში, თუკი შესრულება ხდება აშშ-ში, სასამართლო იყენებს დარღვევის დღის კურსს. *Hicks v. Guinness*, 269 U.S. 71 (1925). კოლიზიური სამართლის პრინციპების შესაბამისად, თუკი დავის საგანი წარმოიშვა უცხოური სამართლის საფუძველზე, გამოიყენება გადაწყვეტილების მიღების დღის კურსი, *Deutsche Bank v. Humphrey*, 272 U.S. 517 (1926), ხოლო თუკი წარმოიშვა ფორუმის სამართლის საფუძველზე, გამოიყენება დარღვევის დღის კურსი. *Hicks v. Guinness*, 269 U.S. 71 (1925). აღნიშნული მიდგომა გაზიარებულ იქნა აშშ-ს საერთაშორისო კერძო სამართლის პირველ კოდიფიკაციაში, თუმცა არ იქნა მხარდაჭერილი მეორე კოდიფიკაციის მიერ. პირველი კოდიფიკაციის 423-ე სექცია ადგენდა, რომ „იმ ხელშეკრულების დარღვევით მიყენებული ზიანი, რომელიც ითვალისწინებს შესრულების ადგილის ვალუტისგან განსხვავებულ ფულად ვალდებულებას, გამოთვლილი უნდა იქნას შესრულებ

ადგილობრივი ვალუტის გამოყენება ემსახურება ვალდებულების შესრულების გაიოლებას, ვინაიდან მოვალეს აღარ უნევს უცხოური ვალუტის მოპოვებაზე ზრუნვა. მეორეს მხრივ, გადაწყვეტილების მიღების დღეს არსებული კურსის გამოყენება იგივე შედეგს იძლევა, რასაც კრედიტორი მიიღებდა, თუკი სარჩელს უცხო ვალუტის ქვეყანაში წარადგენდა. თუმცა, კურსის დაცემისას და ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისას კრედიტორი განიცდის ზიანს.

ამერიკული სასამართლოები ცდილობენ კურსის განსაზღვრამ არ გამოიწვიოს კრედიტორის ან მოვალის უსამართლოდ დაზარალება. საქმეში *Paris v. Central Chiclera, S. de R.L.*¹¹⁵ ნასყიდობის ფასი დაფიქსირებული იყო მექსიკურ პესოში, აშშ-ს ფედერალურმა სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა გადაწყვეტილების დღეს არსებული კურსი. თუმცა, ამ შემთხვევაში მექსიკური პესოს კურსი იყო დაცემული, რის გამოც მოსარჩელემ იზარალა. საქმეზე განსხვავებული აზრი დაწერა ერთ-ერთმა მოსამართლემ, რომელმაც აღნიშნული შედეგის უსამართლობაზე გაამახვილა ყურადღება: „საქმის გაჭიანურებით მოპასუხემ მიიღო რვა ათას აშშ დოლარზე მეტი მოგება, და ამდენივე იზარალა მოსარჩელემ, თავისი მოთხოვნის თითქმის ნახევარი.“

ბოლოდროინდელი პრაქტიკით ამერიკული სასამართლოები დასაშვებად მიიჩნევენ გადაწყვეტილების უცხოურ ვალუტაში მიღებას. საქმეებში *In re Oil Spill by the Amoco Cadiz*¹¹⁶ და *Mitsui & Co. v. Oceantrawl Corp.*¹¹⁷ აშშ-ს ფედე-

ბის ადგილის ვალუტაში ვალდებულების დარღვევისას არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.“ ასევე, 424-ე სექციის თანახმად „როდესაც გადაწყვეტილება მიიღება სხვა ქვეყანაში წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასთან დაკავშირებით, გამოიყენება გადაწყვეტილების მიღების დროს არსებული გაცვლითი კურსი.“

¹¹⁵ *Paris v. Central Chiclera, S. de R.L.*, 193 F.2d 960 (1952).

¹¹⁶ *In re Oil Spill by The Amoco Cadiz*, 954 F.2d 1279 (7th Cir. 1992).

¹¹⁷ *Mitsui & Co. v. Oceantrawl Corp.*, 906 F. Supp. 202 (S.D.N.Y. 1995).

რალურმა სააპელაციო სასამართლოებმა ასა-
ნაზღაურებელი თანხა უცხოურ ვალუტაში და-
ადგინეს. ასევე, მიდგომა შეცვალა არაერთმა
შტატმაც.¹¹⁸ ეს გამოიწვია ადგილობრივი ვა-
ლუტის წესის გახშირებულმა კრიტიკამ.¹¹⁹ აღ-
ნიშნულ კრიტიკას საინტერესოდ აყალიბებს
საგარეო ურთიერთობების შესახებ აშშ-ს მესა-
მე კოდიფიკაციის 823-ე სექციის ოფიციალური
კომენტარი:

b. გადაწყვეტილებები უცხოურ ვალუტაში.
ტრადიციული წესი შეერთებულ შტატებში იყო
ის, რომ სასამართლოები ვალდებულები არიან
თანხის დაკისრება მოახდინონ, მხოლოდ, აშშ
დოლარში, მიუხედავად იმისა, თუ რა არის ვა-
ლის თუ ზიანის ვალუტა. სასამართლოები, რო-
მლებმაც გააანალიზეს აღნიშნული მიდგომის
საფუძვლები, იგი დაუკავშირეს ან 1792 წლის
კანონს, რომელიც, როგორც ჩანს, სულ სხვა
მიზნით იქნა მიღებული, თუმცა ნებისმიერ შემ-
თხვევაში უკვე გაუქმებულია, ან ანგლო-ამერი-
კულ საერთო სამართალს, რომელიც, ასევე,
უარყოფილია ბრიტანეთის ლორდთა პალატის
მიერ 1976 წელს. იმის გათვალისწინებით, რომ
გაცვლითი კურსის სისტემა ფუნდამენტურად
შეცვლილია, რომელშიც ყველა ვალუტის, მათ

¹¹⁸ მათ შორის შტატებმა, რომლებმაც გაიზიარეს და
თავიანთ შიდა კანონმდებლობაში ასახეს The
Uniform Foreign Money Claims Act (UFMCA).

¹¹⁹ Restatement (Third) of the Foreign Relations Law
of the U.S. § 823(1) (Am. Law Inst. 1987) [„აშშ-ს
სასამართლოებს] არ ეკრძალებათ გადაწყვეტილე-
ბის მიღება იმ ვალუტაში, რომელშიც ვალდებუ-
ლება გამოხატულია ან ზიანი იქნა მიყენებული.“];
Brand A. Ronald, Restructuring the U.S. Approach
to Judgments on Foreign Currency Liabilities:
Building on the English Experience, 11 YALE J. INT'L
L. 139 (1985) [ავტორი მიუთითებს, რომ ადგილობ-
რივი ვალუტის წესი უნდა შეიცვალოს უცხოური
ვალუტის წესით]; Dach J., Conversion of Foreign
Money: A Comparative Study of Changing Rules, 3
AM. J. COMP. L. 155 (1954) [ავტორი იკვლევს ვა-
ლუტის არჩევასთან და გადაცვლის კურსთან და-
კავშირებულ რეგულაციებს ამერიკასა და ევროპა-
ში და ემხრობა პოზიციას, რომ აშშ-ში ადგილობ-
რივი ვალუტის კურსის წესის შენარჩუნების საფუ-
ძველი არ არსებობს].

შორის აშშ დოლარის ღირებულება გამუდმე-
ბით იცვლება ერთმანეთის მიმართ, და ვინაი-
დან არ არსებობს საპირისპირო არგუმენტი, წი-
ნამდებარე სექცია, უნიფიცირებული სავაჭრო
კოდექსის 3-107 სექციის და ნიუ იორკის სასა-
მართლო კანონის 27-ე სექციის მსგავსად ად-
გენს, რომ შეერთებული შტატების სასამართ-
ლოებს აქვთ გადაწყვეტილებების უცხოურ ვა-
ლუტაში მიღების უფლება. თუმცა, გადაწყვე-
ტილება უცხოურ ვალუტაში მიღებული უნდა
იქნეს მხოლოდ მაშინ, როცა ამას მოითხოვს
კრედიტორი და როცა ამით საუკეთესოდ იქნე-
ბა მიღწეული მე-2 პუნქტში მოცემული მიზნე-
ბი. უცხოურ ვალუტაში მიღებული გადაწყვე-
ტილება შეიძლება შესრულდეს იმავე უცხოურ
ვალუტაში ან აშშ დოლარის ექვივალენტში გა-
დახდის დღეს არსებული კურსით.¹²⁰

თავად ხსენებული 823-ე სექცია შემდეგნაი-
რად არის ჩამოყალიბებული:

**§ 823 უცხოური ფულადი ვალდებულებე-
ბის შესახებ გადაწყვეტილებები: აშშ-ს კანო-
ნი**

(1) შეერთებული შტატების სასამართლოე-
ბი, ჩვეულებრივ, გადაწყვეტილებებს უცხო
ქვეყანაში წარმოშობილ ან უცხოურ ვალუტაში
გამოხატულ დავის საგანთან დაკავშირებით
იღებენ აშშ დოლარში, თუმცა მათ არ ეკრძალე-
ბათ გადაწყვეტილების იმ ვალუტაში მიღება,
რომელშიც გამოხატულია ვალდებულება ან
რომელშიც მიყენებულ იქნა ზიანი.

(2) თუკი უცხოურ ვალუტაში გამოხატულ
ვალდებულებებთან დაკავშირებით სასამართ-
ლო გადაწყვეტილებას მიიღებს აშშ დოლარში,
უცხოური ვალუტიდან აშშ დოლარში კონვერ-
ტაცია უნდა მოხდეს ისეთი კურსით, რომელიც
კრედიტორს აღადგენს პირვანდელ მდგომარე-
ობაში და თავიდან აიცილებს ვადაგადაცილე-
ბული მოვალის გამდიდრებას.

კრედიტორის სანყის პოზიციაში ჩაყენება
გულისხმობს მდგომარეობას, რომელიც იარსე-

¹²⁰ Restatement (Third) of the Foreign Relations Law
of the U.S. § 823 cmt. b (Am. Law Inst. 1987).

ბეჭდა ვალდებულების შესრულების ან ზიანის არარსებობის პირობებში.¹²¹ დავის მონაწილე მხარეებმა არ უნდა მიიღონ დაუმსახურებელი სარგებელი ან სასჯელი ვალუტის კონვერტაციის შედეგად.¹²² კონვერტაციის დრო უნდა განისაზღვროს იმის მიხედვით, თუ როგორ შეიცვალა კურსი: თუკი უცხოური ვალუტის კურსი შემცირდა, კონვერტაცია უნდა მოხდეს ვალდებულების დარღვევის ან ზიანის მიყენების დროის მიხედვით, ხოლო, თუკი უცხოური ვალუტის კურსი გაიზარდა, კონვერტაცია უნდა მოხდეს ან გადანყვეტილების მიღების, ან ფაქტობრივად გადახდის დღეს არსებული კურსით.¹²³ თუმცა, სასამართლოს უფლება აქვს, სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე, თავად განსაზღვროს თუ როგორ მოახდენს კონვერტაციას.

ამერიკულ სამართალში გამოიყენება კონვერტაციის სამი ძირითადი თარიღი: ვალდებულების დარღვევის, გადანყვეტილების მიღებისა და ფაქტობრივად გადახდის თარიღი. გადანყვეტილების უცხოურ ვალუტაში მიღება ფაქტობრივად არის გადახდის დღეს არსებული კურსის გამოყენების ექვივალენტური.¹²⁴ ვალდებულების დარღვევის თარიღში იგულისხმება მომენტი, როცა ვალდებულება უნდა შესრულებულიყო, ან როცა მხარემ განაცხადა ვალდებულების დარღვევის განზრახვის შესახებ, ან, დელიქტური ვალდებულებისას - დელიქტის ჩადენის მომენტი.¹²⁵ თუკი თანხა გადახდილი უნდა ყოფილიყო სხვადასხვა დღეს, კონვერტაციის თარიღიც უნდა განისაზღვროს დამოუკიდებ-

ლად თითოეული გადახდისათვის.¹²⁶ როცა გადანყვეტილება ეხება ერთდროულად რამდენიმე ვალდებულებას, ყველა მათგანის მიმართ კონვერტაციის დრო უნდა განისაზღვროს დამოუკიდებლად.¹²⁷ რაც შეეხება გადანყვეტილების მიღების დღეს, ეს არის დღე, როცა სასამართლომ მიიღო გადანყვეტილება, მიუხედავად აპელაციის ვადებისა.¹²⁸ ფაქტობრივად გადახდის დღეს შეიძლება ვალდებულება შესრულდეს როგორც უცხოურ ვალუტაში, ისე გადახდის დღეს არსებული კურსით.¹²⁹ გამოიყენება ოფიციალური გაცვლითი კურსი, თუკი არსებობს, სხვა შემთხვევაში სასამართლო ეყრდნობა გონივრულ საბაზრო კურსს.¹³⁰

VI. დასკვნის ნაცვლად

თითქმის ყველა ქვეყნის ადგილობრივი სამართალი არეგულირებს უცხოური ფულადი ვალდებულების საკითხს. უცხოურ ფულად ვალდებულებებს მეტ ნაკლებად მსგავსად ანესრიგებს ამ სფეროში მიღებული საერთაშორისო ინსტრუმენტებიც.¹³¹ უმთავრესი საკითხი არის

¹²¹ Restatement (Third) of the Foreign Relations Law of the U.S. § 823 cmt. c (Am. Law Inst. 1987).

¹²² Restatement (Third) of the Foreign Relations Law of the U.S. § 823 cmt. c (Am. Law Inst. 1987).

¹²³ Restatement (Third) of the Foreign Relations Law of the U.S. § 823 cmt. c (Am. Law Inst. 1987).

¹²⁴ *Competex, S.A. v. LaBow*, 783 F.2d 333, 338 (2d Cir. 1986) [„გადახდის დღის წესი ეკონომიკურად არის უცხოური ვალუტის გადანყვეტილების წესის ექვივალენტური.“]

¹²⁵ Restatement (Third) of the Foreign Relations Law of the U.S. § 823 cmt. d (Am. Law Inst. 1987).

¹²⁶ Restatement (Third) of the Foreign Relations Law of the U.S. § 823 cmt. d (Am. Law Inst. 1987).

¹²⁷ Restatement (Third) of the Foreign Relations Law of the U.S. § 823 cmt. d (Am. Law Inst. 1987).

¹²⁸ Restatement (Third) of the Foreign Relations Law of the U.S. § 823 cmt. d (Am. Law Inst. 1987).

¹²⁹ Restatement (Third) of the Foreign Relations Law of the U.S. § 823 cmt. d (Am. Law Inst. 1987).

¹³⁰ *Vishipco Line v. Chase Manhattan Bank, N.A. (II)*, 754 F.2d 452 (2d Cir.1985).

¹³¹ მაგ. Convention Providing a Uniform Law For Bills of Exchange and Promissory Notes (1930), მუხლი 41 [გადახდის ვალუტა შეიძლება იყოს როგორც უცხოური ვალის ვალუტა, ისე გადახდის ქვეყნის ვალუტა. გამოიყენება ვადამოსულობისას არსებული კურსი. ვადის გადაცილებისას კრედიტორს უფლება აქვს მოითხოვოს შესრულების ადგილის ვალუტაში გადახდა ვადამოსულობისას ან ფაქტობრივი გადახდისას არსებული კურსით. მხარეებს აქვთ როგორც კურსზე, ისე ვალუტაზე შეთანხმების უფლება.]. Convention Providing a Uniform Law for Cheques (1931), მუხლი 36 [გადახდის ვალუტა შეიძლება იყოს უცხოური ვალის ვალუტა ან გადახდის ქვეყნის ვალუტა. გამოიყენება გადახდისას

თუ რომელ ვალუტაში უნდა გადაიხადოს მოვალემ და თუკი გადახდა ხდება ადგილობრივ ვალუტაში, როგორ გამოითვლება კონვერტაციის კურსი.

ქვეყნების უმრავლესობა დასაშვებად მიიჩნევს მხარეთა შეთანხმებას როგორც ვალის, ისე გადახდის ვალუტასთან დაკავშირებით.¹³² თუმცა არის გამონაკლისებიც.¹³³ თუკი შეთანხმებით არჩეულია გადახდის ექსკლუზიური ვალუტა (**effective clause**), მხარე ვალდებულია გადახდა არჩეულ ვალუტაში განახორციელოს.¹³⁴ გამონაკლისი შეიძლება იყოს შეუძლე-

ბლობა: როცა ვალუტის მოპოვება ვერ ხერხდება, ან გადახდის ადგილის კანონი ამას კრძალავს.¹³⁵ შეთანხმების არარსებობისას ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობა მოვალეს აძლევს უცხოური ფულადი ვალდებულების ადგილობრივ ვალუტაში შესრულების უფლებას. ეს განპირობებულია უცხოური ვალუტის მოპოვებასთან დაკავშირებული სირთულეების თავიდან აცილების, ასევე ადგილობრივი ვალუტის ცირკულაციის ხელშეწყობის მიზნებით.

კონვერტაციის კურსი სადავო საკითხია, ვინაიდან დაცული უნდა იყოს როგორც კრედიტორის, ისე მოვალის ინტერესი. ძირითადი პრინციპია ვალდებულების ღირებულების შენარჩუნება: კონვერტაციის მიზანი არ არის ვალდებულების მოცულობის ცვლილება. თუკი ვალდებულება ვადაში სრულდება, გამოიყენება გადახდისას არსებული გაცვლითი კურსი, ვინაიდან ამით მაქსიმალურად მიღწეული იქნება ვალდებულების ღირებულების შენარჩუნების მიზანი. ვადაგადაცილებისას კურსის ფლუქტუაციის რისკი გადადის მოვალეზე, ვინაიდან დაუშვებელია მოვალის დარღვევით იზარალოს კრედიტორმა და ისარგებლოს მოვალემ. ქვეყნების ნაწილი ვადაგადაცილებისას იყენებს ფაქტობრივად გადახდის დროს არსებულ კურსს, ნაწილი კი იყენებს ვადამოსულობისას არსებულ კურსს.¹³⁶ ორივე შემთხვევაში, შესაძლე-

არსებული კურსი. ვადის გადაცილებისას კრედიტორს უფლება აქვს მოითხოვოს შესრულების ადგილის ვალუტაში გადახდა ჩეკის წარდგენის ან ფაქტობრივი გადახდისას არსებული კურსით. მხარეებს აქვთ კურსზე და ვალუტაზე შეთანხმების უფლება. **European Convention on Foreign Money Liabilities (1967)**, მუხლები 1.1, 3, 4.1 [გადახდის ვალუტა შეიძლება იყოს უცხოური ვალის ვალუტა ან გადახდის ქვეყნის ვალუტა. გამოიყენება გადახდისას არსებული კურსი. ვადის გადაცილებისას მოვალე ვალდებულია დამატებით გადაიხადოს კურსის შემცირებით გამოწვეული სხვაობა. მხარეებს აქვთ კურსზე და ვალუტაზე შეთანხმების უფლება.].

¹³² პორტუგალიის სამოქალაქო კოდექსის 1638-ე მუხლის თანახმად, გადახდა უნდა განხორციელდეს შეთანხმებული ვალუტის მიხედვით. ხოლო, როცა ეს შეუძლებელია, 724-ე მუხლის თანახმად გადახდა უნდა მოხდეს ადგილობრივ ვალუტაში, გადახდის დღეს არსებული კურსით.

¹³³ საინტერესო დათქმას შეიცავს საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1895-ე მუხლი, რომელიც კრძალავს სესხის დაბრუნებას უცხოურ ვალუტაში. ზოგადად ფულად ვალდებულებებთან დაკავშირებით საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1343-3 მუხლი ადგენს, რომ თანხა გადახდილ უნდა იქნას ევროში. საერთაშორისო ხელშეკრულებებში და თანხის სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრების შემთხვევებში შეიძლება უცხოურ ვალუტაში გადახდა. სხვა შემთხვევებში მხარეებს მხოლოდ მაშინ აქვთ უცხოურ ვალუტაზე შეთანხმების უფლება, თუკი ისინი კონკრეტულ პროფესიას წარმოადგენენ, სადაც უცხო ვალუტაში გადახდა ჩვეულებრივ მიღებულია.

¹³⁴ იტალიის სამოქალაქო კოდექსის 1278-ე მუხლის თანახმად მოვალეს უფლება აქვს უცხოურ ვალუ-

ტაში გამოხატული ფულადი ვალდებულება ადგილობრივ ვალუტაში შეასრულოს ვადამოსულობისას არსებული კურსის შესაბამისად. გამონაკლისი დადგენილია 1279-ე მუხლში, როცა მხარეებმა გადახდის ვალუტა ექსკლუზიურად შეათანხმეს. ასეთ დროს მოვალეს მხოლოდ მაშინ შეუძლია ადგილობრივ ვალუტაში გადახდა, თუკი ვალის ვალუტის მოპოვება შეუძლებელია.

¹³⁵ ესპანეთის სამოქალაქო კოდექსის 1170-ე მუხლის თანახმად შესრულება უნდა მოხდეს ვალის ვალუტით, ხოლო თუკი ეს შეუძლებელია ესპანეთში მოქმედი ოქროს და ვერცხლის მონეტებით.

¹³⁶ მაგალითად, ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსის 6:111 მუხლი აღიარებს ნომინალიზმის პრინციპს. 6:112 მუხლის თანახმად ფულადი ვალდებულება უნდა შესრულდეს გადახდის ადგილის ვალუტაში. 6:122 მუხლის თანახმად უცხოური ვალის შემთხვევაში კრედიტორს უფლება აქვს მოითხოვოს ადგილობრივ ვალუტაში გადახდა, თუკი

ბელია, დაზარალებს კრედიტორი. ვადამოსულობისას არსებული კურსის გამოყენებისას კრედიტორი დაზარალებდა, თუკი ფაქტობრივად გადახდის დღისთვის კურსი მოიმატებს, რითიც კრედიტორს ნაერთმევა თანხის უფრო მყარ ვალუტაში კონვერტაციის შესაძლებლობა. ფაქტობრივად გადახდის დღეს არსებული კურსის გამოყენებისას კრედიტორი დაზარალებდა, თუკი ადგილობრივი ვალუტის კურსი დაეცემა.

კრედიტორის ინტერესების დასაცავად ქვეყნები იყენებენ სხვადასხვა მექანიზმებს. ერთი ვარიანტი არის კრედიტორისათვის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების მინიჭება. ზიანი შეიძლება ანაზღაურდეს ზოგადი ნორმების მიხედვით, ან დადგინდეს სპეციალური წესი, რომელიც ზიანს ითვლის კურსებს შორის სხვაობით.¹³⁷ ალტერნატიულად, ქვეყნების ნაწილი ცდილობს გამოიყენოს ის კურსი, რომელიც კრედიტორის ინტერესებს უფრო მეტად

შეესაბამება: ან კრედიტორს ანიჭებს არჩევანის უფლებას, ან პირდაპირ ადგენს, რომ გამოიყენება კრედიტორისათვის უფრო სასარგებლო კურსი.

ცხადია, ზუსტად შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რა შინაარსის გათვალისწინება სურდა ქართველ კანონმდებელს სსკ 389-ე მუხლში. თუმცა, ეს არც არის მნიშვნელოვანი: კანონი არის არა ის, რაც კანონმდებელს „სურდა“, არამედ არის ის, რაც მან „დანერა“ კანონის ნორმაში. კანონის ნორმის შინაარსის დადგენა უნდა მოხდეს მისი ტექსტის გონივრული წაკითხვის შედეგად. სხვა ქვეყნების უცხოური ფულადი ვალდებულებების მომწესრიგებელი დანაწესების ანალიზი და მათი გათვალისწინებით სსკ 389-ე მუხლის გონივრული წაკითხვა ადასტურებს, რომ მუხლის პირველი (და ყველაზე სადავო) წინადადება ეხება მხოლოდ უცხოურ ფულად ვალდებულებებს და იგი არ მოდის ნომინალიზმის პრინციპთან წინააღმდეგობაში.

მოვალეს არ შეუძლია მოიპოვოს უცხოური ვალუტა, მათ შორის, მაშინაც, როცა მხარეები ექსკლუზიურად შეთანხმდნენ ვალის ვალუტაზე. სარჩელის წარდგენის შემთხვევაში კრედიტორს უფლება აქვს გადახდა მოითხოვოს როგორც უცხოურ, ისე ადგილობრივ ვალუტაში [მუხლი 6:123]. გამოიყენება ფაქტობრივად გადახდის დღეს არსებული კურსი [მუხლი 6:124]. თუმცა, ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს აქვს კურსის დაცემით გამონვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება [მუხლი 6:125].

¹³⁷ ლუქსემბურგის სამოქალაქო კოდექსის თანახმად მოვალე უფლებამოსილია გადაიხადოს როგორც ვალის ვალუტაში, ისე ადგილობრივ ვალუტაში. კოდექსის 1153-1 მუხლის თანახმად კი ვადის გადაცილებისას მოვალემ უნდა აანაზღაუროს კურსის დაცემით გამონვეული ზიანი, მათ შორის, როდესაც უცხოურ ვალუტაში ვალდებულება სასამართლო გადანყვეტილებითაა დაკისრებული. გამონაკლისია, როდესაც შესრულებას ხელი შეუშალა კრედიტორმა, ფორს-მაჟორმა, ან ამით კრედიტორს ზიანი არ მიდგომია.

ინგლისისა და უელსის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა განყოფილება

ZXC ბლუმბერგის წინააღმდეგ საქმე №A2/2019/1158

I. ფაქტები

1. მხარეების შესახებ ინფორმაცია

ბლუმბერგი ფინანსური ინფორმაციის საერთაშორისო ორგანიზაციაა (შემდგომში - ორგანიზაცია), რომელიც ცნობილია მისი ფინანსური ჟურნალიზმით. ZXC (შემდგომში - მოსარჩელე) აშშ-ის მოქალაქეა, რომელიც მუშაობდა კომპანიაში, რომელიც საზღვარგარეთ ახორციელებდა საქმიანობას (შემდგომში - კომპანია).

მოსარჩელის ტრანზაქციების კანონიერება წლების განმავლობაში საჯაროდ იყო ეჭვქვეშ დაყენებული. მათ შორის, საკითხი ეხებოდა კონკრეტულ სახელმწიფოში (შემდგომში - უცხო სახელმწიფო) განხორციელებულ ტრანზაქციებსაც. სწორედ ამან უბიძგა გაერთიანებული სამეფოს სამართალდამცავ ორგანოებს კომპანიის წინააღმდეგ გამოძიების დაწყებისკენ. აღნიშნული საქმის განხილვის მომენტისთვის კომპანიის არც ერთი დასაქმებული არ ყოფილა ბრალდებულად ცნობილი.

2. შემოდგომის სტატიის ინციდენტი

2016 წლის შემოდგომას ბლუმბერგმა დაბეჭდა სტატია, რომელშიც მითითებული იყო მოსარჩელის ზემოთ აღნიშნული გამოძიების ფარგლებში გამოკითხვის ფაქტი. მართალია, მოსარჩელე ამ გარემოების გასაჯაროებით უკმაყოფილო დარჩა, თუმცა მას ამის წინააღმდეგ ზომა არ მიუღია, ორგანიზაციის დასაქმებულისთვის (სტატიის ავტორი კონკრეტული ჟურნალი-

სტისთვის) მისი კომენტარის გაზიარების გარდა, რომლის შინაარსსაც გადაწყვეტილება არ გადმოცემს.

3. ურთიერთთანამშრომლობის წერილი

გაერთიანებული სამეფოს სამართალდამცავმა ორგანომ უცხო სახელმწიფოს გაუგზავნა სამართლებრივი ურთიერთთანამშრომლობის მოთხოვნის წერილი (შემდგომში - წერილი ან მოთხოვნის წერილი), რომლის მუქი შრიფტით შესრულებული სათაური მიუთითებდა დოკუმენტის კონფიდენციალურობაზე. ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის (პალერმო, 2000) შესაბამისად გაერთიანებულმა სამეფომ მოითხოვა თანამშრომლობა კომპანიისა და რამდენიმე ფიზიკური პირის, მათ შორის, მოსარჩელის, საბანკო და ბიზნეს ანგარიშგების მისთვის მიწოდების გზით. წერილი შესაძლო ბრალდებულად ასახელებდა შემდეგ უმართლობებს: კორუფცია, ქრთამის აღებ-მიცემა, შეთქმულება, უმართლობები განსაზღვრული დანაშაულის შედეგად მოპოვებული შემოსავლის შესახებ 2002 წლის აქტითა და თაღლითობის შესახებ 2006 წლის აქტით. წერილი აჯამებდა გაერთიანებული სამეფოს მიერ უკვე ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებებს და ასახელებდა გამოძიების შედეგად წარდგენილი ბრალის შესაძლო ვარიაციებს. წერილის ორი გვერდი ხსნიდა, რატომ და რა ნაწილში იყო უცხო სახელმწიფოს თანამშრომლობა აუცილებელი. წერილი შეიცავდა უკვე მოპოვებული მტკიცებულებების აღწერასაც.

წერილი აზუსტებდა, რომ გაერთიანებული სამეფოს სამართალდამცავმა ორგანომ მოიპოვა დოკუმენტები კომპანიისგან, თუმცა დაადგინა მათი სიმცდარე. იქვე გაერთიანებულმა სამეფომ მიუთითა, რომ ეჭვმიტანილთა რიცხვმა ჩაიდინა თაღლითობა გარკვეული ქონების ღირებულების მქონე აქტივად წარმოდგენით, მაშინ, როდესაც ეს ეფუძნებოდა სრულიად სხვა აქტივებთან დაკავშირებული მონაცემებს. სამართალდამცავი ორგანო მიზნად ისახავდა, დაედგინა, იყო თუ არა მოსარჩელე აღნიშნული შეთქმულების მონაწილე.

დოკუმენტი უთითებდა იმასაც, რომ კომპანიის გამოძიებასთან შემხებლობის საჯაროობის მიუხედავად, მოცემული ინფორმაციის არც მოცულობა და არც შინაარსი არ იყო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი. წერილი ითხოვდა აღნიშნული ინფორმაციის გაუთქმელობას, აფიქსირებდა რა ეჭვმიტანილებისთვის ან მათთან დაკავშირებული პირებისთვის ცნობების მიწოდების შედეგად გამოძიების შეფერხების საფრთხეს.

4. სარჩელის შინაარსი

სადავო სტატია გამოქვეყნდა ორგანიზაციის მიერ და შეიცავდა მოთხოვნის წერილიდან მიღებულ ინფორმაციას. მოსარჩელემ მოითხოვა პირადი სფეროს ხელყოფით მიყენებული ზიანის ანაზღაურება და ორგანიზაციისთვის იმგვარი ინფორმაციის გამოქვეყნების აკრძალვა, რომელიც აღწერილი გამოძიების სუბიექტად მოსარჩელეს დაასახელებდა.

მოსარჩელემ მის პირად სფეროში შემავალ ინფორმაციად დაასახელა შემდეგი ცნობები:

1) გაერთიანებული სამეფოს სამართალდამცავი ორგანოს მიერ უცხო სახელმწიფოსგან კომპანიის კონკრეტული პერიოდის საბანკო და ბიზნეს ანგარიშის შესახებ ინფორმაციის მოთხოვნის ფაქტი;

2) დეტალები, რომელთა მიხედვითაც, გამოძიება მიზნად ისახავდა დანაშაულებრივ ქმედებებში მოსარჩელის ჩართულობის საკითხის დადგენას, კერძოდ:

2.1.) საგამოძიებო ორგანო მიიჩნევდა, რომ მოსარჩელემ შეთქმულების მიზნებისთვის კომ-

პანიის აღმასრულებელ ორგანოს მიაწოდა მცდარი ინფორმაცია სამართლებრივი სიკეთის რეალური ღირებულების შესახებ;

2.2.) საგამოძიებო ორგანო მიიჩნევდა, რომ მოსარჩელემ ჩაიდინა თაღლითობა სრულიად სხვა აქტივებთან დაკავშირებული მონაცემების საფუძველზე გარკვეული ქონების ღირებულების მქონე აქტივებად წარმოდგენით.

2.3.) საგამოძიებო ორგანო მიზნად ისახავდა, გაჰყოლოდა კონკრეტული ფულადი თანხის კვალს, რადგან მიიჩნევდა, რომ აღნიშნული შემოსავალი მიღებული იყო მოსარჩელის მიერ ჩადენილი დანაშაულის შედეგად.

II. სასამართლოს მსჯელობის შეჯამება

აპელაცია უარყოფილ იქნა და პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება დარჩა ძალაში, რის დასასაბუთებლადაც სააპელაციო სასამართლომ საკითხი განიხილა ორი ერთმანეთისგან განყენებულ კრიტერიუმზე მსჯელობით. კერძოდ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის (შემდგომში - კონვენცია) მე-8 და მე-10 მუხლების კონფლიქტისას, პირველ რიგში, უნდა დასმულიყო საკითხი, უნდა ჩაითვალოს თუ არა გამჟღავნებული ინფორმაცია პირად ცხოვრებაზე უფლების დაცვის სფეროდ, უფრო ზუსტად კი, უნდა ჰქონოდა თუ არა მისი პირადი სფეროს ხელყოფაზე მიმთითებელ პირს მის შესახებ არსებული ინფორმაციის გაუმჟღავნებლობის ლეგიტიმური მოლოდინი. მეორე კრიტერიუმი ფასდებოდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც გაცხადებული ინფორმაცია მიეკუთვნებოდა ინდივიდის პირად ცხოვრებას, და ეხებოდა კონკურირებადი ინტერესების შეპირისპირებას - გადასწონიდა თუ არა გამომხატვის თავისუფლება კონკრეტულ შემთხვევაში პირადი ინფორმაციის დაცვის აუცილებლობას.

1. ინფორმაციის პირადი სფეროსადმი მიკუთვნების საკითხი

პირველი საკითხი სასამართლომ შეისწავლა იმაზე მითითებით, რომ გადამწყვეტად უნდა

მიჩნეულიყო ობიექტური მესამე პირის თვალსაწიერი, კერძოდ, უნდა ჰქონოდა თუ არა საშუალო შესაძლებლობების მქონე ადამიანს განსახილველი ინფორმაციის გაუთქმელობის მოლოდინი. აღნიშნული კრიტერიუმი დაუკავშირდა გავრცელებული ცნობების სერიოზულობის ზღვარს, რომლის მიღმაც, ფაქტობრივად, ნებისმიერი ინფორმაცია შეიძლება მიჩნეულიყო პირად ცნობებად. ამ გაგებით, მხედველობაში უნდა ყოფილიყო მიღებული: პირის მახასიათებლები, მისი ქმედებების ბუნება და მათი განხორციელების ადგილი, პირად ცხოვრებაში ჩარევის ბუნება და მიზნები, ინფორმაციის გავრცელების თანხმობის არარსებობა, ცნობების გამჟღავნებით დამდგარი ზიანი, გარემოებები და მიზეზები, რომლებმაც გამომცემელს ხელში ჩაუგდო კონკრეტული პირის შესახებ ინფორმაცია.

სასამართლომ მიუთითა ზოგად წესზე, რომლის მიხედვითაც, ჩარევისგან პირადი ცხოვრება დაცულია ბრალის წაყენების ზღვრამდე - გამოძიებისას პირს, რომელიც ჯერ ბრალდებულად არ არის ცნობილი, უნდა ჰქონდეს მოლოდინი, რომ მისი გამოძიებასთან კავშირი არ იქნება გაცხადებული. თუმცა განისაზღვრა ისიც, რომ გარკვეულ შემთხვევებში ქმედებების საჯაროდ განხორციელებასა (მაგალითად, თუ პირის მიერ მძევლის ხელში ჩაგდების 3-დღიანი ეპიზოდი ტელევიზიით იყო გადაცემული) და განსაკუთრებულ საჯარო ინტერესს (მაგალითად, არჩევნების გაყალბების ბრალდება) შეუძლია პირის ამგვარი მოლოდინი მნიშვნელოვნად შეამციროს ან, სულაც, გააქარწყლოს.

სწორედ ამ ზოგადი წესის პირობებში სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებებზე, რომლებმაც ორგანიზაციას მოსარჩელის შესახებ ინფორმაცია ხელში ჩაუგდო. მიუხედავად იმისა, რომ კონფიდენციალური ინფორმაცია არ უდრის პერსონალურ ინფორმაციას და - პირიქით, ორგანიზაციამ საგანგებოდ გაუთქმელობის პირობებით შედგენილი წერილის დეტალები გამოაქვეყნა, რომელიც ხაზგასმით მიუთითებდა, რომ გამოძიება ადრეულ სტადიაზე იყო, ხოლო მისი გარემოებები - საზოგადოებისთვის ხელმიუწვდომელი. ეს არაერთმნიშვნელოვნად მიუთითებდა ინფორმაციის პრივატულ ბუნებაზე, რომლის გამოკვლევასა თუ სათანადო ანალიზს ორგანიზაციამ მიზეზული ან საერთო არანაირი ძალისხმევა არ მიუძღვნა.

სასამართლომ დაასკვნა, რომ მოსარჩელეს უნდა ჰქონოდა გამოძიების დეტალების გაუცხადებლობის კანონიერი მოლოდინი.

2. ორი ინტერესის კონკურენცია

სასამართლოს მითითებით, სარჩელისგან თავის დასაცავად ორგანიზაციას უნდა ეჩვენებინა, რომ მნიშვნელოვან საჯარო ინტერესს უნდა გადაეწონა გაცხადებული ინფორმაციის გაუმჟღავნებლობის მოლოდინი. ასეთი ინტერესი, სასამართლოს პოზიციით, იარსებებდა, მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ ორგანიზაციის ხელში ჩავარდნილი დოკუმენტები მიუთითებდა, რომ საგამოძიებო უწყება დაუშვებელი პოლიტიკური წნეხის გამო არ მიჰყვებოდა კონკრეტული პირების კვალს ან გამოძიებით აღებული კურსს.

სასამართლოს განმარტებით, მედია მის ფუნქციას ასრულებს სრულყოფილად მხოლოდ მაშინ, თუ მის მიერ ფაქტების გაცხადება ეხმარება დემოკრატიულ საზოგადოებაში არსებულ აზრთა გაცვლა-გამოცვლას, მაგალითად, პოლიტიკური ფიგურების მიერ მათთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულების შესახებ. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელეს საჯარო-სამართლებრივი ფუნქციების განხორციელება დავალებული არ ჰქონია, ამიტომ ცნობების გამჟღავნება ვერ შეფასდება ორგანიზაციის მიერ მისი როლის ხორცშესხმად. ამ დასკვნას აძლიერებდა ისიც, რომ არსებობდა ცალსახა საჯარო ინტერესი წერილში მოცემული ინფორმაციის გაუმჟღავნებლობასთან დაკავშირებით.

ამდენად, სასამართლომ დაადგინა, რომ საქმის გარემოებებიდან არ დგინდებოდა უფლებათა შორის კონკურენციის გამოხატვის თავისუფლების სასარგებლოდ გადაწყვეტის საფუძველი.

სასამართლო პრაქტიკა

► 1 – 5/2021

ამორალურობის დამატებითი ელემენტის საჭიროება გარიგების იძულებით დადებულად მიჩნევისთვის

1. იძულებით დადებული ყველა გარიგება ატარებს ამორალურობის ელემენტს. თუმცა, იძულებით დადებული გარიგების ამორალურ გარიგებად მიჩნევისათვის აუცილებელია ამორალურობა უკავშირდებოდეს არა მხოლოდ იძულებას, არამედ რაიმე დამატებით გარემოებას.

2. როდესაც სახელმწიფო უსასყიდლოდ იძენს ქონებას და გარიგება მოგვიანებით სადავო გახდება, მტკიცების ტვირთი არის სახელმწიფოზე: მან უნდა დაადასტუროს, რომ გარიგება დაიდო ნების თავისუფალი გამოვლენის პირობებში და იგი არ ეწინააღმდეგება სკ-ის 54-ე მუხლის მოთხოვნებს.

3. სკ-ის 54-ე და 976-ე მუხლების საფუძველზე გარიგების ბათილად ცნობისას ხანდაზმულობის ვადა არის 10 წელი.

(ავტორის სახელმძღვანელო წინადადებები)

სკ-ის 54-ე და 976-ე მუხლები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-10-2020

I. ფაქტობრივი გარემოებები

კომპანიამ სარჩელი აღძრა ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის წინააღმდეგ და მოითხოვა 16/11/2007 წელს დადებული უძრავი ქონების ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა და სადავო ორ უძრავ ქონებაზე კომპანიის

მესაკუთრედ აღიარება. კომპანია სადავო ფართებს სარგებლობაში ფლობდა ჯერ კიდევ 1996 წლიდან. 08/01/2001 და 12/02/2007 წლების ქუთაისის მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის გადაწყვეტილებებით კი კომპანია ცნობილ იქნა სადავო ფართების მესაკუთრედ. თუმცა 16/11/2007 წელს კომპანიის დირექტორსა და ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს შორის გაფორმდა ჩუქების ხელშეკრულება, რომლითაც კომპანიამ სადავო ორი უძრავი ქონება უსასყიდლოდ საკუთრებაში გადასცა ქუთაისის მუნიციპალიტეტს. ჩუქების ხელშეკრულების დადებას წინ უძღოდა ქუთაისის მუნიციპალიტეტის მხრიდან სასამართლოში სარჩელის აღძვრა ქუთაისის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის ხსენებული გადაწყვეტილებების ბათილად ცნობისა და ქონებაზე საკუთრების უფლების ქუთაისის მუნიციპალიტეტისათვის გადაცემის მოთხოვნით. ამასთან, სისხლის სამართლის გამოძიების ფარგლებში დადგინდა, რომ დასახელებულ საარბიტრაჟო საქმეებში არბიტრმა ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული და თაღლითური საქმის გამოყენებით დააკარგვინა საკუთრება სადავო უძრავ ქონებაზე. არბიტრაჟის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველზე დაწყებული სამართალწარმოება კი შეწყდა, რამდენადაც კომპანიამ ქონება ნებაყოფლობით გადაუფორმა ქუთაისის მუნიციპალიტეტს და ამ უკანასკნელმა გამოიხმო სასამართლოში წარდგენილი სარჩელი. კომპანია წინამდებარე საქმეში მიუთითებდა, რომ ქონება განიკარგა პროკურატურის წარმომდგენელთა მხრიდან განხორციელებული იძულებისა და მუქარის საფუძველზე. შესაბამისად, მოსარჩელე ითხოვდა ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობასა და სადავო ქონებაზე კომპანიის მესაკუთრედ აღიარებას.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და მიუთითეს, რომ საწარმომ სადავო ქონება საკუთარი

ნებით გადაუფორმა მუნიციპალიტეტს. ამასთან, ადგილი არ ჰქონია მოსარჩელეთა მიმართ იძულებას ან მუქარას. კომპანიამ სადავო ქონებები საკუთრებაში მიიღო არბიტრის დანაშაულებრივი მოქმედებების შედეგად, რაც დადასტურდა სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული განაჩენით. ამასთან მოპასუხეებმა მიუთითეს მოთხოვნის ხანდაზმულობაზეც.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. თუმცა სარჩელი სადავო ქონებების დაბრუნების ნაწილში დააკმაყოფილა ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ. სააპელაციო სასამართლომ საქმეში მონმედ დაკითხული პირების ჩვენებების საფუძველზე დადგინდად მიიჩნია მოსარჩელის მიმართ იძულებისა და მუქარის ფაქტის განხორციელება. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ჩუქების ხელშეკრულება ყოველთვის ეფუძნება გამჩუქებლის განსაკუთრებულ პატივისცემას დასაჩუქრებულის მიმართ. წინამდებარე საქმეში კი ამგვარს ადგილი არ ჰქონია, პირიქით, ჩუქება პროკურატურის მუშაკების მხრიდან მომდინარე მუქარის საფუძველზე დაიდო. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დადებული გარიგება იყო ამორალური სკ-ის 54-ე მუხლის შესაბამისად, ამიტომ მასზე უნდა გავრცელებულიყო არა იძულებით დადებული გარიგების შეცილებისათვის დადგენილი ერთნლიანი შეცილების ვადა, არამედ ხანდაზმულობის ათნლიანი ვადა. შესაბამისად, სასამართლომ გარიგება ბათილად ცნო.

II. სასამართლოს მსჯელობის შეჯამება

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დააკმაყოფილა ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს საკასაციო საჩივრები, გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადა. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ გარიგების იძულებით დადების შემთხვევაში მისი საცილობის შესაძლებლობას ადგენს სკ-ის 85-ე მუხლი. ამასთან, იძულებით დადებული გარიგება თავის

თავში ყოველთვის მოიცავს ამორალურობის ელემენტს. თუმცა, თუკი მართლსაწინააღმდეგო იძულებას დამატებით ახასიათებს გარკვეული ელემენტები, დასაშვებია გარიგების ამორალურად კვალიფიცირება სკ-ის 54-ე მუხლის შესაბამისად. კერძოდ, თუკი ამორალურობის მომენტი გამოიხატება, მხოლოდ პირის იძულებაში, მაშინ სახეზეა სკ-ის 85-ე მუხლით გათვალისწინებული იძულებით დადებული გარიგება. სკ-ის 85-ე მუხლის პარალელურად სკ-ის 54-ე მუხლის მე-3 ვარიანტის გამოყენებისთვის აუცილებელია, ნების მართლსაწინააღმდეგო დათრგუნვიდან გამომდინარე, უზნეობას დაემატოს ამორალურობის დამოუკიდებელი ელემენტი. ამასთან, როდესაც გარიგების მონაწილე მხარე არის სახელმწიფო, რომელიც უსასყიდლოდ იძენს გარკვეულ ქონებას, სასამართლო სპეციალურად ამონმებს რამდენად შეესაბამება აღნიშნული სკ-ის 54-ე მუხლით გათვალისწინებულ გარიგების მორალურობის კრიტერიუმს. საკასაციო სასამართლოს განმარტებით სკ-ის 54-ე მუხლის მიზანია გარიგება არსებითად არ არღვევდეს ერთი მხარის ინტერესებს და მას არათანაბარ მდგომარეობაში არ აყენებდეს. ევროსასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით [GALSTYAN v. ARMENIA, (Application no. 9043/05) 15.11.2007; GUSINSKIY v. RUSSIA (Application no. 70276/01) 19.05.2004; NATSVLISHVILI AND TOGONIDZE v. GEORGIA (Application no. 9043/05) 29.04.2014)] საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის ეტაპზე სამოქალაქო სამართლებრივი გარიგების დადება, რომელიც დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურებას არ ემსახურება, მაღალი ალბათობით, ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგს არ წარმოადგენს, რადგან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება გარიგების გაფორმების მაპროვოცირებელი გარემოებაა, რაც ნების გამოვლენის თავისუფლებას იმთავითვე გამორიცხავს. სასამართლოს განმარტებით სახელმწიფო წარმოადგენს ძლიერ მხარეს, ამიტომ ამ ტიპის დავებში მტკიცების ტვირთი განსხვავებულად ნაწილდება: სახელმწიფოს მონაწილეობით დადე-

ბული კერძოსამართლებრივი გარიგებების შეცვლის (შედავების) შემთხვევაში, სწორედ სახელმწიფომ უნდა ამტკიცოს კერძო პირთან დადებული გარიგების ნამდვილობა, მისი კანონთან და ზნეობის ნორმებთან შესაბამისობა. აღნიშნული დასკვნა ეფუძნება, სახელმწიფოს, როგორც გარიგების ძლიერი მხარის, ვალდებულებას, განსაკუთრებული პასუხისმგებლობით დაიცვას თითოეული პირის ქონებრივი უფლებები.

თუმცა, აღნიშნული სტანდარტის გათვალისწინებით საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ წინამდებარე საქმეში არ დგინდებოდა სახელმწიფოს მხრიდან უკანონო იძულების განხორციელების ფაქტი. არბიტრის სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებაში მიცემა, თუნდაც ეს უშუალოდ მოსარჩელის წინააღმდეგ ყოფილიყო მიმართული, არ შეიძლება განიხილებოდეს იძულების დამადასტურებელ მტკიცებულებად, ვინაიდან იგი არის კანონით გათვალისწინებული ლეგიტიმური მოქმედება. ამასთან, ქონებების კომპანიის საკუთრებაში გადაცემის უფლება კერძო არბიტრაჟს კანონის შესაბამისად არ გააჩნდა და ამის თაობაზე აუცილებელი იყო სახელმწიფოს პრივატიზაციის აქტის მიღება, რაც არ მომხდარა. შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ქონებების სახელმწიფოსთვის დაბრუნებით მას ზიანი მიაღება.

საკასაციო სასამართლომ ხანდაზმულობის ვადებთან დაკავშირებით განმარტა, რომ ამ ტიპის საქმეებში მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი არის სკ-ის 54-ე და 976-ე მუხლები, რომლებზეც ვრცელდება 10-წლიანი ხანდაზმულობის ვადები.

გოჩა ოყრეშიძე

▶ 2 – 5/2021

დაუსრულებელი გადაწყვეტილება საალიმენტო დავაში

1. შესაგებლის წარმოუდგენლობისას სასამართლო ვალდებულია საკუთარი ინიცია-

ტივით მიიღოს დაუსრულებელი გადაწყვეტილება. შესაგებლის წარმოუდგენლობისას სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის კი აუცილებელია სარჩელში მითითებული ფაქტები სამართლებრივად ამართლებდეს მოთხოვნას.

2. არსებობს პრეზუმფცია, რომ სასამართლოს კანცელარიის მიერ დალუქულ კონვერტში მოთავსებული სარჩელი და თანდართული მასალები მოპასუხეს სრულად ჩაბარდა, თუკი იგი არ დაადასტურებს მათ არასრულ მიღებას.

3. ალიმენტის დაკისრებისათვის არ არის საკმარისი ზოგადი მითითება მოპასუხის შემოსავლებზე, აუცილებელია მოსარჩელემ კონკრეტული მტკიცებულებებით დაადასტუროს მოპასუხის შემოსავლების ოდენობა. ამგვარი მითითების არარსებობისას მიიჩნევა, რომ სარჩელში მითითებული ფაქტები არ ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას.

(ავტორის სახელმძღვანელო წინადადებები)

სსკ-ის 232¹ მუხლი, სკ-ის 1214-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-103-2020

I. ფაქტობრივი გარემოებები

მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მეუღლის წინააღმდეგ განქორწინების და მისთვის ალიმენტის დაკისრების მოთხოვნით. მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხესთან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა 2016 წლიდან, თანაცხოვრების პერიოდში კი შეეძინათ ერთი შვილი. მხარეები ერთად დიდი ხანია აღარ ცხოვრობენ და მათ შორის ურთიერთობა იმდენად დაძაბულია, რომ შეუძლებელია მისი გამოსწორება. მოსარჩელის მითითებით მოპასუხე შვილის რჩენასა და აღზრდაში მონაწილეობას არ იღებს, ამიტომაც მოითხოვა არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ სარჩელის აღძვრიდან

მის სრულწლოვანებამდე თვეში 400 ლარის მოპასუხისათვის დაკისრება.

მოპასუხემ სარჩელზე შესაგებელი არ წარადგინა, რის გამოც ქუთაისის საქალაქო სასამართლომ მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილების თაობაზე. საქალაქო სასამართლომ, ასევე, უარი განაცხადა საჩივრის საფუძველზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებაზე.

თუმცა დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე წარდგენილი საჩივარი დააკმაყოფილა ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება რამდენიმე გარემოებაზე გაამახვილა. პირველ რიგში, მოპასუხისათვის გადაცემული სარჩელი არ იყო მოსარჩელის მიერ ხელმოწერილი. ამასთან, მოსარჩელეს სარჩელში არ მიუთითებია მოპასუხის რეალური მატერიალური შემოსავლის შესახებ და ზოგადი მითითებით შემოიფარგლა, რომ მამა დასაქმებულია, რასაც მოწმეთა ჩვენებებით დაადასტურებდა. სკ-ის 1214-ე მუხლის საფუძველზე ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლოს უპირველესად შესაფასებელი გარემოებებია: შვილების აუცილებელი მოთხოვნები და მშობლის რეალური მატერიალური მდგომარეობა. თუ მოსარჩელე სარჩელში მიუთითებდა როგორც ერთ, ისე მეორე გარემოებაზე, სარჩელი სამართლებრივად დასაბუთებულად ჩაითვლებოდა, თუმცა, კონკრეტულ შემთხვევაში, მოსარჩელემ არც შვილის აუცილებელ მოთხოვნებზე მიუთითა (ის შემოიფარგლება მხოლოდ საარსებო მინიმუმზე მითითებით) და არც მოპასუხის რეალურ მატერიალურ შემოსავლებზე, რაც აუცილებელი იყო ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას. სააპელაციო სასამართლომ სკ-ის 232¹ მუხლზე მითითებით განმარტა, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა შესაძლებელია, როდესაც სახეზეა ერთდროულად სამი წინაპირობა: 1) მოპასუხეს ჩაბარდა სარჩელი თანდართული მასალებით სკ-ის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით; 2) არ არსებობს სკ-ის 215 III მუხლით გათვალისწინებული შესაგებლის წარუდგენლობის საპატიო გარემოებები; და 3) სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას. სასამართლოს შეფასე-

ბით, წარმოდგენილ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები მოცემული შედეგის (ანუ 400 ლარის დაკისრების) სამართლებრივ შესაძლებლობას არ იძლეოდა. ასეთ შემთხვევაში, სასამართლოს უნდა დაენიშნა სხდომა, რის შესახებაც მხარეთათვის ეცნობებინა სკ-ის 70—78-ე მუხლებით დადგენილი წესით, სხდომაზე მოესმინა მოპასუხის მხოლოდ სამართლებრივი მოსაზრებები სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით, რაც მოცემულ შემთხვევაში არ მომხდარა.

II. სასამართლოს მსჯელობის შეჯამება

საქართველოს უზენაესი სასამართლო ნაწილობრივ არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას. კერძოდ, საკასაციო სასამართლოს შეფასებით, შესაგებლის წარმოდგენლობის შემთხვევაში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა არ არის დამოკიდებული სასამართლოს დისკრეციაზე, არამედ მას იმპერატიულად ადგენს სკ-ის 232¹ მუხლი. ამას სასამართლო საკუთარი ინიციატივით აკეთებს და მას არ ესაჭიროება მხარის შუამდგომლობა. მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის კი, დამატებით, აუცილებელია მითითებული ფაქტები სამართლებრივად ამართლებდეს სასარჩელო მოთხოვნას.

მოცემულ შემთხვევაში, მონინალმდევე მხარე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებას ითხოვდა იმ საფუძველით, რომ ხელმოწერილი სარჩელი ჩაბარდა და სხვა რაიმე მტკიცებულება, რაც სარჩელში იყო მითითებული, ასევე სარჩელს არ ერთვოდა გზავნილი შესაგებლის წარდგენის შესახებ. ამასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოსარჩელისათვის სასამართლოს კანცელარიის შესაბამისი მოხელის მიერ სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების, მათ შორის, შესაგებლის წარმოდგენისათვის ვადის განმსაზღვრელი გზავნილის გადაცემა ხდება დალუქული კონვერტით, სწორედ ამიტომ არსებობს პრეზუმფცია იმისა, რომ სასამართლოს კანცელარიის შესაბამისი მოხელის მიერ მოსარჩელის წარმოდგენისათვის მოპასუხისათვის ჩასაბარებლად გადაცემულ გზავნილს თან

ერთვის როგორც სარჩელი და თანდართული მასალები, ასევე - შესაგებლის წარმოდგენისათვის ვადის განმსაზღვრელი გზავნილი. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოწინააღმდეგე მხარის ზეპირსიტყვიერი მითითება, რომ სარჩელის არ ერთვოდა მასში მითითებული მტკიცებულებები და შესაგებლის წარმოდგენისათვის ვადის განმსაზღვრელი გზავნილი, ვერ გააბათილებს დასახელებულ პრეზუმფციას.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ მოპასუხისათვის ხელმოწერილი სარჩელის ჩაბარება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს არ ქმნის, ვინაიდან მოსალოდნელი უარყოფითი რისკის თავიდან ასაცილებლად, მოპასუხის პასიური დამოკიდებულება - მიემართა სასამართლოსათვის და გაერკვია მოცემულ საქმეზე შესაგებლის წარმოდგენისათვის განსაზღვრული ვადა, გონივრულობისა და წინდახედულობის სტანდარტს ეწინააღმდეგება, შესაბამისად, მოპასუხე მეტი წინდახედულების გამოჩენის შემთხვევაში თავიდან აიცილებდა მის წინააღმდეგო სამართლებრივ შედეგს - დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, რაც მას არ გაუკეთებია, მით უფრო, როდესაც მას სარჩელი და თანდართული მასალები ჩაბარდა.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელში მითითებული ფაქტები არ ამართლებდა ალიმენტის დაკისრების მოთხოვნას. სასამართლოს განმარტებით, ალიმენტი არ უნდა ატარებდეს ფორმალურ ხასიათს. მისი დაკისრებისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს როგორც ბავშვის საჭიროებები, ისე მშობლის ფინანსური მდგომარეობა. სარჩელში მხოლოდ ზოგადი მითითება მშობლის შემოსავლის თაობაზე კი არ ქმნის ალიმენტის ოდენობის განსაზღვრის და მისი მოპასუხისათვის დაკისრების წინაპირობებს.

გორჩა ოყრემიძე

▶ 3 – 5/2021

სარჩელის უზრუნველყოფით გამონვეული ზიანის ანაზღაურება

1. სარჩელის უზრუნველყოფით გამონვეული ფაქტობრივი ზიანი და მიუღებელი შემოსავალი ექვემდებარება ანაზღაურებას. ზიანში არ მოიაზრება უფლების დროებითი შეზღუდვა, რაც სარჩელის უზრუნველყოფის მიზანია.

2. სარჩელის უზრუნველყოფით გამონვეული ზიანი ანაზღაურდება იმ პროპორციით, რომლითაც არ დაკმაყოფილდა სასარჩელო მოთხოვნა.

3. ფულადი ვალდებულების დარღვევისას ივარაუდება, რომ კრედიტორს მიადგა ზიანი და იგი განსაკუთრებულ მტკიცებას არ საჭიროებს.

(ავტორის სახელმძღვანელო წინადადებები)

ს.კ-ის 199 III მუხლი, ს.კ-ის 411-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-115-2020

I. ფაქტობრივი გარემოებები

მხარეთა შორის დაიდო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება. მოსარჩელემ მოპასუხეს ასესხა 114,260 აშშ დოლარი, რის უზრუნველსაყოფადაც იპოთეკით დაიტვირთა მოპასუხის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინა. ვალდებულების შეუსრულებლობის გამო მოსარჩელემ განცხადებით მიმართა ნოტარიუსს და მიიღო სააღსრულებო ფურცელი, რომელიც ითვალისწინებდა როგორც ძირი თანხის, ისე პროცენტისა და პირგასამტეხლოს მოპასუხისათვის დაკისრებას, ხოლო იპოთეკის საგანი მიექცა აღსასრულებლად. მოპასუხემ ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცელი სასამართლოში გაასაჩივრა და საბოლოო გადაწყვეტილებით სააღსრულებო ფურცელში მითითებული თანხის ოდენობა შემცირდა.

აღნიშნული დავის დასრულების შემდგომ მოსარჩელემ ახალი სარჩელი აღძრა მოპასუხის (მსესხებელი) წინააღმდეგ და მოითხოვა მისთვის მიყენებული ზიანის 20,000 აშშ დოლარის დაკისრება. კერძოდ, მოსარჩელის განმარტებით, სასამართლოს განჩინებით სააღსრულებო ფურცლის მოქმედება თითქმის ორი წლის განმავლობაში იყო შეჩერებული, რის გამოც მოსარჩელემ ვერ შეძლო ძირითადი თანხის დროულად მიღება, რითიც მას მიადგა ფინანსური ზიანი.

თბილისის საქალაქო სასამართლომ მოთხოვნა დააკმაყოფილა და მოპასუხეს დააკისრა 20,000 აშშ დოლარის ანაზღაურება. გადაწყვეტილება ძალაში დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლომაც. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება იყო გაუმართლებელი, რაც სსკ-ის 199-ე მუხლის საფუძველზე ითვალისწინებდა მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების შესაძლებლობას. სასამართლომ განმარტა, რომ სარჩელის უზრუნველყოფით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოპასუხემ უნდა მიმართოს სასამართლოს სარჩელით. მასვე ეკისრება დამდგარი ზიანისა და მისი ოდენობის დამტკიცების ტვირთი. ზიანში უფლების დროებით შეზღუდვა არ იგულისხმება, ვინაიდან უზრუნველყოფის ღონისძიების დანიშნულებაა სწორედ უფლების დროებით შეზღუდვა (გასხვისებისა და ქმედების განხორციელების აკრძალვა, ნივთობრივი უფლებით დატვირთვის აკრძალვა და ა.შ). სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით ზიანის მიყენება გულისხმობს უფლების დაუშვებელ ხელყოფას, როგორცაა, მაგალითად, ფაქტობრივი ზიანის დადგომა ან შემოსავლის დაკარგვა. ასეთ შემთხვევაში მოპასუხე უფლებამოსილია, მოითხოვოს მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფა, ანუ ე.წ. უზრუნველყოფის შებრუნება. წინამდებარე შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების საფუძველი იყო სკ-ის 411-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებდა ზიანის ანაზღაურებას მიუღებელი შემოსავლისათვის. კრედიტორის ძირითადი საქმიანობა ფულადი სახსრების განკარგვით შემოსავლის მიღება იყო, მოვალისთვის წინასწარ განჭვრეტადი უნდა ყოფილიყო სესხად აღებული თანხის ვადაში დაუბრუნებლო-

ბისას მოპასუხისთვის ზიანის მიყენების ფაქტი.

II. სასამართლოს მსჯელობის შეჯამება

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ნაწილობრივ შეცვალა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ. სასამართლოს უმთავრესი განსახილველი საკითხი იყო სსკ-ის 199 III მუხლის საფუძველზე ზიანის ანაზღაურების დაკისრების შესაძლებლობა. უზენაესი სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული მუხლით დადგენილი ზიანის ანაზღაურების საფუძველი უნდა ვეძიოთ სამოქალაქო მატერიალური კანონმდებლობის ნორმებში. საკითხიდან ამგვარი მიდგომა იმითაა გამოწვეული, რომ საპროცესო კანონმდებლობა სასამართლოს მიერ სამოქალაქო საქმის განხილვის წესებს ადგენს და ამ მიზნის ფარგლებში მხარეთა შორის საპროცესო სამართლებრივ უფლება-მოვალეობებს განსაზღვრავს, ხოლო მათი მოთხოვნების სამართლებრივი საფუძველი მატერიალური კანონმდებლობიდან გამომდინარეობს. სსკ-ის 199 III მუხლი ზიანის არსს კი არ განსაზღვრავს, არამედ ადგენს, თუ რა შემთხვევებში სარგებლობს მოპასუხე უფლებით, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს. ასეთ დროს, ზიანში მოიაზრება, მაგალითად, ფაქტობრივი ზიანის დადგომა ან შემოსავლის დაკარგვა. ზიანი არ გულისხმობს უფლების დროებით შეზღუდვას. მიუღებელი შემოსავალი ექვემდებარება ანაზღაურებას, თუკი კრედიტორი დაასაბუთებს, რომ იგი ამ ოდენობით ანაზღაურებას მიიღებდა ვალდებულების ჯეროვანი შესრულების პირობებში და ეს მოვალისათვის სავარაუდო უნდა ყოფილიყო. ამავდროულად, იმ პირობებში, როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრულია საპროცენტო განაკვეთი, ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს გვაროვნული ნივთი - ფული, ხოლო კრედიტორის სამეწარმეო საქმიანობა სასყიდლიანი კრედიტის გაცემას, სსკ-ის 411-ე მუხლის წინაპირობების არსებობა დადასტურებულად მიიჩნევა, რამდენადაც ფული ყოველთვის შემოსავლის წყაროა. ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობა კრედიტორს ყოვე-

ლთვის აყენებს ზიანს და, სხვაგვარი ვალდებულების შეუსრულებლობით გამონვეული ზიანისგან განსხვავებით, განსაკუთრებული მტკიცება არ სჭირდება არც ზიანის მიყენების ფაქტისა და არც მისი ოდენობის დადგენას. შესაბამისად, არსებობს ზიანის ანაზღაურების საფუძველი.

უზენაესი სასამართლო არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს მიერ ზიანის ოდენობის განსაზღვრას, ვინაიდან მოპასუხის თავდაპირველი მოთხოვნა სააღსრულებო ფურცელში ცვლილების შეტანის თაობაზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ამიტომ ნაწილობრივ უნდა მოხდეს ზიანის ანაზღაურებაც (დაუკმაყოფილებელი ნაწილის პროპორციულად). სასამართლოს განმარტებით, სარჩელის ის ნაწილი, რომელიც მოსარჩელისათვის სასარგებლო შედეგით დასრულდა, მოპასუხისათვის ზიანის მომტანი ვერ იქნება, ვინაიდან აღნიშნულ ნაწილში მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხის მიმართ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით კანონიერადაა ცნობილი.

გოჩა ოყრეშიძე

► 4 – 5/2021

ექსპროპრიაციის ღირებულება

ექსპროპრიაციის დავებში სასამართლო უფლებამოსილია სამართლიანი და გონივრული ღირებულების დასადგენად საკუთარი ინიციატივით დანიშნოს ექსპერტიზა. სასამართლო გონივრული და სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისას, ასევე, მხედველობაში იღებს მხარეთა მიერ წარდგენილ საექსპერტო დასკვნებს.

(ავტორის სახელმძღვანელო წინადადება)

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ კანონის მე-9 მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-250-2019

I. ფაქტობრივი გარემოებები

მოსარჩელის კუთვნილი მიწის ნაკვეთი მდებარეობდა ქუთაისში, სადაც გადის ქუთაისის შემოვლითი ავტომაგისტრალი. ავტომაგისტრალის პროექტის მიზნებისათვის მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის მიმდინარეობდა მოლაპარაკებები მიწის ნაკვეთის გამოსყიდვასთან დაკავშირებით, რაც უშედეგოდ დასრულდა. ამის გამო მოპასუხემ მიმართა საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა უძრავი ქონების იძულებითი ექსპროპრიაცია, რაც დაკმაყოფილდა. ექსპროპრიაციის სანაცვლოდ მოპასუხემ მოსარჩელის ანგარიშზე ჩარიცხა მიწის ნაკვეთის ღირებულება, რომლის ოდენობასაც მოსარჩელე არ დაეთანხმა და დამოუკიდებელი სარჩელით მიმართა სასამართლოს, რომლითაც მოითხოვა მოპასუხეს დაკისრებოდა მიწის ნაკვეთის გაზრდილი ღირებულების ანაზღაურება.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ სადავო ქონების საბაზრო ღირებულების დადგინდა დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ. მოპასუხის პოზიციით, აღნიშნული შემფასებლის მიერ დადგენილი ფასი იყო უფრო ზუსტი, ვიდრე მოსარჩელის მიერ საქმეში წარდგენილი სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს მიერ მომზადებული დასკვნით დადგენილი ფასი.

პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებით მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. თუმცა გადაწყვეტილება შეცვალა სააპელაციო სასამართლომ, რომელმაც დააკმაყოფილა სარჩელი და ექსპროპრიატორს დამატებითი თანხის - 31,920 ლარის - გადახდა დააკისრა.

II. სასამართლოს მსჯელობის შეჯამება

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა ექსპროპრიატორის მიერ წარდგენილი საკასაციო საჩივარი. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საკუთრების ჩამორთმევა, გარდა საზოგადოებრივი აუცილებლობისა, გამართლებული უნდა იყოს გონივრული ოდენობის კომპენსაციის გადახ-

დით. კომპენსირება შეიძლება მოხდეს როგორც თანხის გადახდით, ისე ნატურით - მესაკუთრისათვის ალტერნატიული ქონების გამოყოფით. ორივე შემთხვევაში მესაკუთრისათვის მისაცემი კომპენსაციის ოდენობა უნდა იყოს გონივრული და სამართლიანი. ამასთან, სამართლიანი კომპენსაციის ოდენობის დასადგენად სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივითაც დანიშნოს ექსპერტიზა და მხარეთა მიერ წარდგენილი დასკვნებისა და სასამართლოს ინიციატივით დანიშნული ექსპერტიზის შედეგების ერთობლიობაში შეფასებით განსაზღვროს კომპენსაციის გონივრული და სამართლიანი ოდენობა. სასამართლოს განმარტებით ვინაიდან მოპასუხის მიერ საქმეში წარდგენილ დასკვნას ეწინააღმდეგებოდა როგორც მოსარჩელის მიერ მომზადებული, ისე სასამართლოს ინიციატივით მომზადებული საექსპერტო დასკვნები, ამიტომ გაზიარებული არ უნდა ყოფილიყო მოპასუხის პოზიცია. შედეგად, უზენაესმა სასამართლომ ექსპროპრიატორს დამატებით დააკისრა ყოფილი მესაკუთრისათვის 26,600 ლარის ანაზღაურება.

გონა ოყრეშიძე

► 5 – 5/2021

პირგასამტეხლო/შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგება

1. სკ-ის 398-ე მუხლის საფუძველზე ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როცა ცვლილება ცდება მხარეთა გონივრულ მოლოდინებს. თუკი ცვლილება წინასწარ სავარაუდო იყო მხარისათვის, სკ-ის 398-ე მუხლი არ გამოიყენება.

2. პირგასამტეხლოს ოდენობის გამოანგარიშებისას სასამართლო მხედველობაში იღებს დარღვევის ხარისხს და მის ფარგლებს.

3. აღნაგობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე პერიოდული გადახდების მიმართ ვრცელდება 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადა. (ავტორის სახელმძღვანელო წინადადებები)

სკ-ის 398-ე და 420-ე მუხლები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 2 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-262-2019

I. ფაქტობრივი გარემოებები

კომპანიასა და ქონების მესაკუთრეს (უფლებამონაცვლე ქ. ბათუმის მერია) შორის 2006 წელს გაფორმდა აღნაგობის ხელშეკრულება, რომლითაც კომპანიას 49 წლის ვადით აღნაგობის უფლებით გადაეცა ქ. ბათუმში მდებარე ორი უძრავი ქონება (კაფე-ბარები). აღნაგობის საზღაური პირველი 5 წლის განმავლობაში იყო წლიური 20,000 ლარი, მეორე ხუთი წლის განმავლობაში - წლიური 30,000 ლარი, ხოლო დარჩენილი დროისათვის - 40,000 ლარი. კომპანიის თანხა უნდა გადაეხადა ყოველი წლის 25 სექტემბრამდე. პირველი 5 წლის განმავლობაში კომპანია ჯეროვნად ასრულებდა მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს, დავა კი შეეხებოდა მე-6 წლიდან ვალდებულების დარღვევას, რამდენადაც ამ დროიდან კომპანიამ შეწყვიტა აღნაგობის თანხის გადახდა.

ქ. ბათუმის მერიამ სარჩელით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა კომპანიისათვის 25/09/2011 წლიდან 17/05/2017 წლამდე დარიცხული აღნაგობის თანხის 157,000 ლარის დაკისრება. ასევე, მერიამ მოითხოვა ამ პერიოდში დარიცხული პირგასამტეხლოს, ჯამში 147,994.50 ლარისა და 17/05/2017 წლიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე დღიური 117 ლარის მოპასუხე კომპანიისათვის დაკისრება.

მოპასუხე კომპანიამ სარჩელი არ ცნო და მიუთითა ორი ძირითადი არგუმენტი: (1) ქ. ბათუმის მერიამ აღნაგობის საგნის მოპირდაპირედ, ზღვის პირას აღნაგობის უფლებით გასცა 7,000 კვ.მ.-ზე მეტი ტერიტორია, რომელზეც კონკურენტმა კომპანიამ უნებართვო მშენებლობა განახორციელა. ამით შეიქმნა არაკონკურენტული გარემო, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა კომპანიის საქმიანობაზე და შეამცირა მისი შემოსავლები; (2) მოთხოვნის ხანდაზმულობა.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა სარჩელი და მოპასუხე კომპანიას დააკისრა 25/09/2013-17/05/2017 პერიოდში გადაუხდელი აღნაგობის საზღაურის - 127 000.00 ლარის ანაზღაურება, ამავე პერიოდში დაგროვილი პირგასამტეხლოს - 64 493.10 ლარის ანაზღაურება და 17/05/2017 წლიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე პირგასამტეხლოს სახით დღიური 88.90 ლარის ანაზღაურება. 2013 წლამდე პერიოდისათვის მოთხოვნა ჩაითვალა ხანდაზმულად (სასამართლომ მოთხოვნაზე გაავრცელა 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადა).

გადაწყვეტილება შეცვალა ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ, რომელმაც ნაწილობრივ დააკმაყოფილა კომპანიის საჩივარი და პირგასამტეხლოს სახით მას დააკისრა 25/09/2013-17/05/2017 წლების პერიოდისათვის, ჯამში, 18,426.60 ლარის ანაზღაურება. ასევე, კომპანიას დაეკისრა 17/05.2017 წლიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე დღიურად გადაუხდელი თანხის 0.02%-ის ანაზღაურება. სხვა ნაწილში ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

II. სასამართლოს მსჯელობის შეჯამება

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა ბათუმის მერიის საკასაციო საჩივარი, ხოლო კომპანიის საკასაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა. კერძოდ, საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა კომპანიის აპელირება სკ-ის 398-ე მუხლზე, რომელიც ითვალისწინებს ხელშეკრულების მისადაგებას შეცვლილი გარემოებებისადმი. კერძოდ, კომპანია მიუთითებდა, რომ ვინაიდან ბათუმის მერიამ აღნაგობით გასცა კაფე-ბარების წინ მდებარე 7,000 კვ.მ.-ზე დიდი ტერიტორია, რომელზეც კონკურენტმა კომპანიამ უნებართვო მშენებლობა აწარმოვა, ამიტომ დაირღვა კონკურენტული გარემო, გაუარესდა კომპანიის საქმიანობა და მან ვეღარ შეძლო აღნაგობის ხელშეკრულების მომსახურება. ამიტომ, კომპანია სკ-ის 398-ე მუხლზე აპელირებით ითხოვდა აღნაგობის საფასურის გადახდისაგან გათავისუფლებას. სასამართლოს განმარტებით მოცე-

მულ საქმეზე არ დგინდება სკ-ის 398 I მუხლის გამოყენების წინაპირობა, რადგან ამ ნორმის შინაარსის მიხედვით, გამოვლენილი უნდა იყოს ისეთი ობიექტური საფუძვლის მოშლა, როდესაც ხელშეკრულების დადების დროს მხარეთა ნება ეფუძნება ერთი მხარის წარმოდგენებს, რომლებიც ცნობილი იყო მეორე მხარისათვის და გაპროტესტების გარეშე იქნა მიღებული, ან მხარეთა ნება ემყარება ორივე მხარის ერთობლივ წარმოდგენებს გარკვეული გარემოებების არსებობის ან მომავალში წარმოშობის შესახებ. ამ ნორმის გამოყენება პრაქტიკულად ისეთ ვითარებაში ხდება, როდესაც შეცვლილი გარემოება სცდება მხარეთა გონივრულ მოლოდინს, ანუ თუკი გარემოებათა ცვლილება სახელშეკრულებო რისკების ფარგლებში განჭვრეტადია და მხარეებს შეეძლოთ მისი გათვალისწინება ან თუნდაც უშვებდნენ ასეთ ცვლილებას, მაშინ მისადაგება არ გამოიყენება. სასამართლოს განმარტებით, კომპანიის მიერ მითითებული არ წარმოადგენდა შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების და საკუთარი ვალდებულების შესრულებისგან გათავისუფლების საფუძველს.

საკასაციო სასამართლო არ დაეთანხმა ბათუმის მერიის აპელირებას იმაზე, რომ აღნაგობის უფლების მიმართ უნდა გავრცელებულიყო არა 3-წლიანი, არამედ 6-წლიანი ხანდაზმულობის ვადა (სკ-ის 129 I მუხლის თანახმად „სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს, ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნებისა – ექვს წელს.“). სასამართლომ განმარტა, რომ აღნაგობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე პერიოდულ შესრულებებზე დამოუკიდებლად ვრცელდება 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადა.

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა ქვედა ინსტანციის მსჯელობა პირგასამტეხლოს ნაწილში. კერძოდ, საკასაციო სასამართლოს განმარტებით, მართალია, ბათუმის საქალაქო სასამართლომ პირგასამტეხლოდ განსაზღვრა 64,493.10 ლარი, ძირი თანხის თითქმის 50%, თუმცა გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ კომპანია ვალდებულებას 2011-2017 წლების პერიოდში არ ასრულებდა. ამის გათვალის-

წინებით უზენაესმა სასამართლომ მოპასუხეს 25/09/2013 – 17/05/2017 წლების პერიოდისათვის პირგასამტეხლოს სახით დააკისრა, ჯამში, 64,493.10 ლარის გადახდა, ხოლო სამომავლო პერიოდისათვის კომპანიას დაეკისრა 127,000 ლარის დღიური 0.07% (88.90 ლარი) გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

გორა ოყრეშიძე

► 6 – 5/2021

მშენებლობისა და მეზობლის ნაკვეთში გადაცდენა

1. მესაკუთრე ვალდებულია ითმინოს მის ნაკვეთში მეზობლის მშენებლობის გადაცდენა, თუკი გადაცდენა მოხდა გაუფრთხილებლობით და მესაკუთრემ გადაცდენა წინასწარ ან შეტყობისთანავე არ გააპროტესტა.

2. შეტყობას უთანაბრდება შემთხვევა, როდესაც გადაცდენის თაობაზე მშენებლობის დაწყებამდე მოლაპარაკებები გაიმართა არა უშუალოდ მოსარჩელესთან, თუმცა მისი ოჯახის უახლოეს წევრებთან, თუკი მოსარჩელე არ დაამტკიცებს, რომ ოჯახის წევრებს მოლაპარაკებებში არ ჰქონდათ მოსარჩელის წარმოდგენის უფლება.

(ავტორის სახელმძღვანელო წინადადებები)

სკ-ის 179-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-1065-2020

I. ფაქტობრივი გარემოებები

მოსარჩელემ აღძრა სარჩელი ვინდიკაციური და ნეგატორული მოთხოვნებით მოპასუხის წინააღმდეგ და მოითხოვა მოპასუხემ გაათავისუფლოს და თავისუფალ მდგომარეობაში გადასცეს მოსარჩელეს ხელვაჩაურში მდებარე და მოსარჩელის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება. მოსარჩელემ მიუთითა, რომ იგი ძირითადად არ იმყოფება საქართველოში, რითიც

ისარგებლა მინის ნაკვეთის მეზობელმა, მოსარჩელის საკუთრების უფლების დარღვევით აწარმოვა მშენებლობა და შეიჭრა მოსარჩელის კუთვნილ სადავო ქონებაში. შესაბამისად, მოსარჩელემ მოითხოვა ხელშეშლის აღკვეთა და ქონების თავისუფალ მდგომარეობაში დაბრუნება.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ მან მშენებლობა აწარმოა ბათუმის მერიის მიერ გაცემული სამშენებლო ნებართვის საფუძველზე, ამიტომ მოპასუხის პოზიციით არ არსებობს სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა. თუმცა, სააპელაციო საჩივარი დააკმაყოფილა ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ, რომელმაც გააუქმა ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით მოპასუხეს დაავალა მოსარჩელისათვის სადავო მინის ნაკვეთის შენობისგან თავისუფალ მდგომარეობაში დაბრუნება. სააპელაციო სასამართლო დაეყრდნო საქმეში წარდგენილ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ მომზადებულ დასკვნას და მიიჩნია, რომ მოსარჩელე შეიჭრა მოპასუხის ნაკვეთზე. ამასთან, სასამართლომ არ მიიჩნია დასაშვებად სკ-ის 179-ე მუხლის გამოყენება, რომელიც ითვალისწინებს მესაკუთრის თმენის ვალდებულებას მშენებლობისა და მეზობელი ნაკვეთის საზღვრებში გადაცდენისას. სასამართლომ განმარტა, რომ მშენებლობის დაწყებისას მოსარჩელე არ იმყოფებოდა საქართველოში, მას მშენებლობაზე არც თანხმობა გამოუთქვამს და არც შედაგების შესაძლებლობა ჰქონია.

II. სასამართლოს მსჯელობის შეჯამება

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დააკმაყოფილა საკასაციო საჩივარი და გააუქმა სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. პირველ რიგში, უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველს წარმოადგენს სკ-ის 170-ე და 172-ე მუხლები. სკ-ის

170-ე მუხლი განამტკიცებს საკუთრების უფლების არსს და მესაკუთრეს უფლებას აძლევს სახელშეკრულებო და კანონისმიერი ბოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგავდეს საკუთრებას. სკ-ის 172-ე მუხლი ითვალისწინებს საკუთრებით სარგებლობის ხელშეშლის აკრძალვას ნეგატიური და ვინდიკაციური სარჩელების წარდგენის მეშვეობით.

უშუალოდ მშენებლობისას მეზობელი მიწის ნაკვეთის საზღვრების დარღვევის შემთხვევებს ეხება სკ-ის 179-ე მუხლი. სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული მუხლის თანახმად, გადამწყვეტია, გადაცდენა მოხდა განზრახ თუ გაუფრთხილებლობით. სკ-ის 179-ე მუხლი ითვალისწინებს შემთხვევას, როდესაც გადაცდენა განზრახვის გარეშე, გაუფრთხილებელი მოქმედების შედეგად განხორციელდა. თუ პირი საზღვარს გადაცდა განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის გარეშე, გამომდინარე იქიდან, რომ ამ შემთხვევაში სახეზეა მეორე მხარის ეკონომიკური ინტერესი, კანონმდებლობა ავალდებულებს მეზობელი ნაკვეთის მესაკუთრეს, ითმინოს მისი მიწის ნაკვეთზე ეს ზემოქმედება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მან ამის წინააღმდეგ წინასწარ ან შეტყობისთანავე განაცხადა. საზღვრის დარღვევა ადვილად შესამჩნევი ხდება მეზობელი მესაკუთრისთვის, სწორედ ამიტომ კანონმდებლობა იმ მესაკუთრისაგან, რომლისათვისაც მნიშვნელოვანია, რომ მისი მიწის ნაკვეთი არ განიცდიდეს მსგავს ზემოქმედებას, მოითხოვს საზღვრის დარღვევის შესახებ მეორე მხარის დაუყოვნებლივ ინფორმირებას შეტყობისთანავე - იმ მომენტში, როგორც კი აღნიშნული მისთვის ცნობილი გახდა. თუკი მესაკუთრემ არ განახორციელა ეს მოქმედება, შემდგომ იგი კარგავს მისი მიწის ნაკვეთზე არსებული კონსტრუქციის დემონტაჟის მოთხოვნის უფლებას. ამასთან, საკასაციო სასამართლოს განმარტებით, განზრახვის ფაქტის დადასტურების მტკიცების ტვირთი ეკისრება მოსარჩელეს.

წინამდებარე საქმეში დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენდა ის, რომ მოპასუხის მშენებლობა გადავიდა მოსარჩელის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე. თუმცა,

საქმეში არსებობდა მოწმეთა ჩვენებები, რომლებიც ადასტურებდნენ, რომ მშენებლობის დაწყებამდე მოპასუხემ მიწის ნაკვეთის საზღვარზე მიიყვანა მოსარჩელის ოჯახის წევრები და მათი ჩართულობით ჯიპისის მოწყობილობით აზომა ნაკვეთები. სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ არ დგინდებოდა მოსარჩელის ოჯახის წევრების უფლებამოსილება შეეთანხმებინათ საზღვარი, თუმცა საკასაციო სასამართლომ საკითხი საპირისპიროდ განმარტა. უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მშენებლობის დაწყებამდე მოსარჩელის ოჯახის წევრებთან (მათ შორის მოსარჩელის მამა) მოლაპარაკება წარმოადგენდა საკმარის საფუძველს სკ-ის 179-ე მუხლის გამოსაყენებლად.

გოჩა ოყრეშიძე

► 7 – 5/2021

ა(ა)იპ-ის დირექტორის სამსახურიდან გათავისუფლება

არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დირექტორთან დადებული ხელშეკრულება არ კვალიფიცირდება შრომით ხელშეკრულებად, არამედ წარმოადგენს სასამსახურო ხელშეკრულებას, რომელიც რეგულირდება დავალების ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმებით და მისი შეწყვეტა ნებისმიერ დროს არის დასაშვები.

(ავტორის სახელმძღვანელო წინადადება)

სკ-ის 35-ე და 720-ე მუხლები, საქართველოს მენარმეთა შესახებ კანონის 9 VII¹ მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-1096-2020

I. ფაქტობრივი გარემოებები

მოსარჩელემ (დასაქმებული) სარჩელი აღძრა თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს წინააღმდეგ და მოითხოვა სამუშაოდან გა-

თავისუფლების ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება. კერძოდ, მოსარჩელე დასაქმებული იყო სააგენტოს დირექტორის პოზიციაზე. 2018 წელს სააგენტოში ჩატარდა მონიტორინგი, რომლის შედეგადაც შედგენილ იქნა აქტი და აღნიშნულ აქტში მიეთითა რამდენიმე დარღვევის შესახებ. მოსარჩელე სააგენტოს დირექტორის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა მონიტორინგის ჩატარების დღესვე.

მოპასუხე სააგენტომ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მოსარჩელე დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლდა სააგენტოს მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით, დაკისრებული მოვალეობის უხეში დარღვევის გამო, შრომის კოდექსისა და ბალის წესდების შესაბამისად. კერძოდ, ჩატარებულმა მონიტორინგმა გამოავლინა შემდეგი დარღვევები: (1) სააღმზრდელო ჯგუფში (4-5 წლიანებში) - კედლებზე ჭიკარტებითაა მიმაგრებული თვალსაჩინოებები; (2) 2-3 წლიანთა სააღმზრდელო ჯგუფში მონიტორინგის შესვლის მომენტში დილის დასწრების დაფიქსირების შემდეგ მშობელთა მიერ გაყვანილი იყო 2 ბავშვი. მათგან ერთი - ენტეროვირუსის დიაგნოზით. არც ერთ შემთხვევაში აღმზრდელებს არ ჰქონდათ განცხადება მიღებული. დასახელებულ შემთხვევაში კი, ჯანმრთელობისა და ჰიგიენის უზრუნველყოფის კოორდინატორმა არ გააკეთა შესაბამისი ჩანერა სამედიცინო ჟურნალში; (3) ყოველდღიური მზა საკვების მიღება-ჩაბარების აქტზე მონიტორინგის მომენტში ხელი არ ჰქონდა მონერილი 3 აღმზრდელის თანაშემწეს; (4) 4-5-წლიანთა სააღმზრდელო ჯგუფში არ იყო პირველადი ჯანდაცვის ყუთი; (5) ადამიანური რესურსების მხრივ დაფიქსირდა 4 ერთნაირი სპეციფიკის დარღვევა, კერძოდ, შტატების შეთავსების ფაქტი: ექთანი ითავსებდა აღმზრდელის თანაშემწის შტატს, მეთოდისტი ახალი თანამშრომლის მიღებამდე ითავსებდა II ცვლის აღმზრდელის შტატს, ჭურჭლის მრეცხავი ითავსებდა აღმზრდელის თანაშემწის შტატს (ორჯერ, გარკვეული პერიოდის განმავლობაში).

მოპასუხემ განმარტა, რომ სააგენტო სისტემატიურად ამონმებს მის მიერ დაფუძნებული საბავშვო ბაგა-ბაღებს. აღნიშნულ ბაღებში აღმოჩენილი დარღვევების შემთხვევაში, სხვა ბაგა-ბაღის დირექტორების მიმართაც გამოყენებულია შესაბამისი პასუხისმგებლობის ზომები. მოცემულ შემთხვევაში, თბილისის №10 საბავშვო ბაგა ბაღში აღმოჩენილ იქნა დარღვევები, რის გამოც მოსარჩელე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით მოთხოვნა დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი გათავისუფლების ბრძანება, მოსარჩელე აღდგენილ იქნა დირექტორის პოზიციაზე და სააგენტოს დაეკისრა მისთვის განაცდური ხელფასის ანაზღაურება. გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლომაც.

II. სასამართლოს მსჯელობის შეჯამება

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს განჩინება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადა. უზენაესმა სასამართლომ მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება ეწინააღმდეგება მსგავს საქმეებზე უზენაესი სასამართლოს დამკვიდრებულ პრაქტიკას. [სუსგ №ას-1337-2019, 02/03/2020, სუსგ №ას-1559-2019, 02/03/2020, სუსგ №ას-1203-2018, 25/04/2019, სუსგ №ას-1042-2018, 28/02/2019, სუსგ №ას-838-784-2017, 31/07/2017, სუსგ №ას-379-363-2016, 30/06/2016]. კერძოდ, სასამართლომ მიუთითა, რომ არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის სამართლებრივ საკითხებს აწესრიგებს სსკ 35-ე მუხლი, რომლის მე-4 ნაწილის თანახმად „არაკომერციული იურიდიული პირის ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების წარმოშობისა და შეწყვეტის მიმართ ვრცელდება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლით მენარმე სუბიექტის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირისთვის განსაზღვრუ-

ლი ნესები.“ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9 VII მუხლი ადგენს ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობის მონესრიგების სამართლებრივ საფუძვლებს, კერძოდ, ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირთან (პირებთან), ასევე, სამეთვალყურეო საბჭოსა და სანარმოს სხვა ორგანოების წევრებთან ურთიერთობები გვარდება ამ კანონით, საზოგადოების წესდებითა და მათთან დადებული ხელშეკრულებებით. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9 VII¹ მუხლის თანახმად დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტა ხდება სამ შემთხვევაში: (1) დანიშვნაზე უფლებამოსილი პირის მიერ ნების გამოვლენა; (2) თავად რეგისტრირებული პირის მიერ ნების გამოვლენა; (3) რეგისტრირებული პირის გარდაცვალება, სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება, გარდაცვლილად გამოცხადება, მხარდაჭერის დაღწევა.

საკასაციო პალატის განმარტებით, მიუხედავად „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში შრომითსამართლებრივი კომპონენტების შემოღებისა, ა(ა)იპ-ის დირექტორთან დადებული ხელშეკრულება არ უნდა დაკვალიფიცირდეს შრომითსამართლებრივ ხელშეკრულებად, არამედ, პირობითად შეიძლება მოვისხენიოთ სასამსახურო ხელშეკრულებად, რომელიც მომსახურების ხელშეკრულების ნაირსახეობაა და განსხვავდება შრომის სამართლისათვის დამახასიათებელი პრინციპებისაგან.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სანარმოს ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა ორმხრივი სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში მიღწეული შეთანხმებაა, რომლის ერთი მხარე - მომსახურების გამწევი - ვალდებულია, განიოს შეპირებული მომსახურება, ხოლო მეორე მხარე - გადაიხადოს საზღაური. ამ ტიპის შეთანხმება დამყარებულია განსაკუთრებულ ნდობაზე და უფლებით აღჭურვილ პირს, ფიდუციური ვალდებულების ფარგლებში, აძლევს სრულ დამოუკიდებლობას, იურიდიული პირის სახელითა და ხარჯზე განახორციელოს ყველა ის მოქმედება, რაც წესდებით გათვალისწინე-

ბული მიზნის მიღწევას შეუწყობს ხელს. რაც შეეხება შრომით ურთიერთობას, მის ზუსტ განსაზღვრებას იძლევა საქართველოს შრომის კოდექსის 2 I მუხლი და შეიძლება, დავასკვნათ, რომ ამ ურთიერთობის ფარგლებში ვალდებული პირი ეწევა დამსაქმებლის მიერ განსაზღვრულ საქმიანობას, რაც განასხვავებს შრომით ხელშეკრულებას ა(ა)იპ-ის დირექტორთან დადებული სასამსახურო ხელშეკრულებისაგან.

საკასაციო სასამართლოს დასკვნით, განსახილველ შემთხვევაში მხარეებს შორის სკ-ის 709-ე მუხლის საფუძველზე დაიდო დავალების ხელშეკრულება. მისი საგანია რწმუნებული პირის მიერ ერთი ან რამდენიმე იმგვარი მოქმედების შესრულება, რომელიც იწვევს ამა თუ იმ შედეგს და, როგორც წესი, ეფუძნება ურთიერთნდობას. რწმუნებულის ვალდებულებას წარმოადგენს დავალებული მოქმედების მმართველის გულისხმიერებით შესრულება და მიღწეული შედეგის ადრესატი ხდება წარმოდგენილი პირი. სკ-ის 720 I მუხლის თანახმად, დავალების ხელშეკრულების შეწყვეტა მხარეებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ და სხვაგვარი შეთანხმება ამ უფლებაზე უარის თქმის შესახებ ბათილია. აღნიშნულის გათვალისწინებით ა(ა)იპ-ის დამფუძნებელს (წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შესაბამის უფლებამოსილ პირსა თუ ორგანოს) შეუძლია, ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ხელშეკრულება ხელმძღვანელთან და გამოვლენილი ნება მესამე პირების მიმართ ნამდვილი ხდება მისი მარეგისტრირებულ ორგანოში რეგისტრაციის მომენტიდან.

გოჩა ოყრეშიძე

► 8 – 5/2021

მინის ნაკვეთზე სახლის წამომართვა, როგორც უსაფუძვლო გამდიდრების საგანი

1. უსაფუძვლო გამდიდრების მიზანი არის სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შეძენილი ქონების ამოღება, რითაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს სამართლიანობის აღდგენა, ანუ იმ მდგომარეობის აღდგენა, რომელიც

იარსებებდა არაუფლებამოსილი პირის მიერ დაზარალებულის ხარჯზე გარკვეული შეღავათის, უფლების, უპირატესობის მიღებამდე.

2. შედეგობრივი თვალსაზრისით უმნიშვნელოა თუ რა საშუალებით გამდიდრდა პირი – მიიღო თუ დაზოგა ქონება.

3. მოპასუხეს არ შეიძლება დაეკისროს კონდიციური პასუხისმგებლობა იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც გამდიდრებულია არა უშუალოდ მოპასუხე, არამედ საქმეში ჩართული სხვა თანამოპასუხე.

(ავტორის სახელმძღვანელო წინადადებები)

სკ-ის 976-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-1465-2019

I. ფაქტობრივი გარემოებები

მოსარჩელესა და მის მეუღლეს ერთობლივი თანაცხოვრებისას შეეძინათ შვილი, რის შემდეგაც მოსარჩელე და თავისი შვილი საცხოვრებლად გადავიდნენ უკრაინაში, თუმცა 2011 წელს დაბრუნდნენ საქართველოში. საქართველოში დაბრუნების შემდეგ მოსარჩელემ და თავისმა მეუღლემ იქორწინეს და დაიწყეს თანაცხოვრება. მეუღლეებმა თავიანთ საცხოვრებელ სოფელში, კომლის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ააშენეს საცხოვრებელი სახლი. მოსარჩელის მეუღლის გარდაცვალების შემდგომ მეუღლის მშობლებმა დაარღვიეს მოსარჩელისათვის მიცემული ზეპირსიტყვიერი პირობა და კომლის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ნახევარი არ გადასცეს მოსარჩელეს. პირიქით, მათ მიწის ნაკვეთი საცხოვრებელ სახლთან ერთად ჩუქების საფუძველზე გადასცეს პირველ თანამოპასუხეს, რომელმაც, თავის მხრივ, ქონება 1,000 ლარად მიყიდა მეორე თანამოპასუხეს. მოსარჩელეთა განმარტებით, მათ მიერ მიწის ნაკვეთზე წამომართული შენობის ღირებულება შეადგენდა 38,800 ლარს, ჩუქების გარიგება არის მოჩვენებითი, ხოლო ამ გარიგებით უსაფუძვლოდ გამდიდრდ-

ნენ მოპასუხეები. აქედან გამომდინარე, მოსარჩელეებმა მოითხოვეს მოპასუხეთათვის 38,800 ლარის დაკისრება.

მოპასუხეებმა მოთხოვნა არ ცნეს და მიუთითეს, რომ სადავო საცხოვრებელი სახლი მოსარჩელეს არ აუშენებია. მოპასუხეთა განმარტებით, მოსარჩელე მხოლოდ მოკლე პერიოდით ჩამოდიოდა საქართველოში უკრაინიდან და მას არ გააჩნდა საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად საჭირო სახსრები. ხოლო, მოსარჩელის გარდაცვლილი მეუღლე დაავადებული იყო მძიმე სენით და არც მას შეეძლო საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად აუცილებელი სახსრების გაღება.

ხელვაჩაურის რაიონულმა სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა მოსარჩელეთა მოთხოვნა და მოპასუხეებს დააკისრა 18,850 ლარის ანაზღაურება. თუმცა, გადაწყვეტილება შეცვალა ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ, რომელმაც მეორე თანამოპასუხეს დააკისრა 37,800 ლარის ანაზღაურება, ხოლო მოთხოვნა თანხის პირველი თანამოპასუხისათვის სოლიდარულად დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდა. მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თავდაპირველი მესაკუთრის მიწის ნაკვეთზე სადავო საცხოვრებელი სახლი შენდებოდა მეორე მოსარჩელის მეუღლის ოჯახისთვის, მოსარჩელეებისა და თავდაპირველი მესაკუთრის მიერ ნაჩუქარი თანხით. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მეორე მოპასუხემ მოსარჩელეების მიერ გაუმჯობესებულ სადავო უძრავ ქონებაში გადაიხადა 1000 ლარი, რაც ნიშნავს იმას, რომ მან 37,800 ლარი დაზოგა და, შესაბამისად, უსაფუძვლოდ გამდიდრდა.

II. სასამართლოს მსჯელობის შეჯამება

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა მოპასუხის საკასაციო საჩივარი. კერძოდ, საკასაციო საჩივარი ემყარებოდა ძირითად არგუმენტს, რომ საქმეში წარდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება თუ რა ხარჯი გასწიეს მხარეებმა სადავო საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად.

უზენაესმა სასამართლომ ხარჯების განვების თაობაზე მხარეთა წინააღმდეგობრივი პოზიციების პირობებში განმარტა, რომ საკითხი უნდა გადაწყდეს მხარეთა შეჯიბრებითობისა და მტკიცების ტვირთის გონივრული და სამართლიანი გადანაწილების პრინციპის საფუძველზე. კერძოდ, მხარე ვალდებულია დაადასტუროს ის გარემოება, რომელზეც იგი ამყარებს საკუთარ პოზიციებს. ამასთან, ფაქტობრივი გარემოებების დამტკიცება არსებითი მნიშვნელობისაა და ემსახურება სასამართლოს დარწმუნებას იმაში, რომ სახეზეა მოთხოვნის საფუძველად არსებული ყველა წინაპირობა. სასამართლომ ერთმანეთისგან განასხვავა ფაქტების დამტკიცებისა და მათი მითითების ვალდებულება. მხარე ვალდებულია არა მხოლოდ მტკიცებულებები წარუდგინოს სასამართლოს, არამედ ნათლად და გარკვევით მიუთითოს კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებები. ზოგადი მითითებები, როგორებიც არის, მაგალითად, მოპასუხის მითითება წარმოდგენილი მოთხოვნების უარყოფასთან დაკავშირებით, როგორც წესი, არასაკმარისია. აღნიშნული სტანდარტის გათვალისწინებით საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ შეძლო მტკიცების ტვირთის დაძლევა და მოწმეთა ჩვენებებითა და ექსპერტიზის დასკვნით დაადასტურა სადავო საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად საჭირო ხარჯების განვეა. [შეადრ: სუსგ №ას-584-584-2018, 28/06/2019]. ამის საპირისპიროდ, მოპასუხეებმა ვერ შეძლეს გაებათილებინათ მოსარჩელის მტკიცება და დაედასტურებინათ, რომ საცხოვრებელი სახლი, რეალურად, არა მოსარჩელის, არამედ მოპასუხეთა და მათი ოჯახის ნევრთა სახსრებით აშენდა.

თუმცა, უზენაესმა სასამართლომ ნაწილობრივ გაიზიარა კასატორის პოზიცია. კერძოდ, საკასაციო სასამართლოს განმარტებით, უსაფუძვლო გამდიდრების მიზანი არის სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შექმნილი ქონების ამოღება, რითაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს სამართლიანობის აღდგენა, ანუ იმ მდგომარეობის აღდგენა, რომელიც იარსებებდა არაუფლებამოსილი პირის მიერ დაზარალებულის ხარჯზე გარკვეული შეღავათის, უფლების, უპირატესობის მიღებამდე. უსაფუძვლო

გამდიდრების ინსტიტუტის ნორმები აღჭურვილია დაცვითი ფუნქციით, უზრუნველყოფს რა არაუფლებამოსილი სუბიექტისაგან უსაფუძვლოდ მიღებული ქონების ამოღებას და მისი უფლებამოსილი პირისათვის გადაცემას. შედეგობრივი თვალსაზრისით, სამართლისათვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, თუ რა საშუალებით გამდიდრდა პირი – მიიღო თუ დაზოგა ქონება. [შეადრ: სუსგ №ას-584-584-2018, 28/06/2019]. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხე, რომელმაც 1,000 ლარად შეიძინა 37,000 ლარის ღირებულების საცხოვრებელი სახლი, უსაფუძვლოდ გამდიდრდა. თუმცა, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, თანამოპასუხე გამდიდრდა, მხოლოდ მითითებული თანხის ნახევრით - 18,500 ლარით, ამიტომ მისთვის გამდიდრების სრულად დაკისრება არ იყო დასაბუთებული. ამის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლომ ნაწილობრივ შეცვალა გადაწყვეტილება და მეორე თანამოპასუხეს დააკისრა საცხოვრებელი სახლის ღირებულების 50%-ს, 18,500 ლარის ანაზღაურება.

გორჩა ოყრეშიძე

► 9 – 5/2021

თანაზიარი საკუთრების ექსპორპრიაციით მიღებული ანაზღაურების გაყოფა

თანაზიარი საკუთრების გაყოფისას მიღებული თანხები თანამესაკუთრეთა შორის ნაწილდება მათი რეგისტრირებული წილების შესაბამისად.

(ავტორის სახელმძღვანელო წინადადება)

სკ-ის 964-ე მუხლი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 29 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე № ას-1512-2019

I. ფაქტობრივი გარემოებები

თბილისში მდებარე ერთ-ერთი უძრავი ქონება თანასაკუთრებით ეკუთვნოდა ორ მოსარ-

ჩელესა და მოპასუხეს შემდეგი პროპორციით: პირველი მოსარჩელე - 4/9, მეორე მოსარჩელე - 103.28 კვ.მ. და მოპასუხე - 4/9. 2017 წელს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით აღნიშნულ ქონებაზე სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს“ მიენიჭა აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ექსპროპრიაციის უფლება და ამ უფლების რეალიზაციის შედეგად აღნიშნული ქონების მესაკუთრედ სახელმწიფო აღირიცხა საჯარო რეესტრში.

აუდიტორული დასკვნის მიხედვით, საზიარო საგნის ღირებულება განისაზღვრა 212,735.5 ლარით (მინის ნაკვეთი - 1 კვ.მ / 45 ლარი, საცხოვრებელი სახლი - 1 კვ.მ. / 649 ლარი). ექსპროპრირებული ქონების საკომპენსაციო თანხის გაყოფაზე მხარეები ვერ შეთანხმდნენ, რის გამოც ექსპროპრიატორმა ის განათავსა ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე. კერძოდ, დავას ინვევდა მოპასუხის პოზიცია, რომელიც მიიჩნევდა, რომ ექსპროპრიაციის შედეგად მიღებული თანხა უნდა განაწილებულიყო არა რეესტრში რეგისტრირებული, არამედ მხარეთა მიერ ფაქტობრივად დაკავებული ფართების მიხედვით.

ამის საფუძველზე მოსარჩელებმა სარჩელით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვეს საზიარო საგნის გაყოფა. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: ექსპროპრიაციის შედეგად გადახდილი 212,735.5 ლარიდან პირველ მოსარჩელეს მიეკუთვნა 94,549.11 ლარი (4/9), ხოლო მეორე მოსარჩელეს 23,637.28 ლარი (1/9). შესაბამისად, მოპასუხესაც, პირველი მოსარჩელის მსგავსად, მიეკუთვნა 4/9 წილის თანაბარი ღირებულება.

გადაწყვეტილება ნაწილობრივ შეცვალა თბილისის სააპელაციო სასამართლომ და პირველ მოსარჩელეს მიაკუთვნა 69,538.39 ლარი, ხოლო მეორე მოსარჩელეს მიეკუთვნა 73,658.72 ლარი. შესაბამისად, მოპასუხეს მიეკუთვნა დარჩენილი 69,538.39 ლარი. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული კალკულაცია განახორციელა შემდეგ ლოგიკაზე დაყრდნობით: (1) უშუალოდ მინის ნაკვეთის საკომპენსაციო თანხა შეადგენდა 19,890 ლარს. სააპელა-

ციო სასამართლოს მოსაზრებით ეს თანხა მხარეთა შორის სამ თანაბარ ნაწილად უნდა გაყოფილიყო და თითოეულს უნდა მიკუთვნებოდა 6,630 ლარი. (2) სააპელაციო სასამართლოს პოზიციით, საცხოვრებელი სახლის საკომპენსაციოდ გადახდილი 192,845.5 ლარიდან მეორე მოსარჩელეს უნდა მისცემოდა თავისი 103.28 კვ.მ. ფართის ღირებულება 67,028.72 ლარი, ხოლო დარჩენილი 125,816,78 ლარი თანაბრად უნდა განაწილებულიყო პირველ მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის.

II. სასამართლოს მსჯელობის შეჯამება

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გააუქმა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, რომელიც არ დაეთანხმა თანხის ამგვარ განაწილებას. კერძოდ, უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ უძრავი ქონების ექსპროპრიაციის შედეგად მისაღებ საკომპენსაციო თანხაზე საზიარო უფლების გაუქმებისა და მესაკუთრეთა წილის განსაზღვრის შესახებ მოთხოვნა ეფუძნება სკ-ის 953-ე, 954-ე, 961 I და 964 I მუხლებს. საზიარო უფლების მქონე პირი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოითხოვოს საზიარო უფლების გაუქმება და ამისთვის ამ ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილის მიერ ნების გამოვლენა საკმარისია.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ჩამორთმეული საკუთრების საკომპენსაციოდ თანამესაკუთრეებს 212 735.5 ლარი ჩაერიცხათ და სწორედ ამ თანხამ (გვაროვნულმა ნივთმა) ჩაანაცვლა მხარეთა თანასაკუთრების საგანი, რომელიც ხსენებული ნორმითა და სკ-ის 954-ე მუხლის შესაბამისად, საზიარო საგანზე თითოეული თანამესაკუთრის წილის შესაბამისად უნდა გაიყოს. საქმეში დადგენილია, რომ უძრავ ქონებაზე მხარეთა თანასაკუთრების უფლება რეგისტრირებულია შემდეგი წილობრივი მონაცემებით: პირველი მოსარჩელე - 4/9, მეორე მოსარჩელე - 103.28 კვ.მ, მოპასუხე - 4/9 ნაწილი. საზიარო საგნის მთლიანი ღირებულება - 212 735.5 ლარია, საიდანაც 1 კვ.მ მინის ღირებულება არის 45 ლარი, ხოლო 1 კვ.მ.

საცხოვრებელი სახლის ღირებულება არის 649 ლარი. აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, მეორე მოსარჩელის წილი მიწის ნაკვეთიდან არის 2,210 ლარი (19,890 X 1/9), ხოლო პირველი მოსარჩელისა და მოპასუხის წილი არის 8840 - 8840 ლარი (19890 X 4/9). რაც შეეხება საცხოვრებელ სახლს (103.28 კვ.მ.), მის ღირებულებას (67,028.72 ლარი) უნდა დაემატოს მიწის ნაკვეთის ღირებულება (2,210 ლარი) და, საბოლოოდ, მეორე მოსარჩელის წილი 69,238,72 ლარით განისაზღვროს. დარჩენილი თანხა (143,496,78 ლარი) უნდა განაწილდეს პირველ მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის. თუმცა, პირველმა მოსარჩელემ არ გაასაჩივრა მისთვის 69,538.39 ლარის მიკუთვნების თაობაზე ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რის გამოც საკასაციო სასამართლომ არ იმსჯელა მისთვის დამატებითი თანხების მიკუთვნების თაობაზე. ამიტომ, პირველი მოსარჩელის წილი (2,210 ლარი) სასამართლომ მიაკუთვნა მეორე მოსარჩელეს და, საბოლოოდ, ექსპროპრიაციის შედეგად მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ მესაკუთრეებისათვის საკომპენსაციოდ გადახდილი 212,735.50 ლარი შემდეგნაირად გაანაწილა: პირველი მოსარჩელე - 69,538.39 ლარი, მეორე მოსარჩელე - 71,448.72 ლარი, ხოლო მოპასუხე - 71,748.39 ლარი.

გოჩა ოყრეშიძე

► 10 – 5/2021

ალიმენტის დაკისრება, მშობლის წარმომადგენლობითი უფლების ნაწილობრივ შეზღუდვა

1. ბავშვის კონკრეტული მშობლისათვის დროებით მიკუთვნების საკითხი სასამართლომ უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს იმ მტკიცებულებებით, რომლებიც უზრუნველყოფს საქმეზე სინამდვილის დადგენას.

2. მშობლის წარმომადგენლობითი უფლების შეზღუდვისას გათვალისწინებული უნდა იყოს ორივე მხარის (მშობლის) ინტერესი.

3. თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. წარმოდგენილი მტკიცებულებები უნდა აკმაყოფილებდეს მტკიცების საკმარის სტანდარტს.

(ავტორის სახელმძღვანელო წინადადება)

სსკ-ის 102-ე, 105-ე, 172-ე, 215-ე, 268-ე მუხლები

უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 24 იანვრის განჩინება № ას-840-798-2013

I. ფაქტობრივი გარემოებები

მოდავე მხარეებმა 2005 წლის 31 აგვისტოს გააფორმეს საქორწინო ხელშეკრულება და ამავე წლის 15 ოქტომბრიდან იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში. 2007 წელს შეეძინათ შვილი. საქორწინო ხელშეკრულებას ცოლი დისკრიმინაციულად მიიჩნევდა მისი და მისვე შვილის მიმართ. ამდენად, ითხოვდა კონტრაქტის შინაარსის ცვლილებას და მეუღლისათვის დამატებითი ვალდებულებების განსაზღვრას. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად მან სარჩელი აღძრა მეუღლის მიმართ ალიმენტის დაკისრებისა და მშობლის წარმომადგენლობითი უფლების ნაწილობრივ შეზღუდვის მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 14 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, თუმცა სასარჩელო მოთხოვნა საქორწინო კონტრაქტის პირობების შეცვლის შესახებ არ დაკმაყოფილებულა. მოპასუხეს დაეკისრა შვილის რჩენა-აღზრდისათვის სრულწლოვანებამდე ყოველთვიურად 350 ლარის ოდენობით ალიმენტის გადახდა და ცოლის მივლინების ვადის განმავლობაში (არასრულწლოვანი შვილის საზღვარგარეთ გაყვანის პერიოდისთვის) შეეზღუდა მშობლის წარმომადგენლობითი უფლება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 25 ივლი-

სის განჩინებით ძალაში დარჩა მამისათვის არასრულწლოვანი შვილის უნგრეთში გაყვანის პერიოდისთვის მშობლის წარმომადგენლობის უფლების ჩამორთმევა და ბავშვის სრულწლოვანებამდე ალიმენტის გადახდის ვალდებულება. გადაწყვეტილება მიექცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად. პალატამ მიიჩნია, რომ ალიმენტის დაკისრების ნაწილში სახეზე იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268 I მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის საფუძველი. მშობლის წარმომადგენლობითი უფლების ნაწილობრივ შეზღუდვის მოთხოვნასთან დაკავშირებით კი მიუთითა იმავე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ისეთ განსაკუთრებულ შემთხვევაზე, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს არასრულწლოვანის ინტერესების დაცვას. კერძოდ, პალატამ გაითვალისწინა გარემოება, რომ არასრულწლოვანი სექტემბრის თვიდან უნდა ჩართულიყო სასწავლო პროცესში, შესაბამისად, დაუყოვნებლივ აღსრულების გარეშე შეფერხდებოდა მისი დროული ჩართვა სასწავლო პროცესში, რაც, უდავოდ, ზიანს მიაყენებდა ბავშვის ინტერესებს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება გაასაჩივრა მოპასუხემ და მოითხოვა მისი გაუქმება. იგი ასაბუთებდა, რომ არასრულწლოვანის დედის ხელფასი 1280 ლარს შეადგენდა, რომელიც, სამივლინებო თანხების გათვალისწინებით, კიდევ უფრო იზრდებოდა. აქვე მიუთითებდა, რომ იგი, როგორც მამა, ღირსეულად ზრუნავდა მცირეწლოვან შვილზე (იხდოდა ბალის გადასახადებს, აზღვევდა შვილის ჯანმრთელობას და კვირაში ორ დღეს მასთან ატარებდა). შესაბამისად, მიიჩნევდა, რომ გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებად მიქცევის აუცილებლობა არ არსებობდა.

II. სასამართლოს მსჯელობის შეჯამება

უზენაესი სასამართლოს აზრით, მოპასუხემ ვერ წარადგინა დასაბუთებული პრეტენზია, რაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმების წინაპირობა გახდებოდა. სასამართლომ განმარტა, რომ სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა ალიმენტის დაკისრება, რომლის გადახდევით

ნების შესახებ გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევაა. გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების საჭიროება კი განპირობებული იყო „დიმიტრი უზნაძის სახელობის საქართველოს ფსიქოლოგთა ასოციაციის“ ფსიქოლოგის დასკვნით, რომლის მიხედვითაც, ბავშვი მოუსვენარ, მგრძობიარე, ადვილად მონყვლად, მოუთმენლად და ჯიუტად მიიჩნეოდა. დასკვნა უთითებდა, რომ იგი განმარტებისაკენ იყო მიდრეკილი, დედას ანიჭებდა უპირატესობას და ავლენდა მის მიმართ მიჯაჭვულობას, ხოლო მამის მიმართ უფრო ნეიტრალური იყო. საბოლოოდ, ფსიქოლოგმა დაასკვნა, რომ ბავშვის დედისგან დაშორება კატეგორიულად მიუღებელი იყო.

საკასაციო სასამართლომ მნიშვნელოვან გარემოებად ჩათვალა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 25.02.2012 წ. ბრძანება, რომლითაც დედა 3 წლით სამუშაოდ მივლინებულ იქნა უნგრეთში საქართველოს საელჩოს მრჩევლად. სასამართლომ მისაღებად ჩათვალა ფსიქოლოგის დასკვნა, რომელიც მიზანშეწონილად თვლიდა ბავშვის დედასთან ერთად გამგზავრებას უცხოეთში. მანვე გაითვალისწინა გარემოება, რომ არასრულწლოვანი სექტემბრის თვიდან უნდა ჩართულიყო სასწავლო პროცესში, შესაბამისად, დაუყოვნებლივ აღსრულების გარეშე შეფერხდებოდა მისი დროული ჩართვა სასწავლო პროცესში, რაც ზიანს მიაყენებდა ბავშვის ინტერესებს. საბოლოოდ, უზენაესმა სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო ინსტანციის პოზიცია მისი გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევისასთან დაკავშირებით და არ დააკმაყოფილა კასატორის კერძო საჩივარი.

III. კომენტარი

სსკ-ის 102 I მუხლის შესაბამისად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოცემულ შემთხვევაში დედის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, რეალურად, არ აკმაყოფილებდა აღნიშნულ საკანონმდებლო მოთხოვნებს. კერძოდ, იგი ვერ

უზრუნველყოფდა მტკიცების საკმარის სტანდარტს, რომლის საფუძველზეც სასამართლოს გადაწყვეტი მნიშვნელობა შეეძლო მიენიჭებინა მათთვის. სწორედ ასეთი მტკიცებულება იყო „დიმიტრი უზნაძის სახელობის საქართველოს ფსიქოლოგთა ასოციაციის“ ფსიქოლოგის დასკვნა, რომელსაც სსკ-ის 172-ე მუხლის გათვალისწინებით, სასამართლოსთვის არასავალდებულო ხასიათი უნდა ჰქონოდა. ამავე კოდექსის 105 I მუხლის მიხედვით, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. უზენაეს სასამართლოს უნდა შეეფასებინა ამ დასკვნის ვარგისიანობა, ხარისხი და საქმეზე შესაძლო ზეგავლენა მხარეთა¹ საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. სამწუხაროდ, მოცემულ შემთხვევაში, ერთი მხრივ, წარმოდგენილი იყო არასრულყოფილი დასკვნა, რომელიც მეტწილად ბავშვისა და დედის ურთიერთობებს მიმოიხილავდა. უფრო მეტიც, დასკვნა წინააღმდეგობრივ ჩანაწერებს შეიცავდა, რადგან უთითებდა, რომ ბავშვი განმარტოებისკენ იყო მიდრეკილი და დედას ანიჭებდა უპირატესობას.² ამასთანავე, დასკვნა არ შეხებია ბავშვისა და მამის ფსიქო-ემოციურ კავშირსა და მის განსაკუთრებულ მნიშვნელობას. მეორე მხრივ, სასამართლომ წარმოდგენილი დასკვნა ობიექტურ ფაქტად (არსებულ ჭეშმარიტებად) ჩათვალა და მასზე მნიშვნელოვანწილად დააყრდნო საკუთარი გადაწყვეტილება.

ბავშვის კონკრეტული მშობლისათვის დროებით მიკუთვნების საკითხი სასამართლოს უნდა განეხილა და გადაეწყვიტა იმ მტკიცებულებებით, რომლებიც უზრუნველყოფდა საქმეზე სინამდვილის დადგენას და არა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ბრძანების საფუ-

ძველზე, რომლითაც დედა სამუშაოდ მივლინებულ იქნა უზრუნველყოფაში. ცხადია, ეს ბრძანება, როგორც ძალიან ზოგადი ხასიათის მტკიცებულება, არ ადასტურებდა ბავშვისა და დედის ერთად ყოფნის უპირობო საჭიროებას; არამედ, იგი მხოლოდ მიუთითებდა მოსალოდნელ ფაქტზე, რომ დედა მიემგზავრებოდა უცხოეთში. ბრძანებაში არაფერი იყო ნათქვამი (და ვერც იქნებოდა) მივლინებული პირის მომავალი საცხოვრებელი პირობების შესახებ; შეძლებდა, თუ არა იგი, როგორც მარტოხელა დედა, მცირეწლოვანი შვილის ღირსეულ აღზრდას უცხო ქვეყანაში. პირიქით, იკვეთებოდა მაღალი ალბათობა იმისა, რომ მას რთული და დატვირთული სამუშაო გრაფიკი ექნებოდა, რასაც შესაძლოა ხელს შეეშალა შვილის სათანადო აღზრდა-განათლებლაში. ეს კი, თავის მხრივ, ბავშვის მამასთან დატოვების მიზანშეწონილობას ცხადყოფდა. სამწუხაროდ, გაუგებარია, საკასაციო სასამართლომ რატომ არ იმსჯელა აღნიშნულ გარემოებებზე, რითაც თავის პოზიციას გაამყარებდა და გადაწყვეტილების სამართლიანობა-სა თუ სანდოობაზე შეკითხვებისთვის ადგილს აღარ დატოვებდა.

სსკ-ის 105 II მუხლის მიხედვით, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. საკასაციო სასამართლოს ამ წესის მიხედვით რომ ემოქმედა, იგი კასატორის პოზიციას ყოველმხრივ განიხილავდა, განსაზღვრავდა ბავშვისათვის სასარგებლო და საზიანო გარემოებებს, მხედველობაში მიიღებდა მამა-შვილს შორის არსებულ ურთიერთობებს და გადაწყვეტილება-საც შესაბამისი მსჯელობის შემდეგ მიიღებდა.

სსკ-ის 215 I მუხლის შესაბამისად, სასამართლოში წარდგენილი შუამდგომლობა უნდა იყოს დასაბუთებული; მასში კონკრეტულად უნდა მიეთითოს მოთხოვნა და მისი არგუმენტაცია, რომელიც უნდა შეეხებოდეს მხოლოდ იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს შუამდგომლობაში დასმულ მოთხოვნასთან. საკასაციო სასამართლომ ამ ნაწილში ავ-

¹ უნდა მომხდარიყო ორივე მხარის ინტერესთა აუცილებელ გათვალისწინება და არა მხოლოდ ერთი მხარის, რასაც ადგილი ჰქონდა მოცემულ საქმეზე.

² ბუნდოვანია, თუ ბავშვი განმარტოებისკენ იყო მიდრეკილი, უპირატესობას როგორღა ანიჭებდა დედას. ანდაც თუ დედას ანიჭებდა უპირატესობას, ამავდროულად განმარტოებისკენ როგორღა იყო მიდრეკილი. ეს ორი გარემოება ხომ, როგორც წესი, ერთდროულად ვერ იქნება სახეზე.

ტომატურად გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს პოზიცია და სიღრმისეული განსჯის გარეშე საჭიროდ მიიჩნია გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევა. მაშინ, როდესაც ზემოაღნიშნული საპროცესო ნორმა მას ამის საშუალებას არ აძლევდა. კერძოდ, დედა ვერ ასაბუთებდა, რა ნეგატიური ზეგავლენა შეიძლება მოჰყოლოდა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღუსრულებლობას შვილის სწავლა-განათლებასთან მიმართებით. იგი ასევე ვერ ამტკიცებდა, შეუქმნიდა თუ არა ბავშვს უკეთეს სასწავლო პირობებს უცხო გარემოსა და საზოგადოებაში მისი დატვირთული პროფე-

სიული საქმიანობის ფონზე. რაც ყველაზე საგანგაშოა, უზენაესმა ინსტანციამ არ გაითვალისწინა ბავშვისა და მამის ხანგრძლივი განცალკევების ნეგატიური ემოციური შედეგები. სსკ-ის 268 III მუხლის მიხედვით, გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება არ დაიშვება, თუ შეუძლებელია იმ ზარალის ზუსტად გამოთვლა, რომელიც შეიძლება მიადგეს მონინა აღმდეგე მხარეს, რის გამოც მეორე მხარე ვერ შეძლებს მის უზრუნველყოფას. საკასაციო სასამართლოს არ უმსჯელია, რა შედეგები მოჰყვებოდა მის ამ გადაწყვეტილებას ბავშვის მამისთვის.

დავით გვენეტაძე

„შპს მომარჯვებელი ისარი“

კაზუსი

(სარჩელის შეცვლის აკრძალვა, საპროცესო თანასწორობის პრინციპი, „კერძო დასკვნა“ და მისი მნიშვნელობა)

ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი

მოსარჩელემ აღძრული სარჩელით მოითხოვა თავდებობისა ხელშეკრულების ბათილად ცნობა და მის საფუძველზე მოპასუხისათვის გადახდილი თანხის დაბრუნება. მოსარჩელის თავდაპირველი მტკიცებით თავდებობა იყო მოტყუებით დადებული და მისი შეცილების შედეგად ბათილი. მოგვიანებით, მთავარ სხდომაზე მან შეცვალა პოზიცია და განაცხადა, რომ ის გარიგებას თავიდანვე ბათილად მიიჩნევს, რადგან მას საერთოდ არ მოუწერია ხელი ამ ხელშეკრულებაზე და მისი ხელმოწერა რეალურად გაყალბდა. ამ მიზნით მან მოითხოვა მიეცათ მისთვის ვადა, რათა წარედგინა შესაბამისი მტკიცებულება.

მას შემდეგ, რაც პირველი ინსტანციის სასამართლომ გადაჭრით უკუაგდო მოსარჩელის შუამდგომლობა მთავარ სხდომაზე სარჩელის საფუძველად ახალი გარემოებების გათვალისწინებასთან დაკავშირებით და იგივე გაიმეორა ზედა ინსტანციამაც მოსარჩელის კერძო საჩივრის პასუხად, იმავე პირველმა ინსტანციამ მოსარჩელის მიერ ხელმოწერედ დაყენებული იგივე შუამდგომლობა დააკმაყოფილა და დაადგინა, რომ სასამართლოს ამ მომენტიდან მოცემულ ფაქტობრივ გარემოებაზე უნდა ემსჯელა.

სასამართლომ მოსარჩელეს ნება დართო წარედგინა ექსპერტიზის დასკვნა ხელმოწერის ნამდვილობასთან დაკავშირებით. რის შემდეგაც მან წარადგინა კერძო საექსპერტო ბიუროს შპს „მომარჯვებელი ისრის“ მიერ მომზადებული დასკვნა, რომლის მიხედვითაც თავდებობის 4 გვერდიან, აკინძულ ხელშეკრულებაზე (მიუხედავად იმისა, რომ გვერდების ნუმერაცია, ხელშეკრულების ნომერი და ა. შ. ამ გვერდების ურთიერთკავშირზე მიანიშნებდა) მხოლოდ ბოლო გვერდზე იყო მისი ხელმოწერა. პროცესის იმავე ეტაპზე მოპასუხის შუამდგომლობა, რომ მასაც წარედგინა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს მიერ მომზადებული დასკვნა ხელმოწერის ნამდვილობასთან დაკავშირებით სასამართლომ უკუაგდო იმ არგუმენტით, რომ ხელშეკრულების დედანი მთელი ამ დროის განმავლობაში მასთან იმყოფებოდა და მას შეეძლო ნებისმიერ დროს ჩაეტარებინა ექსპერტიზა. შპს „მომარჯვებელი ისრის“ ექსპერტიზის დასკვნის წარდგენასთან ერთად მოსარჩელემ განაცხადა, რომ ხელშეკრულების ბოლო ფურცელზე მართლაც მისი ხელმოწერა იყო, თუმცა დანარჩენი (პირველი) სამი ფურცელი ამ, რომელზეც მისი ხელმოწერა გაყალბებულია, ამ უკანასკნელ ფურცელს უბრალოდ ამოაკრეს და ის ამ ხელშეკრულებას არ განეკუთვნებოდა. ექსპერტის დასკვნის გარდა მოსარჩელეს რაიმე სხვა მტკიცებულება სასამართლოსათვის არ წარუდგენია, მას არ განუმარტავს სასამართლოსათვის ფაქტებზე დაყრდნობით, თუ რომელ ხელშეკრულებას განეკუთვნებოდა მის მიერ რეალურად ხელმოწერილი ფურცელი.

პირველმა და მეორე ინსტანციის სასამართლოებმა სარჩელი ერთხმად დააკმაყოფილეს.

საკასაციო საჩივარში მოპასუხე უთითებს, რომ წინა ინსტანციების გადაწყვეტილებები მიღებულია იმგვარი საპროცესო დარღვევებით, რაც, ცალკე აღებული საკმარისია მიღებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და მოსარჩელის სარჩელის განუხილველად დატოვებისათვის.

იმსჯელეთ მოცემულ შემთხვევაზე საპროცესო-სამართლებრივი კუთხით!

პაზუსის ამოხსნა

მოცემულ შემთხვევაში პირველი და მეორე ინსტანციების მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება მიღებული იყოს მძიმე საპროცესო დარღვევებით, რაც უნდა გახდეს მათი გაუქმების საფუძველი.

I. სარჩელის შეცვლა

პირველ რიგში, შეიძლება სახეზე იყოს სარჩელის დაუშვებელი შეცვლა. ის, რაც მოსარჩელემ გააკეთა და რასაც პირველი ინსტანციის სასამართლო სრულებით დაეთანხმა, შეიძლება წარმოადგენდეს სარჩელის შეცვლას მთავარ სხდომაზე, რაც დასაშვებია მხოლოდ მოპასუხის წინასწარი თანხმობით (სსკ-ის 83 | 1 მუხლი), რაც აქ სახეზე არ ყოფილა და რის გამოც ის დაუშვებელი იქნებოდა.

სსკ-ის 83 | 1 მუხლი შეიცავს მოსამზადებელი სტადიის შემდეგ, მოპასუხის თანხმობის გარეშე, სარჩელის შეცვლის აბსოლუტურ აკრძალვას, რაც შეიძლება აქ სრულებით უგულვებელყოფილი ყოფილიყო პირველი და მეორე ინსტანციების სასამართლოების მხრიდან.

1. სარჩელის შეცვლის აკრძალვის მიზანი

სარჩელის აღძვრით სარჩელის საგანი დგინდება ორივე მხარისათვის მბოჭავად. მოსარჩელეს აღარ შეუძლია მისი შეცვლა საკუთარი ნება-სურვილისამებრ. სარჩელის შეცვლა დასაშვებია შეზღუდულად, კერძოდ, მხოლოდ იმ ერთადერთ საგამონაკლისო შემთხვევაში, როდესაც არსებობს ამაზე მოპასუხის თანხმობა (სსკ-ის 83 | 1 მუხლი). სარჩელის შეცვლის ამგვარი შეზღუდვით კანონმდებელი, პირველ რიგში, მოპასუხის დაცვას ისახავს მიზნად – მას არ

უნდა გაურთულდეს საკუთარი პოზიციების დაცვა¹ (ეს კი ყოველთვის სახეზეა, როდესაც მოპასუხეს უწევს ისეთ დავაზე „გადართვა“, რომლისათვისაც ის მომზადებული არ ყოფილა) და დაცული იყოს მისი ინტერესი თავდაპირველად წაყენებული მოთხოვნის გადაწყვეტასთან დაკავშირებით.²

გარდა ამისა, სარჩელის შეცვლის აკრძალვა (გარდა ერთადერთი საგამონაკლისო შემთხვევისა) ემსახურება ასევე სასამართლოს ინტერესებს, პროცესის ეკონომიის კუთხით – საპროცესო მდგომარეობა, რომელიც კონკრეტული მომენტისათვის არსებობს, არ უნდა გახდეს უსაგნო და სასამართლოსა და მხარეებს წყალში არ უნდა ჩაეყაროს ყველა ის სამუშაო, რაც პროცესისათვის მოსამზადებლად გასწიეს, იმით, რომ მოსარჩელე აყენებს ახალ სასარჩელო მოთხოვნას ან ცვლის სარჩელის საფუძველს.³

2. სარჩელის საგნის შეცვლა

სარჩელის შეცვლად ითვლება სარჩელის საგნის შეცვლა. სარჩელის საგანი თავის მხრივ შედგება სასარჩელო მოთხოვნისა და იმ ფაქტობრივი გარემოებებისგან, რომელიც მას საფუძვლად უდევს.⁴ ამგვარად, სარჩელის შეცვლა სახეზეა, როდესაც იცვლება ან სასარჩელო მოთხოვნა ან სარჩელის საფუძველი, მით უმეტეს, თუ ორივე მათგანის ცვლილებაა სახეზე.⁵

¹ MüKoZPO/Becker-Eberhard, 6. Aufl. 2020, ZPO § 263 Rn. 1.

² BGH NJW 1996, 2869.

³ MüKoZPO/Becker-Eberhard, 6. Aufl. 2020, ZPO § 263 Rn. 2.

⁴ MüKoZPO/Becker-Eberhard, 6. Aufl. 2020, ZPO, § 253 Rn. 32 ff.

⁵ BGH NJW 2008, 3571; BGH NJW 2011, 3653 Rn. 11.

მოცემულ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნა, რომელსაც აყენებდა მოსარჩელე, მთელი პროცესის განმავლობაში უცვლელი იყო – ის ითხოვდა მოპასუხისათვის ამ მიზნით გადახდილი თანხის დაბრუნებას, თუმცა მან პროცესის განმავლობაში შეცვალა სარჩელის საფუძველი, კერძოდ: სარჩელის საფუძველი ითვლება შეცვლილად, როდესაც ახალი ფაქტობრივი გარემოებების შემომატებით (ძველის ჩანაცვლებით) იცვლება სარჩელში მითითებული ფაქტობრივი შემადგენლობის ბირთვი.⁶ სახეზე უნდა იყოს არსებითი ცვლილება, სარჩელში მითითებული გარემოებების მხოლოდ დაზუსტება თუ დაკონკრეტება სარჩელის ცვლილებად არ ითვლება (სსკ-ის 83 IV მუხლი).

ქვემოთ მოყვანილი იქნება ჯერ იმ შემთხვევების მაგალითები, რომლებიც არ ითვლება სარჩელის ცვლილებად და შემდეგ იმ შემთხვევების ნიმუშები, რომლებიც ასეთად უნდა ჩაითვალოს, რადგან ამ კონტრპოზიციონირებისას ნათლად ჩანს, რომ მოცემული შემთხვევა ცალსახად ამ მეორე კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ.

ა) შემთხვევები, რომლებიც სარჩელის შეცვლად არ ითვლება

სსკ-ის 83 IV მუხლის რეგულირების სფეროში ექცევა და სარჩელის ცვლილებას არ წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც მოსარჩელე საკუთარ მოთხოვნას ამყარებს იმავე ფაქტობრივ გარემოებებს, თუმცა ცვლის სამართლებრივ დასაბუთებას. მაგალითად: მოსარჩელე უფლების ხელყოფას თავდაპირველად აფუძნებს დელიქტს, ხოლო მოგვიანებით ხელშეკრულების დარღვევას ან წინარე სახელშეკრულებო ურთიერთობიდან (სკ-ის 317 II, 316) წარმომდგარი ვალდებულების დარღვევას;⁷ ნასყიდობის ფარგლებში ნაკლის გამოსწორების საფასურის მაგივრად იმავე თანხას ითხოვს ფასის შემცირების საფუძველზე;⁸ დიდი ზიანის ანაზღაურების

მაგივრად ითხოვს მცირე ზიანის ანაზღაურებას;⁹ ნეგატიური ინტერესის ანაზღაურების მაგივრად ითხოვს პოზიტიურ ინტერესს სკ-ის 113 I მუხლის შემთხვევაში;¹⁰ თავიდან ითხოვს ხელშეკრულებიდან, შემდეგ უსაფუძვლო გამდიდრებიდან;¹¹ შეთანხმებული ანაზღაურების მაგივრად ითხოვს კანონისმიერ გასამრჯელოს,¹² ჩვეულებრივი გასამრჯელოს მაგივრად შეთანხმებულ ფასს¹³ და პირიქით; თავიდან მოთხოვნას აყრდნობს იმ ხელშეკრულებას, რომელიც დეტალურად აწესრიგებდა კანონისმიერი რჩენის ვალდებულებას, ხოლო შემდეგ თავად ამ კანონისმიერ ვალდებულებას;¹⁴ ის თავდაპირველად აფუძნებს სარჩელს პარტნიორის მხრიდან დელიქტს, ხოლო შემდეგ თავად სპს-ის მხრიდან ხელშეკრულების დარღვევას;¹⁵ თავდაპირველად ნივთის დაბრუნების მოთხოვნას აყრდნობს ვინდიკაციას (სკ-ის 172 I მუხლი) და ამტკიცებს, რომ ჯერ კიდევ მესაკუთრეა, თუმცა შემდეგ ნივთის დაბრუნებას კონდიქციურ მოთხოვნას აფუძნებს;¹⁶ დამქირავებლის მხრიდან ზინის დაცლის მოთხოვნას აფუძნებს თავიდან პირველ, ხოლო შემდეგ მეორედ გაცხადებულ მოშლას;¹⁷ თავიდან ითხოვს სავალდებულო წილს, ხოლო შემდეგ წილს სამკვიდროდან, მემკვიდრის უფლებებზე დაყრდნობით.¹⁸

ბ) სარჩელის შეცვლის შემთხვევები

ზემოთ თქმულის საპირისპიროდ სარჩელის ცვლილებად ითვლება შემდეგი: მოსარჩელე სასარჩელო უფლებას ჯერ აყრდნობს საკუთარ უფლებას, ხოლო შემდეგ დათმობილ უფლებას¹⁹ და პირიქით;²⁰ ის აფუძნებს თავის სასარ-

⁹ BGH NJW 1992, 568.

¹⁰ BGH NJW 2017, 2673 Rn. 21 ff.

¹¹ OLG Hamburg JW 1934, 2572 ; OLG Königsberg LZ 1932, 728.

¹² AM OLG Frankfurt a. M. MDR 1984, 238 .

¹³ AM RGZ 126, 248.

¹⁴ RG SeuffA 79 (1925) Nr. 226.

¹⁵ Rosenberg, ZJP 49 (1925), 63.

¹⁶ AM RG SeuffA 89 (1935) Nr. 105.

¹⁷ OLG Zweibrücken MDR 1981, 585.

¹⁸ BGH NJW-RR 2009, 16; OLG Brandenburg NJW-RR 2009, 16.

¹⁹ BVerfG NJW 1980, 1738; RGZ 103, 112; RGZ 120, 192; BGH NJW 1990, 54; BGH NJW 2005, 2005; BGH NJW

⁶ BGH NJW 1997, 588; BGHZ 154, 348 f.; BGH NJW 2007, 84; BGH NJW 2008, 3571; BGH NJW 2018, 387 Rn. 25 ; BAG NZA2010, 364.

⁷ BGH NJW 1980, 1471.

⁸ OLG München NJW 1972, 63.

ჩელო უფლებამოსილებას, თავიდან საკუთარ, როგორც ანდერძისმიერი მემკვიდრის, პოზიციებს, ხოლო შემდეგ მეუღლეთა შორის ქონების განაწილებას;²¹ ის თავიდან მოპასუხეს უჩივის დელიქტიდან (სკ-ის 997-ე მუხლი), ხოლო შემდეგ როგორც ზიანის მიმყენებლის მემკვიდრეს;²² ის ითხოვს გადახდას, საავტორო უფლების დარღვევის მაგივრად, საარქიტექტორო მომსახურების ხელშეკრულებიდან;²³ ის აყრდნობს საკუთარ სანივთო სარჩელს საკუთრების მოპოვების ახალ საფუძველს²⁴ ან დათმობილი მოთხოვნის მოპოვებას, რომელსაც ის აყენებს სასამართლოს წინაშე, აფუძნებს დათმობის ახალ აქტზე,²⁵ ან თავისი გადახდის მოთხოვნას თავდაპირველად აფუძნებს ფასის შემცირებას, ხოლო შემდეგ გასვლას.²⁶

თუ კონკრეტული სახის განგრძობადი იმისიების აღკვეთის სარჩელი, პროცესის განმავლობაში, სხვა, იმავე სახის, იმისიების აღკვეთისაკენ იქნება მიმართული, ეს არ წარმოადგენს სარჩელის ცვლილებას,²⁷ თუმცა სარჩელის ცვლილება სახეზე, თუ სხვა ტიპის ხელშეშლას ეხება საქმე.²⁸

გ) სარჩელის ცვლილება მოცემულ შემთხვევაში

მოსარჩელემ არა მხოლოდ გამოცვალა მისი მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, არამედ ჩაანაცვლა ერთი ფაქტობრივი საფუძველი მეორეთი, ხოლო შემდეგ თავის მხრივ ისიც კი ჩაანაცვლა. კერძოდ, თავიდან ის ამტკიცებდა, რომ მან რეალურად მონერა ხელი თავდებობის ხელშეკრულებას, თუმცა ეს გააკეთებინეს მოტყუებით, შემდეგ, მთავარ სხდომაზე, გადაწყ-

ვიტა სარჩლი დაეფუძნებინა იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ საერთოდ არ მოუწერია გარიგებაზე ხელი, ხოლო საბოლოოდ ამტკიცებს, რომ თავდებობის ბოლო გვერდზე მისი ხელმოწერაა, ხოლო დანარჩენ ფურცლებზე კი არა. ის ფაქტობრივი შემადგენლობა, რომელის წარმოადგენს სარჩელის საგნის ორელემენტის ცნების მეორე ელემენტს, აქ მთავარ სხდომაზე ორჯერ, სსკ-ის 83 IV მუხლის აბსოლუტური დარღვევით, იქნა გამოცვლილი და სასამართლომ ეს დაუშვა, რაც არის უხეში საპროცესო დარღვევა და მიღებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

3. სარჩელის დაუშვებელი შეცვლის სამართლებრივი შედეგები

თუ სახეზე არ არის სარჩელის შეცვლის წინაპირობები (რაც აქ ცალსახად არ იყო სახეზე), ჩამნაცვლებელი სასარჩელო მოთხოვნა დაუშვებელია.²⁹ მიუხედავად ამისა, თუ ის მაინც ნამდვილად არის აღძრული (სასამართლოს მიერ დაშვებული), წარმოშობს სარჩელის აღძვრის მატერიალურსამართლებრივ და პროცესუალურ შედეგებს, ამიტომაც, სასამართლომ შეცვლის დაუშვებლობის გაცნობიერებისთანავე ამ სარჩელზე მხარეს განჩინებით უარი უნდა უთხრას.³⁰

სარჩელის დაუშვებელი ცვლილება არ იწვევს მოთხოვნის ჩანაცვლებას, როგორც ეს მოსარჩელის მიერ იყო ნასურვები.³¹ ამიტომაც, სასამართლომ ისევ თავდაპირველ სასარჩელო მოთხოვნაზე უნდა იმსჯელოს, იმ დათქმით, რომ ეს მოთხოვნა ისევ ძალაშია.³²

ამიტომაც, მართალია, ახალი სასარჩელო მოთხოვნა აღძრულია ნამდვილად და წარმოშობს ამ ნამდვილი აღძვრის სამართლებრივ შედეგებს, თუმცა ეს გაკეთებულია დაუშვებელი ფორმით, რადგან ეწინააღმდეგებოდა სსკ-ის 83

2007, 2561; OLG Zweibrücken OLGZ 1970, 178 f.; LG Nürnberg-Fürth VersR 1974, 817.
²⁰ RG WarnR 1937 Nr. 7; BGH NJW 1999, 1407; BGH NJW 2007, 2415; BGH NJW 2009, 56 f.; BGH NJW 2008, 2922; BGH NJW 2016, 1818 Rn. 31.
²¹ RG LZ 1927, 1023.
²² RG HRR 1928 Nr. 469.
²³ BGH ZZP 95 (1982), 66.
²⁴ RG WarnR 1913 Nr. 258.
²⁵ RG Gruchot 64 (1920), 623 f.
²⁶ BGH NJW 1990, 2682; BGH NJW 2015, 2106 Rn. 18.
²⁷ RGZ 99, 176 f.
²⁸ RGZ 108, 169.

²⁹ MüKoZPO/Becker-Eberhard, 6. Aufl. 2020, ZPO § 263 Rn. 52.
³⁰ MüKoZPO/Becker-Eberhard, 6. Aufl. 2020, ZPO § 263 Rn. 52.
³¹ MüKoZPO/Becker-Eberhard, 6. Aufl. 2020, ZPO § 263 Rn. 53.
³² J. Blomeyer, JuS 1970, 232; Stein/Jonas/ Roth ZPO Kommentar, § 263 Rn. 38.

III მუხლის მოთხოვნებს. ამგვარად, ის უკუგდებულ უნდა იქნეს, როგორც დაუშვებელი.³³ საპირისპირო მოსაზრების თანახმად, სასამართლომ მხოლოდ მანამდე აღძრულ სასარჩელო მოთხოვნაზე უნდა იმსჯელოს.³⁴ ამ მოსაზრების თანახმად, საერთოდ არ ხდება ახალი მოთხოვნის ნამდვილი შემოტანა პროცესში და მას თავდაპირველ სასარჩელო მოთხოვნაზე საბოლოო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უნდა გაესვას ხაზი, როგორც სამართლებრივი ძალის არმქონეს.³⁵

სურს თუ არა მოსარჩელეს ახალი სარჩელის შემოტანასთან ერთად, ასევე ძველი სასარჩელო მოთხოვნის შენარჩუნება, მოსარჩელის მოხსენების განმარტების გზით უნდა დადგინდეს,³⁶ თუმცა აუცილებელია, რომ შენარჩუნების ეს ნება თავად სარჩელის შეცვლიდან იკითხებოდეს.³⁷ თუ ძველი სარჩელი არ ნარჩუნდება და ახალი კი დაუშვებელ ჩანაცვლებას წარმოადგენს, მაშინ სასამართლომ უნდა უკუაგდოს ის განჩინებით, რითიც პროცესი სრულდება.

მოცემულ შემთხვევაში სწორედ ამგვარ სიტუაციასთან გვაქვს საქმე. მოსარჩელის მიერ სარჩელის ჩანაცვლების მცდელობა იყო დაუშვებელი, თუმცა ამავდროულად მან ამით უარი თქვა თავდაპირველ სარჩელზე, კერძოდ უარყო მისი ფაქტობრივი გარემოებები – დაიწყო მტკიცება იმისა, რომ საერთოდ არ მოუწერია ხელი ხელშეკრულებებზე, რაც გამორიცხავს მისი მხრიდან, თუნდაც მოტყუებით, ხელის მონერას ამ ხელშეკრულებებზე. ამ სიტუაციაში სასამართლო მისი განცხადებიდან ვერაფრით ვერ ამოიკითხავს თავდაპირველი სარჩელის შენარჩუნების ნებას, რადგან მოსარჩელის მხრიდან ეს არა მხოლოდ წინააღმდეგობრივი (და ამგვარად არგასათვალისწინებელი) ქცევა იქნებოდა, არამედ იქნებოდა ჩვეულებრივი საპროცესო თაღლითობა, რომელსაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უნდა მოჰყ-

ვეს – სასამართლოსათვის ურთიერთგამომრიცხავი ფაქტების „შეჩერება“, იმისდა მიხედვით, თუ რომელს დაიჯერებს ის, ჩვეულებრივი სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედებაა.

ამგვარად, მოცემულ სიტუაციაში, საკასაციო სასამართლომ უნდა გააუქმოს ქვედა ინსტანციის გადაწყვეტილება, როგორც უხეში პროცესუალური დარღვევით მიღებული და განჩინებით უარი უთხრას მოსარჩელეს შეცვლილი სარჩელი შემდგომ განხილვაზე, რადგან სარჩელის შეცვლა არანამდვილია, ხოლო ძველ სარჩელზე მან თავად თქვა უარი.

III. სამართლიანი სასამართლოს პრინციპის მიმე დარღვევა

გარდა ზემოხსენებულისა, შესაძლოა საქმის მიმდინარეობისას გამოკვეთილიყო სამართლიანი სასამართლოს პრინციპის ასევე სხვაგვარი მიმე და უხეში დარღვევა. პირველ რიგში, ეს შეიძლება გამოხატული იყოს მხარეთა თანასწორობის (თანაბარი შესაძლებლობების) პრინციპის დარღვევაში, გარდა ამისა, სასამართლოს შეიძლება ასევე დაერღვია მისი მხრიდან ურთიერთწინააღმდეგობრივი ქცევის აკრძალვის პრინციპი.

კონსტიტუციის 31 I მუხლიდან გამომდინარეობს საპროცესო ძირითადი უფლება სამართლიან სასამართლოზე, რომელიც მოქმედებს ყველა სამართალწარმოების ფარგლებში და მათ შორის, რა თქმა უნდა, ასევე სამოქალაქო პროცესში.³⁸ მოსამართლემ ისე უნდა წარმართოს პროცესი, როგორც ამას მისგან სამართლიანად მოელიან სამოქალაქო პროცესის მხარეები, თუმცა, ამასთან, მოქმედებს ინდივიდუალური, სიტუაციას მორგებული, მასშტაბი; მოსამართლეს ეკრძალება ურთიერთწინააღმდეგობრივი ქცევა,³⁹ ვალდებულია ანგარიში გაუწიოს პროცესის მონაწილეებს ყოველ კონკრე-

³³ OLG Frankfurt a. M. FamRZ 1981, 979; Stein/Jonas/Roth, Zivilprozessordnung, 23. Aufl. 2013, § 263 Rn. 37.

³⁴ J. Blomeyer, JuS 1970, 229 (233).

³⁵ J. Blomeyer, JuS 1970, 229 (233).

³⁶ BGH NJW 1988, 128; OLG Frankfurt a. M. FamRZ 1981, 979.

³⁷ MüKoZPO/Becker-Eberhard, 6. Aufl. 2020, ZPO § 263 Rn. 53.

³⁸ BVerfG NJW 1976, 1391; BVerfG NJW 1978, 368; BVerfG NJW 1979, 534; BVerfG DRiZ 1979, 249; BVerfG NJW 1979, 1925; Stürmer, NJW 1979, 2335 ; BVerfG NJW2004, 2079.

³⁹ MüKoZPO/Rauscher, 6. Aufl. 2020, ZPO, vor § 1 Rn. 276.

ტულ სიტუაციაში⁴⁰ და არ აქვს უფლება საკუთარი შეცდომებიდან გამომდინარე პროცესუალურად აზარალოს ერთ-ერთი მხარე.⁴¹ სასამართლომ საპროცესო სამართალი იმგვარად უნდა გამოიყენოს, რომ იძლეოდეს ნამოჭრილი მატერიალურსამართლებრივი საკითხების გადაჭრის შესაძლებლობას და არ ტოვებდეს მათ გადაუჭრელს მხოლოდ იმის გამო, რომ დასაცავია ფორმალური სამართლის გადაჭარბებული მოთხოვნები; საპროცესო სამართალი უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ ის არ მოდიოდეს წინააღმდეგობაში სამართლებრივ სახელმწიფოში აღიარებულ პროცედურულ წესრიგთან და არ აკისრებდეს პროცესის მონაწილეს არათანაზომიერ ტვირთს.⁴² უფლება სამართლიან სასამართლოზე ხელყოფილია მაშინ, როდესაც – სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპში ჩადებული წინააღმდეგობრიობების გათვალისწინებითაც კი – სასამართლო ვერ უზრუნველყოფს სამართლებრივი სახელმწიფოს ელემენტარული მოთხოვნების დაცვას.⁴³

1. პროცესუალური თანასწორობის პრინციპი

სამოქალაქო საპროცესო სამართალში სამართლიანი სასამართლოს ზოგადი პოსტულატი ერთ-ერთ დაკონკრეტებას პოულობს სსკ-ის მე-4 მუხლში განერილ შეჯიბრებითობის პრინციპში, რომლის კონკრეტულ გამოვლინებასაც წარმოადგენს სსკ-ის მე-4 | 2 მუხლში ნახსენები მხარეთა პროცესუალური თანასწორობის, სხვაგვარად ასევე: თანაბარი საპროცესო შესაძლებლობების პრინციპი. ამ პრინციპს უსვამს ხაზს ასევე სსკ-ის 83 | 1 მუხლიც. ის დაფიქსირებულია აგრეთვე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის

6 | პუნქტში, რომლის მოშველიებაც დასაშვებია ქართული კანონების განსამარტავად.⁴⁴

გერმანულ სამართალში ეს პრინციპი ცნობილია „თანაბრად შეიარაღების“ პრინციპის (Waffengleichheit) სახელით⁴⁵ და გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო მას აღწერს, როგორც პროცესის მხარეების კონსტიტუციით უზრუნველყოფილ უფლებას, წარსდგნენ მოსამართლის წინაშე თანასწორ მდგომარეობაში⁴⁶ და ყველა საპროცესო რისკი მათ შორის თანაბრად განაწილდეს.⁴⁷ ეს პრინციპი სამოქალაქო პროცესში დარღვეულია მაშინ, თუ არასწორი სამართალშეფარდება გაუგებარია კონსტიტუციის სახელმძღვანელო პრინციპის პრიზმაში და მიანიშნებს იმაზე, რომ შემფარდებელმა არასაგნობრივი მოსაზრებებით იხელმძღვანელა.⁴⁸ პროცესუალური თანასწორობის პრინციპის შინაარს განეკუთვნება პროცესის ორივე მხარისათვის შესაძლებლობის მინიჭება მოახსენონ სასამართლოს ყველაფერი, რაც მნიშვნელოვანია სასამართლოს მიერ გადანყვეტილების მიღებისათვის და ყველა, მონააღმდეგის თავდასხმისათვის აუცილებელი პროცესუალური თავდაცვის საშუალება, გამოიყენონ დამოუკიდებლად.⁴⁹ აქ გამოხატული მოთხოვნები უფრო ფართოა, ვიდრე „სასამართლოს მიერ მოსმენის უფლება“.⁵⁰ გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიხედვით ეს „სასამართლოს მიერ მოსმენის უფლება“ წარმოადგენს ერთ-ერთ კონკრეტულ გამოვლინებას თანაბარი შეიარაღების პრინციპისა და გულისხმობს სასამართლოს მზაობას მოუსმინოს ორივე მხარეს, გამოიყენოს და შეაფასოს ორივე მხარის მოხსენება⁵¹ და მისცეს

⁴⁰ BVerfG NJW 1988, 2787; BVerfG NJW 1998, 2044; BVerfGE 110, 339; BVerfG NJW 2008, 2168; BVerfG NJW 2014, 205.
⁴¹ BVerfGE 51, 188 ; BVerfGE 60, 1; BVerfGE 75, 183 ; BVerfG FamRZ 2003, 1447 ; BVerfGE 110, 339; BVerfG 2008, 2168.
⁴² BVerfG NJW 2005, 814.
⁴³ BVerfG NVwZ-RR 2019, 297.

⁴⁴ BVerfG NJW 2018, 3631.
⁴⁵ Vollkommer, FS Schwab, 1990, 503 (519).
⁴⁶ BVerfG NJW 1979, 1925.
⁴⁷ BVerfG NJW 1988, 2597.
⁴⁸ BVerfG NJW 1988, 2597.
⁴⁹ BVerfG NJW 1981, 271; BVerfG NJW 1985, 1149; BVerfG NJW 2018, 3631.
⁵⁰ Schlosser, NJW 1995, 1404; OLG Zweibrücken NJW1998, 168; BGHZ 128, 90.
⁵¹ BVerfG BeckRS 2005, 29635.

მათ მოსალოდნელ გადანყვეტილებაზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა.⁵²

საპროცესო თანასწორობის პრინციპის მნიშვნელოვანი ნაწილს წარმოადგენს მტკიცებულებების ნაკლებობისა და მტკიცების ტვირთის განაწილების საკითხის მონესრიგება.⁵³ მაგალითად, მხარეს, რომელსაც არ ჰყავს მონმე, იმიტომ, რომ კონსტელაცია, რომელიც სარჩელს უდევს საფუძვლად, მასსა და მეორე მხარის მონმეს შორის „ერთ-ერთზე“ გათამაშდა, უფლება აქვს მოსმენილ იქნეს სასამართლოს მიერ – „როგორც მონმე“ (იქნება ეს მხარის დაკითხვის, თუ მხარის ახსნა-განმარტების ფორმით) –, ანუ მხოლოდ იმიტომ არ უნდა წააგოს პროცესი, რომ, მეორე მხარისაგან განსხვავებით, მონმე არ ჰყავს.⁵⁴

თუ ამგვარად აღწერილ მხარეთა საპროცესო თანასწორობის პარადიგმას მოცემულ შემთხვევას მივუსადაგებთ, აღმოჩნდება, რომ, როგორც პირველი, ისე მეორე ინსტანციის სასამართლოებმა ეს პრინციპი უხეშად დაარღვიეს. პირველ რიგში, ეს გამოიხატა სარჩელის საფუძვლის დაუშვებელი „შეცვლით“, რაც რეალურად იყო ბათილი საპროცესო მოქმედება, თუმცა ამას არ შეუშლია ხელი სასამართლოსათვის დარჩენილი პროცესი ამ კალაპოტში წარმართა. მოცემულ დარღვევაზე და მის შედეგებზე, რომლებიც, ცალკე აღებული, საკმარისია მოსარჩელის მთლიანი მოთხოვნის უკუგდებისათვის, უკვე ზემოთ გვქონდა საუბარი, ამიტომაც მას აქ აღარ შევეხებით.

თანასწორობის პრინციპის მეორე, ცალსახა და ერთმნიშვნელოვანი დარღვევა, იყო ის ფაქტი, რომ სასამართლომ მოპასუხეს, მაშინ, როდესაც მთლიანად (დაუშვებლად) გამოცვალა მტკიცების საგანი, არ მისცა არც ერთი მტკიცებულების წარდგენის შესაძლებლობა, თუმცა მეორე მხარეს, რომელსაც თვითნებურად გამოაცვლევინა ეს საგანი, იგივე შესაძლებლობა

დაუფიქრებლად მიანიჭა. ელემენტარული სამართლიანობისა და თანასწორობის დაცვა მოითხოვდა, რომ მაშინ, როდესაც ერთი მხარის სასარგებლოდ, მის ნება-სურვილს დაყოლილმა სასამართლომ, ზემოთ ხსენებული ცალსახა საპროცესო დარღვევა ჩაიდინა, მეორე მხარისათვის, სულ მცირე, თავის დაცვის მინიმალური შანსი მაინც დაეტოვებინა. მოპასუხის მიერ შეთავაზებული რენომირებულ დანესებულებაში ექსპერტიზის ჩატარებასა თუ მისი შედეგების მიღებაზე უარის თქმა, იმ დროს, როდესაც მოსარჩელემ და მოგვიანებით ასევე სასამართლომაც ერთადერთ მტკიცებულებად სრულეზებით უცნობი დანესებულების დასკვნა მიიღო, წარმოადგენს საპროცესო თანასწორობის პრინციპის უხეშ ხელყოფას. არგუმენტი, რომ საკვლევი დოკუმენტები მთელი ამ დროის განმავლობაში მოპასუხესთან იყო და მას შეეძლო მთავარ სხდომამდე მოემზადებინა ეს დასკვნა, აბსურდულია: სარჩელის შეცვლამდე ხელმონერის გაყალბება საერთოდ არ იდგა დღის წესრიგში და მოპასუხეს ვერ მოაფიქრებოდა დასკვნის წინასწარ შედგენა იმ საპროცესო მოცემულობის პირობებში, როდესაც მოსარჩელე თავად აღიარებდა, რომ ხელშეკრულებას პირადად მოაწერა ხელი.

ამგვარად, მაშინ როდესაც, როგორც ზემოთ ვიხილეთ, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარე საპროცესო თანასწორობის პრინციპი, მტკიცებულებების წარდგენის შესაძლებლობის მხრივ, მხარეთა აბსოლუტურ გათანაბრებას მოითხოვს და ამ მიზნით მხარის ახსნა-განმარტებას მონმის ჩვენებასაც კი უთანაბრებს, აქ პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებმა სრულეზებით საპირისპირო რამ გააკეთეს და მხარეს უარი უთხრეს მისი ელემენტარული უფლებების დაცვაზე.

გარდა ამისა, მოპასუხის მიერ შეთავაზებული სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროს დასკვნა იყო მისი, როგორც მოპასუხის, პოზიციის ნაწილი (იხ. ქვემოთ) და მის მიღებაზე უარით, რეალურად სასამართლომ ხელყო მხარის უფლება სასამართლოს წინაშე დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია შეცვლილ სარჩელთან დაკავშირებით.

⁵² ჰაგენლოხი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, რჩეული მუხლები, თბილისი 2020, 75 და იქ მითითებული გადანყვეტილებები.

⁵³ BVerfG NJW 2001, 1483; BVerfG NJW 2013, 3632; BVerfG WM 2011, 1948; OLG Frankfurt BeckRS 2017, 139349.

⁵⁴ BAG Urt. v. 22.05.2007, Az.: 3 AZN 1155/06; BVerfG NJW 2008, 2170.

საპროცესო თანასწორობის პრინციპის ასეთი უხეში დარღვევა უკვე, ცალკე აღებული, საკმარისია იმისათვის, რათა საკასაციო სასამართლომ გააუქმოს პირველი ორი ინსტანციის გადაწყვეტილება, ხოლო ზემოთ მოყვანილი არგუმენტების შეწყვიტოს საქმის წარმოება დავის საგნის არარსებობის გამო.

2. სასამართლოს ურთიერთწინააღმდეგობრივი ქცევის აკრძალვა

შემდეგი საპროცესო ძირითადი უფლების დარღვევა, რომელიც ასევე სამართლიან სასამართლოზე უფლებიდან გამომდინარეობდა, შეიძლება იყოს სასამართლოს ურთიერთწინააღმდეგობრივი ქცევის აკრძალვის უგულვებელყოფა.

სასამართლოს ეკრძალება მოვიდეს წინააღმდეგობაში მის წინა საპროცესო მოქმედებასთან.⁵⁵ ასეთი წინააღმდეგობრივი ქმედება სახეზეა მაშინ, როდესაც, მაგალითად, სასამართლო ეთანხმება მოსარჩელის ცვლილებას, აღუდგენს (*Wiedereinsetzung*⁵⁶) მას პროცესუალური ხარჯების შემწეობის⁵⁷ მოთხოვნის ვადას, რითიც აჩენს მოლოდინი იმისა, რომ შემწეობა, რომელიც წინა მოსარჩელეზე ვრცელდებოდა, ახალზეც გავრცელდება, თუმცა ამას მხოლოდ იმიტომ აკეთებს, რომ შემდეგ მასზე უარი უთხრას.⁵⁸ ასევე სამართლიანი სასამართლოს პრინციპის დარღვევაა სახეზე, როდესაც სასამართლო, მას შემდეგ, რაც მიუთითებს მხარეს სააპელაციო საჩივრის ნაკლზე და მოხდება ვადის აღდგენის შუამდგომლობის დაყენება, კიდევ ორი წელი აგრძელებს საქმის განხილვას, თუმცა მხოლოდ იმიტომ, რომ ამ აღდგენაზე საბოლოოდ უარი უთხრას.⁵⁹ მოცემულ სიტუაციებში შეიძლება დარღვეული იყოს ასევე უფლება სასამართლოს მიერ მოსმენაზე (იხ. ზემოთ), როდესაც სასამართლომ ქმედებით მხარეს უჩინდება წარმოდგენა, რომ სახეზეა გარკვეული

საპროცესო მდგომარეობა ან სასამართლოს უკვე ჩამოუყალიბდა კონკრეტული მოსაზრება სამართლებრივ საკითხთან დაკავშირებით, თუმცა სასამართლოს მას ცვლის ისე, რომ არ აღევა მხარეს საკუთარი პოზიციის გამოთქმის შესაძლებლობას.⁶⁰

სასამართლოს წინააღმდეგობრივი ქცევა შეიძლება სახეზე იყოს მაშინაც, როდესაც ის პროცესის გაძღოლის ჩვეულებად ჩამოყალიბებული პრაქტიკიდან უხვევს წინასწარი გაფრთხილების გარეშე: სააპელაციო საჩივრის წარდგენის ვადას არ აგრძელებს, მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატი ამის დროულად გაკეთების შეუძლებლობას დეტალურად ასაბუთებდა, მის გადატვირთულობაზე მითითებით, და ეს, ზემოთ ხსენებული პრაქტიკიდან გამომდინარე, აქამდე ყოველთვის საკმარის საფუძვლად იყო მიჩნეული.

მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს ურთიერთწინააღმდეგობრივი ქცევა გამოიხატა იმაში, რომ, როგორც პირველმა, ისე მეორე ინსტანციის სასამართლოებმა, მაშინ, როდესაც თავდაპირველად სწორად დააიდენტიფიცირეს მოსარჩელის მოთხოვნა, როგორც სარჩელის ცვლილების მცდელობა და არგუმენტირებულად უკუაგდეს ის, მოგვიანებით თავად დართეს მას ამის გაკეთების უფლება, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე. ამ შუალედში რეალურად არაფერი შეცვლილა და ვერ შეიცვლებოდა, რადგან მხარეები უკვე მთავარი სხდომის ეტაპზე იმყოფებოდნენ და სარჩელის ცვლილება დაუშვებელი იყო. სასამართლომ თავისი პირველი ქცევით, როდესაც მოსამართლემ ზეპირად ასევე სრულებით ცალსახად განაცხადა, რომ მოსარჩელის მხრიდან სახეზე იყო სარჩელის შეცვლის მცდელობა და ის ამას არც ერთ შემთხვევაში არ დაუშვებდა, გაუჩინა მოპასუხეს რეალური მოლოდინი იმისა, რომ ეს ასეც მოხდებოდა, რასაც შეეძლო გამოეწვია კორექტივები მოპასუხის ქცევაში. მოგვიანებით სასამართლოს მიერ სარჩელის ცვლილების დაშვება წარმოადგენს წინააღმდეგობრივ ქმედებას მისი მხრიდან და ამგვარად, ძირითადი საპროცესო უფლების დარღვევას, რისი სა-

⁵⁵ MüKoZPO/Rauscher, 6. Aufl. 2020, ZPO, vor § 1 Rn. 288.
⁵⁶ მხარის ბრალის გარეშე გაშვებული პროცესუალური მოქმედების ვადის აღდგენა.
⁵⁷ სოციალურად დაუცველი ჯგუფებისათვის საპროცესო ხარჯების შემცირება ან გათავისუფლება.
⁵⁸ BVerfG FamRZ 2003, 1447.
⁵⁹ BVerfG NJW 2004, 2149.

⁶⁰ MüKoZPO/Rauscher, 6. Aufl. 2020, ZPO, vor § 1 Rn. 288.

ნქციონირებაც ზემოთ აღწერილი ხერხით უნდა მოხდეს.

IV. „კერძო დასკვნა“ და მისი მნიშვნელობა

პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებმა ხელშეკრულებების ბათილობა დააფუძნეს საქმეში არსებულ ერთადერთ „მტკიცებულებას“, კერძოდ, მოსარჩელის დაკვეთით, კერძო ექსპერტის, შპს „მომარჯვებული ისარის“, მიერ მომზადებულ კალიგრაფიულ ექსპერტიზას, რომლის მიხედვითაც თავდებობის ხელშეკრულების ყველა გვერდი, გარდა უკანასკნელი ფურცლისა, მოსარჩელის მიერ ხელმოწერილი არ ყოფილა. ამგვარი გადაწყვეტა პრობლემურია, რადგან ე. წ. „მხარის დასკვნა“ (*Parteigutachten*) ან სხვაგვარად, ასევე, „კერძო დასკვნა“ (*Privatgutachten*) საერთოდ არ განეკუთვნება მტკიცებულებათა კატეგორიას.

კერძოდ, გერმანული სამართლის ოჯახის მთავარ მართლწესრიგებში, როგორც არის, მაგალითად, თავად გერმანული, შვეიცარიული⁶¹ და ავსტრიული⁶² მართლწესრიგები – რომელთა გამოცდილებაც პარადიგმატულია ქართული სამართლისათვის – არსად საპროცესო სამართალი მხარის ექსპერტის დასკვნას არ მიიჩნევა მტკიცებულებად, არამედ მხოლოდ და მხოლოდ მხარის მოხსენების/პოზიციის გაგრძელებად („მხარის კვალიფიციური და სუბსტანტირებული მოხსენება“ (გერმანია⁶³); „მხარის დოკუმენტით გამყარებული მოხსენება“ (ავსტრია⁶⁴). იგივე შეიძლება ითქვას ამერიკის შეერთებულ შტატებზეც. კერძო ექსპერტი და მის მიერ მომზადებული დასკვნა პრინციპულად მიკერძოებულად ითვლება ამერიკის სამოქალაქო

საპროცესო სამართალში.⁶⁵ ექსპერტი ყოველთვის ითვლება არა დამოუკიდებელ, არამედ ერთ-ერთი მხარის ექსპერტად და შესაბამისად მისი დასკვნა აქაც მხარის მოხსენების გაგრძელებაა. მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს წესდების 25-ე მუხლი ასევე არეგულირებს ექსპერტისათვის დასკვნის შეკვეთას სასამართლოს მიერ და აქაც მხარის ექსპერტის დასკვნა არ წარმოადგენს მტკიცებულებას ამ მუხლის გაგებით, არამედ განეკუთვნება მხარის მოხსენებას და მისი ნაწილია.⁶⁶

გერმანიაში, როგორც უკვე აღინიშნა, კერძო დასკვნა არ ითვლება მტკიცებულებად გერმანიის საპროცესო კოდექსის 355-ე და მომდევნო პარაგრაფების მიხედვით, არამედ მხოლოდ დოკუმენტით გამყარებულ მხარის კვალიფიციურ მოხსენებად.⁶⁷ ექსპერტის დასკვნის მეშვეობით მტკიცების წესები მასზე არ გამოიყენება; მაგალითად, მხარეს, რომელიც ამტკიცებს, არ აქვს უფლება მოითხოვოს „მისი“ ექსპერტის პროცესზე გამოძახება განმარტებებისათვის გერმანიის საპროცესო კოდექსის 411 III პარაგრაფის საფუძველზე. სამტკიცებელი საკითხი მხოლოდ მაშინ შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ მხარის დასკვნაზე დაყრდნობით, როდესაც დასკვნის რეზულტატს მეორე მხარეც ეთანხმება და სუბსტანტირებულად არ აპროტესტებს მას. თუ ერთი მხარის წარდგენილ დასკვნას მეორე მხარე აპროტესტებს, სასამართლოს მხოლოდ მაშინ შეუძლია, გამონაკლისის სახით, დასკვნა საკმარისად მიიჩნიოს მტკიცების საკითხის გადასაწყვეტად, თუ ის ამაზე წინასწარ მიუთითებს გერმანიის საპროცესო კოდექსის 139-ე პარაგრაფის შესაბამისად; რადგან მეორე მხარეს უნდა მიეცეს შესაძლებლობა ამტკიცოს საპირისპირო იმით, რომ მოითხოვოს სასამართლო ექსპერტიზა ან წარმოადგინოს თავისი კერძო დასკვნა.⁶⁸

⁶¹ შდრ. მაგ., BGE 141 III 433.

⁶² Oberlauer, Die gerichtliche Verwertung von Privatgutachten, Sachverständige 2014, 23.

⁶³ MüKoZPO/Zimmermann, 6. Aufl. 2020, ZPO § 402 Rn. 9; BVerfG NZM 2011, 167; BGH NJW 1982, 2875; BGH NJW 1986, 3077; BGH NJW 1993, 2382; RG DR 1942, 905; Ghassemi-Tabar/Nober, NJW 2016, 552; Gehrlein, VersR 2003, 574; Wieczorek/Schütze/Ahrens, Zivilprozessordnung und Nebengesetze Großkommentar, 4. Auflage, 2013, § 402 Rn. 68.

⁶⁴ Oberlauer, Die gerichtliche Verwertung von Privatgutachten, Sachverständige 2014, 23.

⁶⁵ Sage/Kersh, Medical Malpractice and the U.S. Health Care System, Cambridge 2006, 175.

⁶⁶ Groeben, von der/Schwarze/Daniel Dittert, 7. Aufl. 2015, EuGH-Satzg Art. 25 Rn. 15.

⁶⁷ BGH NJW 2018, 1749 Rn. 16, 17; BGH NJW 2016, 2328 Rn. 78; Ghasserini-Tabar/Nober, NJW 2016, 553; Hattemeier/Rensen, MDR 2012, 1385.

⁶⁸ Musielak/Voit/Huber, 18. Aufl. 2021, ZPO § 402 Rn. 5.

მხოლოდ ის ფაქტი, რომ სსკ-ში კერძო ექსპერტის დასკვნა მონესრიგებულია „სასამართლო მტკიცებულებების“ კარში, ვერ იქნება მისთვის განსხვავებული მნიშვნელობის მინიჭების საფუძველი და მისი სასამართლო ექსპერტის დასკვნის დარი მტკიცებითი ძალით აღჭურვის მიზეზი. პირველ რიგში, ყოველგვარ საღ აზრსა და გამოცდილებას ეწინააღმდეგება მხარის მიერ შერჩეული კერძო ექსპერტის (რომლის ცოდნას, გამოცდილებასა და რეპუტაციასაც არავინ ამომწმობს) სასამართლოს მიერ შერჩეულ მიუკერძოებელ და კომპეტენტურ ექსპერტთან გათანაბრება. სწორედ ამ გარემოების გამო ითვლება მისი დასკვნა ევროპულ მართლმწესრიგებში მხარის მოხსენების ნაწილად, ხოლო ამერიკაში საერთოდ აპრიორი მიკერძოებულად. გარდა ამისა, სსკ-ის 163-ე მუხლში განერილი სასამართლოს მიერ ექსპერტის დანიშვნის პროცედურისათვის თვალის შევლება ცი საკმარისია იმ განსხვავების აღსაქმელად, რომ სასამართლოს მიერ დანიშნული ექსპერტისა და მხარის ექსპერტის დასკვნას ერთნაირი მტკიცებითი ძალა ვერ ექნება და საქმე ეხება არა მხოლოდ სანდოობის ხარისხს, არამედ იმას, რომ ეს დასკვნები პრინციპულად სხვადასხვა სიბრტყეშია განსათავსებელი. ერთი წარმოადგენს დამოუკიდებელ და თვითკმარ მტკიცებულებას, ხოლო მეორე მხოლოდ მხარის მოხსენების ნაწილს, რომლის საფუძველზეც, ცალკე აღებული, მტკიცების ტვირთის „ანევა“ შეუძლებელია.

მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ, გარდა იმისა, რომ დაარღვია მხარეთა თანასწორობის პრინციპი (იხ. ქვემოთ), დაარღვია ასევე მტკიცებულებების მიუკერძოებელი და საკმარისად შეფასების პრინციპი, კერძოდ წერილობით მტკიცებულებას (თავდებობის ხელშეკრულებას) დაუპირისპირა უფრო „ნაკლები“ – ერთერთი მხარის მოტანილი დასკვნა, რომელიც მისი მოხსენების ნაწილად უნდა ჩაეთვალა და საერთოდ არ იყო ცალკე აღებული მტკიცებულება.

V. სიმართლის თქმის ვალდებულების დარღვევა – სასარჩელო მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძველი

შემდეგ საფუძველს მოსარჩელის მოთხოვნის უკუგდებისათვის შეიძლება წარმოადგენდეს ის გარემოება, რომ ურთიერთწინააღმდეგობრივი მოხსენების გარდა, რომელსაც სასამართლო ვერ დაეყრდნობა, მოსარჩელეს სასამართლოსათვის არ წარუდგენია რაიმე სახის გონივრული და დამაჯერებელი ახსნა იმისა, თუ რა მოხდა რეალურად, რის გამოც სარჩელი შეიძლება უკუსაგდები იყოს, როგორც დაუსაბუთებადი სსკ-ის 272 ა)¹ მუხლის საფუძველზე.

1. სიმართლის თქმის ვალდებულება

სასამართლომ მტკიცებულებების გამოკვლევის შემდეგ საკუთარი შინაგანი რწმენით უნდა გადაწყვიტოს, თუ რა შეესაბამება სიმართლეს და რა - არა. სიმართლის გამორკვევაში მას მხარეებმა ხელი უნდა შეუწყონ, რის გამოც მათ ეკისრებათ სიმართლის თქმის ვალდებულება სსკ-ის 127 I მუხლის მიხედვით.⁶⁹ სიმართლის თქმის ვალდებულება მხარეებისაგან არ მოითხოვს, რომ მხოლოდ ის ამტკიცონ, რის არსებობაშიც აბსოლუტურად დარწმუნებულნი არიან, თუმცა სსკ-ის 127 I მუხლი უკრძალავს მათ განზრახ არასწორი მტკიცების წამოყენებას ან მის განზრახ დამახინჯებას დუმილის მეშვეობით (ე. წ. „ტყუილის აკრძალვა“).⁷⁰ ფაქტის განზრახ დამალვა მაშინ წარმოადგენს სიმართლის თქმის ვალდებულების დარღვევას, როდესაც მისი გამხელა მხარის ახსნა-განმარტების მნიშვნელობას არსებითად ცვლიდა.⁷¹ ის, რომ მხარე რაიმე ფაქტობრივ გარემოებას უმნიშვნელოდ მიიჩნევს, არ ანიჭებს მას უფლებას გააკეთოს მცდარი განცხადებები მასთან დაკავშირებით.⁷²

⁶⁹ ჰაგენლოხი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, რჩეული მუხლები, თბილისი 2020, 495; BeckOK ZPO/von Selle, 40. Ed. 1.3.2021, ZPO § 138 Rn. 29.

⁷⁰ BeckOK ZPO/von Selle, 40. Ed. 1.3.2021, ZPO § 138 Rn. 29.

⁷¹ BGH LM Nr. 5 zu § 138 ZPO.

⁷² BGH NJW 2011, 2794 Rn. 15.

ის ფაქტი, რომ მითითების ვალდებულება მეორე მხარეს ეკისრება, არ ათავისუფლებს მოსარჩელეს/მოპასუხეს სიმართლის თქმის ვალდებულებისაგან. მაგალითად, მოსარჩელეს არ აქვს უფლება წამოაყენოს სარჩელის ფორმით ახალი მოთხოვნა, თუ იცის, რომ ის, შესრულების გზით, სკ-ის 427-ე მუხლის მიხედვით უკვე ნაწილობრივ გაქარწყლებულია.⁷³ ზუსტად ასევე კონდიქციის კრედიტორს, ორმხრივი გარიგების უკუქცევისას, არ შეუძლია მისი მთლიანი შესრულების უკუმოთხოვნა, სკ-ის 976 I ა) მუხლის მიხედვით, თუ ცალსახაა, რომ ისიც გამდიდრებულია ქონებრივი ღირებულების მქონე სარგებლით, რომლის სალდირებაც უნდა მოხდეს საპირისპირო შესრულებასთან ერთად.⁷⁴ მხარე საკუთარ ტყუილს ვერ გაამართლებს საპროცესო ტაქტიკიდან გამომდინარე მოსაზრებებით.⁷⁵

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, სასამართლოს შეუძლია უარი თქვას მტკიცებულებების გამოკვლევაზე, თუ ცალსახაა, რომ მხარე ცდილობს დაამტკიცოს ისეთი გარემოება, რომელიც მხოლოდ მოჩვენებითად არის სიმართლის გარსაცმელში გახვეული, სინამდვილეში კი მისი მტკიცება „ჰაერზე“ ხდება და ამგვარად, უფლების ბოროტად გამოყენებას წარმოადგენს.⁷⁶ ექსპერტის დასკვნის წარმოდგენა ამ სურათს პრინციპულად არ ცვლის.⁷⁷

სიმართლის თქმის ვალდებულების დარღვევა განსაკუთრებით ცალსახა და აშკარაა ხოლომე ურთიერთწინააღმდეგობრივი ან მუდმივად ცვალებადი მოხსენებისას.⁷⁸

2. ვალდებულების დარღვევის სანქციონირება

სანქცია სიმართლის თქმის ვალდებულების დარღვევისა არის მხარის მოხსენების არგათვალისწინება და უკუგდება იმ ნაწილში, რომელიც ცალსახად არ შეესაბამება სიმართლეს.⁷⁹ თუ ცალსახა სიცრუე სარჩელის მთლიან საფუძველს ეხება, ამ შემთხვევაში ის მთლიანად უნდა იქნეს უკუგდებული, როგორც დაუსაბუთებელი (*unschlüssig*).

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე ჯერ უთითებდა და ამტკიცებდა იმას, რომ მან თავდებობის ხელშეკრულებას რეალურად მოაწერა ხელი (თუმცა ეს მოტყუებით გააკეთებინეს), შემდეგ ამტკიცებდა, რომ მას ხელშეკრულებაზე საერთოდ არ მოუწერია ხელი, ხოლო, როდესაც მისივე ექსპერტმა დაადასტურა თავდებობის ბოლო ფურცელზე მისი ხელმოწერის არსებობა, მოსარჩელემ დაიწყო იმის მტკიცება, რომ მხოლოდ ამ გვერდს მოაწერა ხელი, ხოლო დანარჩენი კი მოპასუხემ „ამოაკრა“. ცალსახაა, რომ ამ სამი ურთიერთგამომრიცხავი მტკიცებიდან ორი შეგნებული და გაცნობიერებული ტყუილია, რომელიც შეიძლება ასრულებდეს საპროცესო თაღლითობის შემადგენლობასაც კი და სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი გახდეს. თუმცა, ამისგან დამოუკიდებლად, ეს წარმოადგენს ზემოთ აღწერილი, სკ-ის 127 I მუხლიდან გამომდინარე სიმართლის თქმის ვალდებულების უხეშ დარღვევას, რის გამოც, უკვე პირველი ინსტანციის სასამართლოს უნდა უკუეგდო მთლიანი მოხსენება და სარჩელი განუხილველად დაეტოვებინა. სარჩელის შეცვლის დაუშვებელი მცდელობა არ ამართლებს იმ ურთიერთწინააღმდეგობრივ განცხადებებს, რაც მოსარჩელემ გააკეთა, რადგან პროცესი იმავე პროცესად რჩება და სიმართლის თქმის ვალდებულება მის მთლიან მიმდინარეობას ეხება. ამიტომაც, პროცესი ველარ გაგრძელდება ვერც სარჩელის თა-

⁷³ MüKoZPO/Fritsche, 6. Aufl. 2020, ZPO, § 138 Rn. 6.
⁷⁴ BGH NJW 2007, 3425 Rn. 25.
⁷⁵ OLG Köln MDR 2005, 168; HK-ZPO/Wöstmann, 9. Aufl. 2021, § 138 Rn. 2.
⁷⁶ BeckOK ZPO/von Selle, 40. Ed. 1.3.2021, ZPO § 138 Rn. 33.
⁷⁷ შდრ. BeckOK ZPO/von Selle, 40. Ed. 1.3.2021, ZPO § 138 Rn. 33 და იქ მითითებული ლიტერატურა.
⁷⁸ BGH NJW-RR 1992, 848; 1987, 1469; OLG Köln NZV 2004, 45; Baumgärtel/Laumen/Prütting, Handbuch der Beweislast, 4. Aufl. 2018, Kap. 9 Rn. 85a; HK-ZPO/Wöstmann, 9. Aufl. 2021, § 138 Rn. 1.

ვდაპირველი საფუძვლით (ხელშეკრულებების მოტყუებით დადება), რადგან მოსარჩელემ ეს საფუძველი საკუთარი წინააღმდეგობრივი განცხადებებით სრულებით არადაამაჯერებლად აქცია (იხ. ამასთან დაკავშირებით დეტალურად ზემოთ).

მოცემულ სიტუაციაში იმის გამორკვევა, თუ კონკრეტულად რომელი მოხსენებაა ტყუილი, სასამართლოს აღარ ეკისრებოდა, რადგან მხარემ თავისი ამ ქცევით თავად ნათელყო, რომ მის მიზანს სიმართლის გამორკვევა არ წარმოადგენდა. ამ სიტუაციაში სასამართლომ არ უნდა მისცეს მას ის, რაც მას არ უნდა. ის, რომ არც ერთმა სასამართლომ ეს არ გააკეთა, „აყვა“ მოსარჩელეს და სამი პოტენციურად ცრუ მოხსენებიდან, სრულებით თვითნებურად შეარჩია ერთ-ერთი – მიუხედავად იმისა, რომ არანაირი მითითება იმაზე, რომ სწორედ ეს მოხსენება იყო მართალი, არ არსებობდა (იხ. ზემოთ კერძო ექსპერტის დასკვნის მნიშვნელობასთან დაკავშირებით) – და დაუდო ის საკუთარ გადანყვეტილებას საფუძვლად, წარმოადგენს უხემ საპროცესო დარღვევას, რაც კასაციის მიერ ამ გადანყვეტილების გაუქმების საფუძველი უნდა გახდეს.

VI. თავდებობის ხელშეკრულების უკანასკნელ ფურცელზე არსებული ხელმოწერის საკმარისობა

პირველი და მეორე ინსტანციების სასამართლოების მიერ შესაძლოა სრულებით არასწორად იყოს დაშვებული ის ფაქტი, რომ მოპასუხის მიერ წარდგენილი წერილობითი თავდებობის ხელშეკრულება მოსარჩელის მიერ ხელმოწერილი არ ყოფილა, მხოლოდ იმაზე დაყრდნობით, რომ პირველ სამ გვერდზე მისი ხელმოწერა არ არსებობდა (რისი საკმარისი მტკიცებულებაც საქმეში არ იყო), მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი გვერდი უდავოდ მის მიერ იყო ხელმოწერილი.

სინამდვილეში, ამ შემთხვევაში ეს ოთხივე ფურცელი ქმნიდა დოკუმენტურ ერთიანობას, მოქმედებდა მისი სისრულისა და სისწორის პრეზუმფცია და მხოლოდ უკანასკნელ

გვერდზე ხელმოწერაც საკმარისი იყო მთლიანი ტექსტის, ფორმის დაცვით დადებულ, მხოლოდ ხელშეკრულებად მიჩნევისათვის.

1. წერილობითი ფორმით დადებული ხელშეკრულებისათვის აუცილებელი და საკმარისი დოკუმენტატური ერთიანობა

სკ-ის 63 III მუხლის მიხედვით, წერილობითი ფორმით დადებული გარიგება მოქცეული უნდა იყოს ერთ დოკუმენტში. თუ დოკუმენტი რამდენიმე ფურცლისაგან შედგება, შეცნობადი უნდა იყოს მათი ურთიერთკავშირი;⁸⁰ ეს შეიძლება მოხდეს ამ ფურცლების ერთმანეთთან გადაბმით (მიკერებით, დასტეპლერებით, აკინძვითა და ა. შ.), თუმცა ესეთი მყარი სხეულებრივი ბმა არასავალდებულოა.⁸¹ საკმარისია: ცალკეული ფურცლების პაგინირება; ხელშეკრულების ცალკეული დანაწესების თანმიმდევრული ნუმერაცია; დოკუმენტისათვის ერთიანი გარეგნული იერსახის მიცემა, იმ გარემოებასთან ურთიერთკავშირში, რომ ტექსტი შინაარსობრივად და ლოგიკურად ერთმანეთზე გადაბმულია ან სხვა სანდო ნიშანია სახეზე (მაგ., შინაარსობრივი მითითებები⁸²), საიდანაც გამომდინარეობს, რომ დოკუმენტის ფურცლები ერთმანეთს ეკუთვნის.⁸³

იგივე წესი მოქმედებს იმ შემთხვევებში, როდესაც ხელშეკრულების ერთ-ერთი არსებითი პირობის ნაწილში სხვა დოკუმენტზეა მითითებული. რადგან ესეთი დოკუმენტს მიღმა მითითება (კერძოდ კი სხვა წერილობით დოკუმენტზე) კანონისმიერი წერილობითი ფორმის მოთხოვნებს ვერ პასუხობს, ორივე უნდა შეერთდეს ერთიან დოკუმენტში იმგვარი ფორმით, რომელიც ხაზს გაუსვამდა მათ შორის კავშირს.⁸⁴ ეს შეიძლება მოხდეს სხეულებრივი მიერთებით, თუმცა აქაც საკმარისია სხვა სანდო ნიშნების არსებობა, საიდანაც ამ დოკუმენტებს შორის

⁸⁰ BeckOK BGB/Wendtland, 58. Ed. 1.5.2021, BGB § 126 Rn. 5.
⁸¹ BeckOK BGB/Wendtland, 58. Ed. 1.5.2021, BGB § 126 Rn. 5.
⁸² OLG Koblenz BeckRS 2013, 15655.
⁸³ BGH NJW-RR 2004, 586; BGH NJW 1998, 58 61.
⁸⁴ BeckOK BGB/Wendtland, 58. Ed. 1.5.2021, BGB § 126 Rn. 5.

არსებული ბმა ცალსახად გამომდინარეობს, მაგალითად, თანმიმდევრული და უწყვეტი პაგინირება ან პარაგრაფირება.⁸⁵

2. ხელმონერა

წერილობითი ფორმის დასაცავად აუცილებელია ხელშეკრულების მხარეებმა მას პირადად მოაწერონ ხელი. ხელმონერა დოკუმენტის ტექსტს სივრცულად უნდა „კეტავდეს“,⁸⁶ ანუ იყოს დოკუმენტის ბოლოში განთავსებული. რამდენიმეფურცლიანი დოკუმენტის შემთხვევაში ის უნდა იყოს უკანასკნელი ფურცლის ბოლოში მოთავსებული.⁸⁷

3. სისწორისა და სისრულის პრეზუმფცია და მტკიცების ტვირთი

თუ ფორმასავალდებულო გარიგება ზემოთ აღწერილი წესების მიხედვით შედგენილი და დაფიქსირებულია დოკუმენტში, ეს დოკუმენტი წარმოშობს მისი შინაარსის სისრულისა და სისწორის პრეზუმფციას.⁸⁸ ერთი მხარის მიერ დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ, იმ გარემოებების, მტკიცების ტვირთი, რომლებიც აქარწყლებენ ამ სისწორის პრეზუმფციას, მეორე მხარეს ეკისრება.⁸⁹ მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ ეს წესი უხეშად დაარღვია, მიიჩნია რა, რომ მოპასუხეს წინასწარ უნდა მოემზადებინა საექსპერტო დასკვნა იმასთან დაკავშირებით, რომ ხელშეკრულებები ნამდვილი იყო.

ხსენებული პრეზუმფციის გაქარწყლება, ზოგადად, შეიძლება მაშინ, თუ მეორე მხარე წარმოადგენს მტკიცებულებებს იმისა, რომ ხელმონერა ყალბია ან მხარეებმა გააკეთეს დამატებითი დათქმები, რომელიც დოკუმენტში არ არის ასახული.⁹⁰ თუმცა მტკიცების თამასა ამ შემთხვევაში ძალზე მაღლა ანეული, განსაკუ-

თრებით მაშინ, როდესაც ისეთი ხელშეკრულების გაუქმებას ეხება საქმე, რომელსაც მნიშვნელოვანი ეკონომიკური შედეგები შეიძლება მოყვეს.⁹¹

ამგვარად, მოპასუხეს ხელთ ჰქონდა ფორმასავალდებულოების წესების სრული დაცვით (დოკუმენტაციური ერთიანობა – გვერდების ნუმერაცია, ხელშეკრულების ნომერი თითოეულ გვერდზე, შინაარსობრივი და ლოგიკური ბმა) შედგენილი თავდებობის ხელშეკრულება, რომელიც განაპირობებს მისი სისრულისა და სისწორის პრეზუმფციას. მისი გაქარწყლება, მხოლოდ იმაზე მითითებით, რომ პირველ სამ გვერდზე გაკეთებული ხელმონერა მოსარჩელეს არ ეკუთვნის, შეუძლებელია. საქმე ისაა რომ, თავდებობის პირველ სამ გვერდზე გაკეთებული ხელმონერა გაყალბებულიც რომ იყოს, უკანასკნელ ფურცელზე არსებული ხელმონერა, დოკუმენტის ერთიანობის პრინციპიდან გამომდინარე, მაინც საკმარისია მთლიანი ხელშეკრულების ნამდვილობისათვის. ამ სამ გვერდზე ხელმონერა საერთოდ რომ არ არსებულყო ან მოსარჩელეს რაიმე უცნაური სურათი მიეხატა წინა გვერდებზე, ეს ხელშეკრულების ნამდვილობას ხელს ვერ შეუშლიდა.

თუ მოსარჩელეს სურდა დაემტკიცებინა ხელშეკრულების ბათილობა, მას უნდა მიეთითებინა და ემტკიცებინა არა ის, რომ პირველ სამ გვერდზე ხელი არ მოუწერია, არამედ, პირველ რიგში, გაექარწყლებინა დოკუმენტის ერთიანობის პრეზუმფცია. ამის დასამტკიცებლად კი მხოლოდ ჰაერზე მითითება, რომ პირველი სამი ფურცელი ბოლო გვერდს „ამოაკრეს“, არ კმარა, რადგან ეს ვერ ჩაითლება ფაქტებზე დაყრდნობით მტკიცებად. ფაქტებზე დაყრდნობით მტკიცება სახეზე იქნებოდა მაშინ, მოსარჩელეს რომ წარედგინა (მასთან არსებული ასლიდან) ის სამი ფურცელი, რომელიც, მისი მტკიცებით, რეალურად ქმნიდა დოკუმენტაციურ ერთიანობას მეოთხე ფურცელთან ერთად, ან, სულ მცირე, აღწერა სასამართლოსათვის, თუ რა ენერა ამ სამ ფურცელზე, ჩაეტარებინა ექსპერტიზა იმასთან დაკავშირებით მოხდა თუ

⁸⁵ BGH NJW 2002, 1249; Lindner-Figura, NJW 1998, 732.

⁸⁶ BGH NJWRR 2021, 13; BGH NJOZ 2012, 927; BGH NJW 1994, 2300.

⁸⁷ BeckOK BGB/Wendtland, 58. Ed. 1.5.2021, BGB § 126 Rn. 6.

⁸⁸ BGH NJW 2002, 3164 f.; BGH NJW 1991, 1751; BGH NJW-RR 1989, 1324; BGH NJW 1980, 1681.

⁸⁹ OLG Brandenburg BeckRS 2012, 21918.

⁹⁰ BGH NJW 1989, 898; BeckOK BGB/Wendtland, 58. Ed. 1.5.2021, BGB § 125 Rn. 33.

⁹¹ BeckOK BGB/Wendtland, 58. Ed. 1.5.2021, BGB § 125 Rn. 33; OLG Brandenburg BeckRS 2012, 21918; KG MDR 2003, 79.

არა ამ ფურცლების განცალკევება და შემდეგ მათი თავიდან აკინძვა (რისი გაკეთებაც უმარტივესი იყო). ამის გარეშე, მისი მონაყოლი არადასაბუთებადია (*unschlüssig*), უკუგდებულ უნდა იქნეს და რჩება მოცემულობა, რომ მოპასუხის სასარგებლოდ მოქმედებს დოკუმენტის სისწორის პრეზუმფცია, ხოლო მოსარჩელის მტკიცება კი თეორიულადაც ვერ აქარწყლებს მას, რის გამოც ხელშეკრულება ფორმის

დაცვით დადებულად და ნამდვილად უნდა ჩაითვალოს.

საბოლოო შედეგი: ამგვარად, პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოების მიერ საქმე განხილულია უხეში საპროცესო დარღვევებით, რაც მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია, რის შემდეგაც მოსარჩელის თავდაპირველი მოთხოვნა უნდა დაერჩეს განუხილველი.